



Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**Issues of Georgian Speech
Culture**

Book XXIII

**Tbilisi
2023**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

ემღვნება შუქია აფრიდონიძის ხსოვნას

წიგნი
ოცდამესამე

თბილისი
2023

ოცდამესამე წიგნი ეძღვნება პროფ. შუქია აფრიდონიძის ხსოვნას. შესაბამისად, რამდენიმე წერილი ქალბატონი შუქიას სამეცნიერო მოღვაწეობასა და მის მთარგმნელობით შემოქმედებას ასახავს.

კრებულში წარმოდგენილია აგრეთვე სტატიები ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-სტილისტიკის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილებულია მწერლის ენასა და სტილზეც.

სარედაქციო კოლეგია: ავთანდილ არაბული, თეა ბურჭულაძე (მდივანი), გიორგი გოგოლაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, თამარ ვაშაკიძე (რედაქტორი), მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, ნანა მაჭავარიანი, თეა ტეტელაშვილი, ლია ქაროსანიძე, მედეა ღლონტი, ვაჟა შენგელია, ნინო ჯორბენაძე

ტექნიკური რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

ოპერატორი – რუსუდან რატიანი

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN



ს ა რ ჩ ე ვ ი

თამარ ვაშაკიძე – შუქია აფრიდონიძე – ქართული ენის ამაგდარი და ნორმადარი	11
Tamar Vashakidze – Shukia Apridonidze – the Patroness and Norm-Setter for the Georgian Language	15
თეა ბურჭულაძე – შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“	16
Tea Burchuladze – Shukia Apridonidze's Monograph "Word Arrangement in New Georgian"	22
ქეთევან დათუკიშვილი – შუქია აფრიდონიძე და „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“	24
Ketevan Datukishvili – Shukia Apridonidze and "Stylistic Dictionary for Journalists"	29
თამარ ვაშაკიძე – შუქია აფრიდონიძე – მთარგმნელი	30
Tamar Vashakidze – Shukia Apridonidze – Translator ...	40
მაკა ლაბარტყავა – შუქია აფრიდონიძე და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“	41
Maka Labartkava – Shukia Apridonidze and "Issues of Georgian Speech Culture"	55
ვახტანგ მაღრაძე – შუქია აფრიდონიძე და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები	57
Vakhtang Magradze – Shukia Apridonidze and the Norms of the Georgian Literary Language	61
სალომე ომიაძე – კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები შუქია აფრიდონიძის ნაშრომში „მომართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“	62
Salome Omiadze – Linguocultural Aspects of Communication Shukia Apridonidze's Work "Forms of Address in New Georgian: Structure and Functioning"	68

თეა ტეტელოშვილი – შუქია აფრიდონიძე – სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონთა დანართების ავტორი	69
T e a T e t e l o s h v i l i – Shukia Apridonidze – Author of the Annexes of School Orthographic Dictionaries	76
რამაზ კურდაძე – შუქია აფრიდონიძე და თსუ-ს ახალი ქართული ენის კათედრა	77
R a m a z K u r d a d z e – Shukia Apridonidze and the Chair of New Georgian Language of TSU	80
ნინო ჯორბენაძე – შუქია აფრიდონიძე – „ჩვენი ენა ქართული“	82
N i n o J o r b e n a d z e – Shukia Apridonidze – "Our Georgian language"	86
გიორგი გოგოლაშვილი – ვნებიითი გვარის ზმნათა II კავშირებითის პარალელურ ფორმათა შესახებ (იქნეს თუ იქნას)	87
G i o r g i G o g o l a s h v i l i – On the Parallel Forms of the Conjunctive II of the Passive Verbs (ilnes or ilnas)	90
რუსუდან ზექალაშვილი – ზოგიერთი დარღვევა უარყოფის გამოყენების დროს ჟურნალისტების მეტყველებაში	91
R u s u d a n Z e k a l a s h v i l i – Some Kinds of Mistakes in Using Negative Forms in Speech of the Journalists	108
დამანა მელიქიშვილი – ქართული ზმნის ხმოვან-პრეფიქსთა გრამატიკული ფუნქციისა და სემანტიკური ნიუანსების ურთიერთმიმართებისათვის	110
D a m a n a M e l i k i s h v i l i – On the Relationship Between the Grammatical Function and Semantic Nuances of the Vowel Prefixes of the Georgian Verb	115
მარიამ ორკოდაშვილი – ხელოვნური და ორგანო-იდული ინტელექტის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისათვის ქართულსა და ინგლისურში	116

M a r i a m O r k o d a s h v i l i – On AI and OI Terminology in Georgian and English	129
მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი – ქართული ვერბალური ეტიკეტის ქრისტიანულ-რჯულისმიერი წანამძღვრებისათვის (გამარჯობა! ↔ მშვიდობით!)	130
M e d e a G h l o n t i – On Christian-Religious Teachings of the Georgian Verbal Etiquette (<i>gamarǰoba!</i> "Hello" <i>mšvidobit!</i> "Goodbye")	147
მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – უახლესი ქართულის ლექსიკურ ტენდენციათა თეორიული ასპექტისათვის	148
M a n a n a C h a c h a n i d z e – On the Theoretical Aspect of Lexical Tendencies of Newest Georgian	154
მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – ისტორიულად მოქმედი - <i>ეშ</i> სუფიქსიანი სიტყვაწარმოებისათვის სალიტერატურო ქართულში	156
M e r a b C h u k h u a – Historically valid - <i>es</i> suffix in literary Georgian word formation	161
ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ლექსემა „სუნი“ რ. ინანიშვილის ენაში	163
N i n e l i C h o k h o n e l i d z e – The Lexeme „suni“ in R. Inanishvili's Language	171

თამარ ვაშაკიძე

შუქია აფრიდონიძე – ქართული ენის ამაგდარი და ნორმადარი

ქართველმა ხალხმა და ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შუქია აფრიდონიძე, ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ენის სწავლებისა და კვლევის მიმართულების ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წევრი.

შუქია აფრიდონიძე დიდი თედო სახოკიას – გამოჩენილი და გამორჩეული ქართველი ეთნოგრაფ-ფოლკლორისტის, ლექსიკოლოგის, პედაგოგისა და უბადლო მთარგმნელის – შთამომავალია... მისგან ხელდასხმული...

ქალბატონმა შუქიამ 1958 წელს დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1963 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართველურ ენათა განხრით. 1963-1967 წლებში შ. აფრიდონიძე იყო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტი ახალი ქართული ენის კათედრაზე, შემდეგ – მასწავლებელი (1967-1976), უფროსი მასწავლებელი (1976-1977), ტოპონიმიკის ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი (1969-1973), 1973-1976 წლებში კი – ამავე ლაბორატორიის გამგე.

1965 წელს (ერთი წლის განმავლობაში) ქალბატონი შუქია მასწავლებლად მუშაობდა თბილისის თოჯინების თეატრში, ხოლო 1965-1969 წლებში იყო მთარგმნელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში – შუქია აფრიდონიძე ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს.

1977 წლიდან ქალბატონი შუქია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის დოცენტია. ამავე წლიდან იგი მუშაობას იწყებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1972 წელს შუქია აფრიდონიძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“,

სადოქტორო ნაშრომი კი (2003) მკვლევარმა მიმართვის ფორმათა სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხებს მიუძღვნა. ამ უკანასკნელის გადამუშავებული და შევსებული ვარიანტი („მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“) 2023 წელს მონოგრაფიად გამოიცა.

ქალბატონი შუქია 25 წლის განმავლობაში (1982-2006) ხელმძღვანელობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებას და იყო ამავე განყოფილების სამეცნიერო კრებულის – „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ რედაქტორი.

მრავალმხრივია შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროც და კვლევის დიაპაზონიც – ფონეტიკა, მორფოლოგიასინტაქსი, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფია, ონომასტიკა-ტოპონიმოკა, ორთოგრაფია, მეტყველების კულტურა, ეთნოლინგვისტიკა...

ქალბატონი შუქია არაერთი მონოგრაფიის, ნორმათა პროექტისა და ასობით სამეცნიერო სტატიის ავტორია, აგრეთვე – ორთოგრაფიული, სტილისტიკური თუ თარგმნითი ლექსიკონების ავტორ-შემდგენელი და რედაქტორი. მკვლევარი სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებსა და კონფერენცია-სიმპოზიუმებში. მისი ნაშრომები ყოველთვის გამოირჩეოდა ორიგინალური თეორიული დებულებებითა და ქართული ენის კვლევის ახალი ასპექტების წარმოჩენით.

შუქია აფრიდონიძეს ქართველი ხალხი, უპირველეს ყოვლისა, იცნობს ნაშრომით – „ჩვენი ენა ქართული“ (2002, 2007, 2009), რომელსაც საფუძვლად დაედო ქალბატონი შუქიას ხუთწლიანი სატელევიზიო გადაცემები თ. ნაცვლიშვილის მომხიბლავი მელოდიის, ანას ლექსისა („საქართველოო ლამაზო“) და გ. გეგეჭკორის განუმეორებელი ინტონაციით წარმოთქმული სიტყვების (შეცდომა... სწორია) ფონზე.

შუქია აფრიდონიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ გადამუშავებული (შევსებული) ვარიანტი (1998). მისივე თანამონაწილეობით შეიქმნა და გამოქვეყნდა „ქურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“ (2002), რომელსაც ახლავს ქალბატონი შუქიას მიერ მომზადებული მეტად საჭირო დანართები: პუნქტუაციის წესები, აბრევიატურათა მართლწერის საკითხები, უცხო

ენათა ზგერების ქართულად გადმოცემის ძირითადი პრინციპები და სხვ.

ქალბატონი შუქიას თანაავტორობით გამოცემულია სხვადასხვა სახის ორთოგრაფიული თუ სტილისტიკური ლექსიკონი. მათ შორის: „ჭურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, წიგნი I (2009), რომელიც შედგენილია ზეპირი მეტყველების პროცესში დადასტურებული შეცდომების გათვალისწინებით; „ჭურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, წიგნი II (2011), რომელიც მიემდგვნა პრესის ენას (ამ სფეროში გამოვლენილ ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ შეცდომათა აღმოფხვრას); „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“ (2011) – პირველი ამ სახის ლექსიკონი საქართველოში; „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (2011), რომელიც შედგენილია სასკოლო სახელმძღვანელოებში დადასტურებული ორთოგრაფიული შეცდომების გათვალისწინებით; „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (2012) – შესაბამისი კომენტარებითა და დანართებით, რომელთა დიდი ნაწილი ქალბატონი შუქიას მომზადებულია.

შუქია აფრიდონიძის თანამონაწილეობით განხორციელდა აგრეთვე ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიც არის დიდი ინგლისურ-ქართული და დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონები. იგი აგრეთვე იყო რედკოლეგიის წევრი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა ბიულეტენებისა (№1-2, 1985, №3, 1987).

ქალბატონი შუქიას რედაქტორობით გამოიცა ასევე არაერთი მონოგრაფია: ლ. ლეჟავას „ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის ისტორია და პრინციპები“ (2004), პ. ცხადაიას „ონომასტიკის შესავალი“ (2005), ე. კოშორიძის „მწერლის ენისა და სტილის საკითხები“ (2005) და მრავალი სხვა.

ქალბატონმა შუქიამ ვიოლა კალანდაძის გარდაცვალების შემდეგ გამოსაცემად მოამზადა მკვლევრის საკანდიდატო დისერტაცია „თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში“, რომელიც 2016 წელს მონოგრაფიად გამოქვეყნდა.

შუქია აფრიდონიძე იყო არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი თუ ოპონენტი. მკვლევრის რეცენ-

ზიები (არა მხოლოდ სადისერტაციო ნაშრომებზე) ყოველთვის გამოირჩეოდა განსახილველი საკითხის ამომწურავი ანალიზით, რაც არაერთგზის გამხდარა საფუძველი ამა თუ იმ პრობლემის შემდგომი კვლევისა.

ცალკე უნდა ითქვას შუქია აფრიდონიძის იმ სტატიების შესახებ, რომლებიც ეძღვნება ქართველ მწერალთა ენას. ქალბატონი შუქია იკვლევდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროს; ილიას, ვაჟას, დ. კლდიაშვილის, რ. ინანიშვილის, ა. კალანდაძისა და სხვათა უკვდავ ქმნილებებს. მკვლევარმა რუსულად აამეტყველა დიდი ანას პოეზია (2017), რაშიც მას უდავოდ დაეხმარა სამუსიკო განათლება – მელიოდის რიტმული სტრუქტურის სწორი აღქმა. ქალბატონი შუქია ხომ თავადაც ბრწყინვალე შემსრულებელი გახლდათ (ფორტეპიანოზე) კლასიკური (თუ საესტრადო) სამუსიკო ნაწარმოებებისა.

შუქია აფრიდონიძე დაჯილდოებული იყო გამორჩეული პიროვნული თვისებებით – პრინციპულობით, კეთილგანწყობით, ერთგულებით, მიმტყვებლობის საოცარი უნარით...

იოლი არ არის, თითქმის 50 წელი ემსახურებოდე ქართულ ენას პირველხარისხოვანი ნაშრომებით. ეს მხოლოდ ერთეულების ხვედრია, ხოლო მიზეზი პროფესიონალიზმის ისეთი რანგისა, როგორსაც ქალბატონი შუქია ფლობდა, მშობლიური ენისა და სამშობლოს სიყვარულია.

შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასებას, ბუნებრივია, ვერ დაიტევდა ერთი პატარა წერილი. სათქმელი სხვაც ბევრია.

ქალბატონი შუქიას ნაღვაწი იცოცხლებს მანამ, ვიდრე იარსებებს **ჩვენი ენა ქართული**.

Tamar Vashakidze

Shukia Apridonidze – the Patroness and Norm-Setter for the Georgian Language

Summary

The paper analyzes the scientific activities of the famous Georgian linguist Shukia Apridonidze; The monographs and scientific papers of the scholar, as well as the orthographic-stylistic dictionaries, the compiler-editor or co-editor of which was Mrs. Shukia are briefly discussed. We also discuss Shukia Apridonidze's deeds as the author of the norms. The pedagogical activities of the scholar are also evaluated.

თეა ბურჭულაძე

შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“

მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“ პროფ. შუქია აფრიდონიძის ერთ-ერთი გამორჩეული კვლევაა. ნაშრომი წარმოადგენს ნარკვევს სიტყვათგანლაგების შესახებ, რომელიც ქართული ენის სინტაქსისა და სტილისტიკის აქტუალურ საკითხებს ეხება. ამ თვალსაზრისით მასში საგანგებოდაა შესწავლილი მარტივი წინადადება ახალ ქართულში – XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის ჩათვლით. მასალად უმეტესად გამოყენებულია აღნიშნული პერიოდის ქართველ კლასიკოსთა პროზაული ნაწარმოებები, ნაწილობრივ – ორიგინალური სამეცნიერო და თარგმნილი მხატვრული ლიტერატურა, აგრეთვე ზეპირი მეტყველების ნიმუშები. ნაშრომს ერთვის სათანადო სიხშირული ცხრილები.

თავად საკითხი შუქია აფრიდონიძის საკანდიდატო დისერტაციის თემა გახლდათ, რომელიც მკვლევარმა წარმატებით დაიცვა 1972 წელს. მონოგრაფია კი გამოიცა 1986 წელს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ მანამდე ქართულ ენათმეცნიერებაში სიტყვათგანლაგების საკითხისადმი მიძღვნილი ერთადერთი მონოგრაფია გახლდათ ს. გიორგაძის ნაშრომი, რომელიც ქალბატონი შუქიას წიგნამდე 70 წლის წინ გამოიცა. მოგვიანებით დაიბეჭდა რამდენიმე სპეციალური წერილი სიტყვათა რიგის შესახებ, მაგრამ გამოწვლილვითი ანალიზი აქამდე არ ყოფილა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში უხვი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულია სიტყვათგანლაგების ფუნქციური დახასიათება, შესწავლილია წინადადების წევრთა პოზიციები ახალი ქართულის მარტივ წინადადებაში – დამოუკიდებლად (მათი ადგილის მიხედვით წინადადებაში) და სხვა წევრებთან მიმართებით. ნაშრომში ასევე გამოვლენილია სიტყვათგანლაგების ბუნებრივი, ნაკლებბუნებრივი თუ პრაქტიკულად გამოყენებული ვარიანტები, ამა თუ იმ წყობის (პირდაპირის, ინვერსიუ-

ლის) ხელშემწყობი ფაქტორები. გარდა ამისა, მასში გათვალისწინებულია წინადადების წევრთა თანამიმდევრობის ზოგიერთი შეზღუდვის საკითხი და მათი წარმომშობი პირობები, რისთვისაც საგანგებოდაა მოხმობილი ძველი ქართულის მონაცემებიც.

ნაშრომში აგრეთვე განხილულია სხვა არაერთი საკითხი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება სიტყვათგანლაგების საკითხს: წინადადების წონასწორობა, პაუზისწინა სიტყვის მარცვალთრაოდენობა და სხვ. კვლევა მეტად ფასეულია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში ენის განვითარების ბუნებრივი ტენდენციების შესასწავლად გათვალისწინებულია დიალექტური მასალა – როგორც დიალოგური, ისე მონოლოგური მეტყველების ნიმუშები.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მონოგრაფიაში ავტორი ტერმინებს – **სიტყვათა რიგი, წყობა** – ამჯონინებს სიტყვათგანლაგებას (ბ. ფოჩხუას ტერმინი), რადგან, მკვლევრის შეფასებით, იგი გულისხმობს როგორც ცალკეულ სიტყვათა პოზიციას, ასევე მათს თანამიმდევრობას.

მეცნიერი ნაშრომის შესავალშივე მიუთითებს, რომ აფიქსებით მდიდარ ახალ ქართულში სიტყვათგანლაგებას არ აქვს გრამატიკული მნიშვნელობა. ეს დებულება შემდეგნაირადაა არგუმენტირებული: ის არ მონაწილეობს სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის დამყარებაში – არ აკისრია წინადადების წევრთა განმასხვავებელი ფუნქცია. ამიტომ ახალი ქართული ენის სინამდვილეში სიტყვათგანლაგება არ გამოდგება ენის სიტემის ფუნქციურ მახასიათებლად. მკვლევარი ასკვნის: სიტყვათგანლაგების საკითხი მხოლოდ ენობრივი უზუსის, ნორმის საკითხს უკავშირდება. გრამატიკული ფუნქციის უქონლობის პირობებში მკაფიოდ ვლინდება საკომუნიკაციოსთან ერთად სიტყვათგანლაგების სტილისტიკური ფუნქცია.

მნიშვნელოვანია ავტორის თვალსაზრისი სიტყვათგანლაგების არსის შესახებ: „სიტყვათგანლაგების სიმყარე-თავისუფლების შეფარდება გულისხმობს მისი ფუნქციების – გრამატიკულისა და სტილისტიკურის შესაბამისად შეფარდებას“ [აფრიდონიძე 1986: 9]. მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ინტონაცია და ადგილმდებარეობა სინტაქსურ საშუალებად ითვლება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ფორმის ფუნქციას არ ასრულებენ, მკვლევარი მიუთითებს, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როცა სიტყვათგანლაგება

გრამატიკული დანიშნულებითაა, იგი მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს. გრამატიკულ ფუნქციაში, ჩვეულებრივ, ივარაუდება წინადადების წევრთა განმასხვავებელი ფუნქცია. „თავისუფალი რიგის“ შემთხვევაში კი იგი დაცლილია აღნიშნული დანიშნულებისაგან: რიგს აფიქსები ენაცვლება. სამაგიეროდ, საკომუნიკაციო ფუნქციის შენარჩუნებასთან ერთად, იგი იძენს სტილისტიკურ ფუნქციას, რის გამოც სიტყვათგანლაგება არსებითად სტილისტიკის შესასწავლ საგნად იქცევა. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ, ცხადია, არ გამოირიცხება სიტყვათა ჩვეულებრივი განლაგება ზოგიერთ გამოთქმა-კონსტრუქციაში, მაგრამ იგი არ განსაზღვრავს სიტყვათა გრამატიკულ როლს, ვინაიდან ყოველთვის შეიძლება მის ნაცვლად სხვა წყობა გამოვიყენოთ [აფრიდონიძე 1986: 9].

მკვლევრის მითითებით, სიტყვათგანლაგების ადგილი ენაში მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის. იგი ენის სხვადასხვა დონის გადაკვეთის უბანს წარმოადგენს: განსაზღვრება როგორც სინტაქსური და მორფოლოგიური (ე. ი. გრამატიკული), ისე რიტმიკულ-ინტონაციური, ე. ი. ფონეტიკური ფაქტორებითაც. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში სიტყვათგანლაგების ცნება ტრადიციულად წინადადების წევრთა განლაგებას გულისხმობს – ე. ი. სინტაქსური თვალსაზრისით მოიაზრება, ანალიზისას გათვალისწინებულია, მორფოლოგიურთან ერთად, ფონეტიკური ფაქტორებიც, განსაკუთრებით, ე. წ. „აქტუალური დაყოფის“ მიერ მოპოვებული შედეგები [აფრიდონიძე 1986: 9-10].

საკვლევი საკითხების მეტი სიღრმისეული ანალიზისათვის ავტორი გამიჯნავს სხვადასხვა მოდალობის, სიგრძისა და შედგენილობის მქონე წინადადებებს. გათვალისწინებულია ასევე, ერთი მხრივ, ზმნათა პირიანობა და გარდამავლობა, მეორე მხრივ კი – დროულ-კილოური სემანტიკა.

გამოტანილია დასკვნა, რომ ახალ ქართულში ზმნის პოსტპოზიცია ძირითადად რეგულარულ გარდაუვალ ზმნებზე ვრცელდება, ამ უკანასკნელთან კი ქვემდებარე სახელობითშია. იგივე ითქმის ქვემდებარის დისტანციურ პრეპოზიციაზე შემასმენლის მიმართ ძველსა და ახალ ქართულში. რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს, ახალ ქართულში მისი პოზიცია კიდევ უფრო დაშორდა ადრინდელს. ასე რომ, ტრადიციის ძალა აქ უკვე მინელებულია – აღნიშნავს ავტორი.

შ. აფრიდონიძე ნაშრომში მსჯელობს წინადადების წევრთა პო-
ზიციებზეც თხრობით წინადადებაში. მიუთითებს ერთ გარემოებაზე
– მიუხედავად იმისა, რომ შემასმენლის ადგილი განსაზღვრული არ
არის, მაინც შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებანი, კერძოდ, შე-
დარებით მოკლე წინადადებებში ჭარბობს ბოლოკიდური პოზიცია.
ხოლო ხუთწევრა წინადადებებიდან მოყოლებული შემასმენელი წი-
ნისაკენ მიისწრაფვის. მკველვარი ვარაუდობს, რომ ერთ-ერთი მიზე-
ზი შემასმენლის ბოლოკიდურობისა თანამედროვე ქართულში გა-
ხდა პირდაპირი დამატების წინ (მარცხნივ) გადმოწევა. მეორე მნიშ-
ვნელოვანი ცვლილება, რომელიც განიცადა სიტყვათგანლაგებამ და
რომელიც შეიქმნა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შემასმენლის ბო-
ლოსკენ (მარჯვნივ) გადაწევისა, არის მსაზღვრელ-საზღვრულის
წყობის შეცვლა [აფრიდონიძე 1986: 118].

ნაშრომში აღნიშნულია, რომ ვინაიდან მსაზღვრელის ადგილი
ახალ ქართულში განსაზღვრულია (ჩვეულებრივ, იგი წინ უძღვის სა-
ზღვრულს და, ამდენად, მის განსაზღვრას ფასი აქვს მხოლოდ ატრი-
ბუტული სინტაგმის ფარგლებში), ავტორი არ განიხილავს მას. რო-
გორც თავად მიუთითებს, წინადადების „ჩონჩხის“ აგებაში მსა-
ზღვრელი თითქმის არ მონაწილეობს. ამიტომ ნაშრომში განხილუ-
ლია მხოლოდ შემასმენელთან სინტაქსურად დაკავშირებული სი-
ტყვების („წინადადების წევრის“ ცნებაც სწორედ ასე გვესმის“ – შ. აფ-
რიდონიძე) პოზიციისა და თანამიმდევრობის საკითხები [აფრიდო-
ნიძე 1986:10].

მკველვარი შენიშნავს: სხვადასხვა მოდალობის წინადადებათა
ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულ წინადადებაში მოქმე-
დებს ერთგვარი წონასწორობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს
წინადადების აგებას შემდეგი თანამიმდევრობით: მსუბუქი + მძიმე
(ან სხვანაირად: მოკლე + გრძელი) ერთეულები. ამ თვალსაზრისით
კითხვითი წინადადებების ანალიზი უფრო თვალსაჩინო შედეგს იძ-
ლევა.

შ. აფრიდონიძე აღნიშნავს, რომ ყველა ის ნიშანი თუ ტენდენ-
ცია, რომელიც ახასიათებს სიტყვათა განლაგებას თხრობით წინადა-
დებაში, მეტ-ნაკლებად თავს იჩენს კითხვით, ბრძანებით წინადადე-
ბებში, თუმცა მათში ჩნდება გარკვეული სპეციფიკური ნიშნებიც. აქე-
დან ზოგი მათგანი უნივერსალური, ზოგადენობრივია, ზოგიც სა-
კუთრივ ამა თუ იმ ენისათვის არის დამახასიათებელი. მაგალითად,

უნივერსალურ ნიშნად ითვლება განსხვავებული ინტონაცია და სიტყვათა ინვერსიული განლაგება. შესაბამისად განსხვავებულია წინადადებათა სიგრძეც: შედარებით მოკლე წინადადებები ჭარბობს. ამის მიზეზი აღნიშნულ წინადადებათა ინტონაციურ მოდელშია საძიებელი [აფრიდონიძე 1986: 70].

სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით, მონოგრაფიაში დეტალურადაა გამოკვლეული კითხვითი წინადადების თავისებურებანი. ის განხილულია ორი სახის კითხვით წინადადებაში: ე.წ. „სპეციალურ კითხვებში“, რომლებშიც კითხვითი სიტყვა-წევრები მონაწილეებს, და „ზოგად კითხვებში“, რომლებიც **ჰო** ან **არა** პასუხებს მოითხოვს და არ შეიცავს კითხვით სიტყვა-წევრებს [აფრიდონიძე 1986: 70]. ავტორი მიუთითებს, რომ „სპეციალურ კითხვებში“ შეინიშნება კითხვითი სიტყვა-წევრის ფიქსირებული პოზიცია შემასმენლის წინ, რის გამოც შესაძლებელი ხდება ორი სიტყვის გაერთიანება ერთ ჯგუფში (კითხვით ჯგუფში). მას უპირისპირდება დანარჩენი წევრებისგან შედგენილი მეორე ჯგუფი – დადებითი ჯგუფი. ამ ჯგუფების ურთიერთგანლაგება არსებითია „სპეციალურ კითხვაში“ სტილისტიკური ელფერის გასარჩევად. გამოტანილია დასკვნა, რომ „დადებითი“ და „კითხვითი“ ჯგუფების განლაგება შედარებით თავისუფალია, მაგრამ რამდენადმე ჭარბობს „კითხვითი ჯგუფის“ პრეპოზიცია.

როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, მეცნიერი სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით ადარებს ძველი და ახალი ქართულის ვითარებას. მნიშვნელოვანია შესაბამისი დასკვნა: დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების, კერძოდ, უნიფიკაციის ტენდენციის განხორციელების შედეგად (ნომინატივისა და დატივის სინტაქსურ ძალთა გათანაბრება, სინტაგმის მმართველი წევრის პოზოციური გათანაბრება შემთანხმებელთან...) სიტყვათგანლაგების ძველი სისტემა მოიშალა, მაგრამ მასში მოქმედი წესების კვალი სავსებით არ გამქრალა: ფუნქციურად შეპირობებული ყალიბები ამჟამად ტრადიციული – უზუალური სახითღა განაგრძობს არსებობას.

საინტერესოა სიტყვათგანლაგების ანალიზი ე. წ. ავტორისეულ წინადადებაში. შ. აფრიდონიძის კვლევით, ის ავლენს შემდეგ კანონზომიერებებს: ა) ავტორისეული რემარკის შემასმენელი, იმისდა მიუხედავად, უსწრებს თუ მოსდევს პირდაპირ ნათქვამს, უშუალო მეზობლობაშია ამ უკანასკნელთან: უშუალოდ უსწრებს, როცა რემარკა

პრეპოზიციურია. იქვე მკვლევარი მიუთითებს: თუ ავტორისეული წინადადების რომელიმე წევრი გართულებულია, შეინიშნება გართულებული ერთეულის სწრაფვა ბოლოკიდური პოზიციისადმი. ამავე ტენდენციის გამოხატულებაა განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების ბოლოკიდურობა; ბ) ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში, რომელიც პოსტპოზიციურ ავტორისეულ რემარკას შეიცავს, თავკიდური შემასმენელი ტონს აძლევს დანარჩენ შემასმენელებს: ეს უკანასკნელნი თავ-თავიანთ სინტაგმებში პირველი შემასმენელის იმიტაციით პრეპოზიციამში დგებიან, რაც სინტაქსური პარალელიზმის ერთ კერძო შემთხვევას წარმოადგენს.

მოწოგრაფიაში მნიშვნელოვანია ემფაზის საკითხის ანალიზი. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროს ვლინდება ავტორის სურვილი – ხაზი გაუსვას და წინ წამოსწიოს მისთვის მნიშვნელოვანი სიტყვა თუ სიტყვათა ჯგუფი. ამდენად, წინ გადმონაცვლებული სიტყვა (სიტყვები) ექცევა წინადადების ძლიერ ინტონაციურ ნაწილში და იძენს მახვილს. ამის შედეგად ირღვევა თხრობითი წინადადებისათვის დამახასათებელი მშვიდი დინება, წინადადების თავში გროვდება „მძიმე ჯგუფი“, რომელსაც მოსდევს „მსუბუქი ჯგუფი“ ამგვარი წინადადებისათვის ტიპობრივი ინტონაციითურთ. მაშასადამე, ხდება არათანაზომიერ სიმძიმეთა გადაადგილება [აფრიდონიძე 1986: 92]. კვლევის შედეგად გამოიყო ერთეულთა ემფატიზებისათვის ხელსაყრელი პოზიციები. იგულისხმება მათი გამოყოფა მათ შორის უმახვილო – ფრაზული მახვილის უქონელი – ერთეულის ჩართვით. მკვლევარი დაასკვნის: „გამთიშველი უმახვილო ერთეული პაუზის ერთგვარი მარეალიზებელია და წარმოადგენს ხელსაყრელ ფონს ხაზგასასმელ ერთეულთა გამოსაკვეთად“ [აფრიდონიძე 1986: 92]. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი მხრივ, ემფაზის საკითხმა და ინვერსიის სტილისტიკურმა დანიშნულების ფაქტორმა, მეორე მხრივ, დღის წესრიგში დააყენა **ინვერსიის ოდინდელი ემფატიკურობის** საკითხიც. წარმოდგენილია მსჯელობა ინვერსიის ემფატიკურობის ორგვარი გაგების შესახებ: თუ პირველი რამდენადმე სუბიექტურია და ითვალისწინებს ინვერსიის ექსპრესიული ძალის გამოვლენას ნებისმიერი გაცვეთილი შეხამების ფონზე, მეორე გაგება გულისხმობს ობიექტურ პირობებს ემფაზისათვის. გამოიყო ისტორიულად სავარაუდო საფეხურები: 1. ემფატიკური პოსტპოზიციამ; 2. არაემფატიკური პოსტპოზიციამ; 3. არაემფატიკური პრეპოზიციამ.

საერთო დასკვნა სიტყვათგანლაგების შესახებ ასეთია: დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების გამო სიტყვათგანლაგების ძველი სისტემა მოიშალა, მაგრამ მასში მოქმედი წესების კვალი სავსებით არ გამქრალა: ფუნქციურად შეპირობებული ყალიბები ამჟამად ტრადიციული – უზუალური სახითა განაგრძობს სვლას.

უდავოა, რომ შ. აფრიდონიძის მონოგრაფია „სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში“ მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, რომელიც გამოირჩევა ქალბატონი შუქიასათვის დამახასიათებელი კვლევის სიღრმითა და საკითხის არგუმენტირებული დასაბუთებით. ნაშრომი დიდ დახმარებას უწევს სტილისტიკისა და სინტაქსური საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს...

ლიტერატურა

აფრიდონიძე 1986 – შ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში, თბილისი.

Tea Burchuladze

Shukia Apridonidze's Monograph "Word Arrangement in New Georgian"

Summary

The monograph "Word Arrangement in New Georgian" is one of the outstanding studies of Prof. Shukia Apridonidze. The work discusses the word order, which deals with topical issues of syntax and stylistics of the Georgian language. From this point of view, the simple sentence in new Georgian is specially studied in it from the second half of the 19th century to the 20th century. Prose works of Georgian classics of the mentioned period are mostly used as material, while in some cases original scientific

and translated literature, as well as samples of oral speech are discussed. The paper is accompanied by appropriate frequency tables.

Sh. Apridonidze's monograph "Word Arrangement in New Georgian" is an important study, which is distinguished by the depth of research and the argumentative justification of the issue that was typical of Mrs. Shukia. The work is of great help to researchers or people interested in stylistic and syntactic issues.

ქეთევან დათუკიშვილი

შუქია აფრიდონიძე და „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“

„ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“ მომზადდა არ-ნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში და გამოიცა 2002 წელს. ეს არის პირველი ქართულენოვანი სტილისტიკური ცნობარი, რომელიც განკუთვნილია ჟურნალისტებისა და მედიის სპეციალისტებისთვის. ნაშრომი შესრულდა ICFJ-ის გრანტის საშუალებით, ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობდნენ ევრაზიის ფონდი და ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი.

პროექტზე მუშაობდნენ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, მათ შორის – ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ყველა წევრი. მოწვეულები იყვნენ აგრეთვე სპეციალისტები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ქართული ენციკლოპედიიდან. ამ რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოს კოორდინატორი ქალბატონი შუქია აფრიდონიძე იყო. იგი ხელმძღვანელობდა ცნობარის შექმნას.

პროექტის პირველი ეტაპი გულისხმობდა თანამედროვე ქართული პრესის ენისა და სტილის მეცნიერულ კვლევას. საგანგებოდ იქნა შესწავლილი 25-ამდე დამოუკიდებელი გაზეთის ენა (2001 წლის ნომრები). მასალის ანალიზის შედეგად შეირჩა ყველაზე ტიპობრივი შეცდომები და უზუსტობანი, რომლებიც შესაბამისად აისახა „ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“.

ამ ნაშრომის შედეგების მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენდა ის ლექსიკოგრაფიული წყაროები და ნორმატიული ცნობარები, რომლებიც იმ დროისათვის იყო გამოცემული: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ვარლამ თოფურისა და ივანე გიგინეიშვილის „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, საკუთარ სახელთა ორთოგრაფიული ლექსიკონები, ქართული სიტყვის კულ-

ტურის საკითხების I-XI ტომები და სხვ. ამასთან, გათვალისწინებული იყო უცხოურ (ძირითადად რუსულ და ინგლისურ) ენებზე არსებული მსგავსი გამოცემები.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით შეიქმნა ცნობარის კონცეფცია, რომლის ძირითადი ავტორი ქალბატონი შუქია აფრიდონიძე იყო. ნაშრომი უნდა მომზადებულიყო ჟურნალისტებისა და მედიის სპეციალისტთა მოთხოვნების შესაბამისად. ცნობარის სტრუქტურასა და შინაარსში ზუსტად წარმოჩნდა ეს სპეციფიკა. მასში კომპაქტურად არის წარმოდგენილი ენობრივი თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა აღნიშნული დარგის წარმომადგენელთათვის.

ცნობარის ძირითად ნაწილს ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი წარმოადგენს, მას ახლავს დანართი, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება.

ლექსიკონში მოცემულია თანამედროვე ქართულ პრესაში დადასტურებული ყველაზე გავრცელებული ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები და ხარვეზები. ცალკეულ სიტყვაფორმათა დაწერილობასთან ერთად, წარმოდგენილია გავრცელებული შესიტყვებები, ახსნილია მათი სინტაქსური თუ სტილისტიკური თავისებურებანი. ტიპობრივი შეცდომების გარდა, გათვალისწინებულია ახალი ლექსიკა, კერძოდ, საინფორმაციო საშუალებებში დადასტურებული უცხოური ნასესხობების უადგილოდ გამოყენების შემთხვევები, ამგვარ სიტყვებს ახლავს მცირე კომენტარები, მაგალითად:

პოზიცია 1. განლაგება, მდგომარეობა (*სამხ.* – ჯარისა, *კადრ.* – ფიგურებისა); 2. გადატ. შეხედულება, თვალსაზრისი; 3. ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება „ხელისუფლების“ მნიშვნელობით – **ოპოზიციის** საპირისპიროდ (მაგ.: **პოზიცია** და **ოპოზიცია**).

ოფიციალი ბეჭდვითი ორგანო, რომელიც გამოხატავს ხელისუფლების თვალსაზრისს, თუმცა მის ოფიციალურ ორგანოდ არ ითვლება. ქართულ მედიაში ეს სიტყვა ზოგჯერ უმართებულოდ იხმარება თვით **ხელისუფლების** სინონიმად.

ორთოგრაფიული ლექსიკონებისგან განსხვავებით, ცნობარში შევიდა საკუთარი სახელებიც, რომლებშიც გვხვდება ტიპობრივი შეცდომები. მაგალითად, **კაბუკი**, რომელიც **ო-**ხმოვანფუძიანია, ხშირად არასწორი ფორმით გამოიყენება მოთხრობითსა და მიცემით

ბრუნვებში (კაბუკმა, კაბუკს), რადგან **o** სახელობითი ბრუნვის ნიშნად არის გააზრებული. შესაბამისად, ლექსიკონში ამ ბრუნვათა სწორი და მცდარი ვარიანტებია დასახელებული:

კაბუკი (კლასიკური თეატრის ერთ-ერთი სახე იაპონიაში) კაბუკიმ, *მიც.* კაბუკის [და რა კაბუკმა, კაბუკს]

გეოგრაფიულ სახელებში ტიპობრივ შეცდომად იქნა მიჩნეული ა-ზე გათავებულ გეოგრაფიულ სახელთა უკვეცელობა, ამიტომ ამგვარი სიტყვები შეტანილია ლექსიკონში, მითითებულია კვეცადი ფორმები შესაბამის კონტექსტებში:

ალაბამა ალაბამიდან, ალაბამის [და არა ალაბამადან, ალაბამას] შტატი

გაგიდა გაგიდიდან, სოფ, გაგიდის [და არა გაგიდადან, სოფ. გაგიდას] მოსახლეობა

ლექსიკონში წარმოდგენილია ის ზმნური ფორმები, რომლებშიც ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური თვალსაზრისით გვხვდება გარკვეული პრობლემები, როგორებიცაა: III ობიექტური პირის ნიშანთა გამოყენება, ძველი ზმნისწინების ხმარება, -ავ და -ამ თემის ნიშანთა დართვა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარონიმებს. თუ ორთოგრაფიულ ლექსიკონში ეს ერთეულები „მაგრამ“ აღნიშვნით იყო წარმოდგენილი, ცნობარში ისინი მოცემულია „შდრ.“ აღნიშვნით:

მცნება („მოჰყევ დავითის მცნებასა“), მაგრამ ცნება (სიკეთისა, სილამაზისა) (ქეოლი)

მცნება 1. დმერთის მიერ ადამიანისათვის დაწესებული უმთავრესი კანონი: ათი მცნება; 2. სახელმძღვანელო დებულება: „მოჰყევ დავითის მცნებასა: ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“ (დ. გურამიშვილი). *შდრ.* ცნება (ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი)

ლექსიკონში ორთოგრაფიულად წარმოდგენილია როგორც სიტყვაფორმები, ისე შესიტყვებები.

ცნობარში გამოყენებულია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ გატარებული [და არა] [კი არა] აღნიშვნები, აგრეთვე სხვა პირობითი ნიშნები: //, (), [] სალიტერატურო ენაში თანაბარი მნიშვნელობის მქონე სიტყვების, ნორმატიული თვალსაზრისით დასაშვები ფორმებისა თუ სხვათა აღსანიშნავად.

განსაკუთრებული ფუნქცია აქვს ცნობარის დანართს. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

1. დანართში „ზოგიერთი აბრევიატურა“ მოცემულია ჩამონათვალი აბრევიატურებისა. მათ წინ უძღვის მოკლე აღწერა და წესები, რომლებშიც მოცემულია ცდა, გარკვეული პრინციპით დალაგდეს სხვადასხვა ტიპის აბრევიატურები, რომელთა დაწერილობა ქმნის საკმაოდ ჭრელ სურათს.

2. პუნქტუაციის წესები – აქ დაწვრილებით არის აღწერილი ყველა სასვენი ნიშნის ხმარების შემთხვევები, დასახელებულია შესაბამისი მაგალითები; აქვეა განხილული დეფისის გამოყენების შემთხვევები, რომელთა უმეტესობა კომპოზიტების მართლწერას უკავშირდება და მნიშვნელოვანია ორთოგრაფიული თვალსაზრისით.

3. უცხო ენათა ბგერების ქართულად გადმოცემის ძირითადი წესები – დანართში ნათქვამია: „ტრანსლიტერაციის ამ წესებს ემორჩილება როგორც საერთაშორისო სიტყვა-ტერმინები, ისე საკუთარი სახელები“ (გვ. 232).

4. ტიპობრივი ენობრივ-სტილისტიკური შეცდომები თანამედროვე ქართულ პრესაში – ამ დანართის შესადგენად, როგორც აღვნიშნეთ, გაანალიზებულია 2001 წლის ქართული დამოუკიდებელი გაზეთები. მასალა კლასიფიცირებულია. უნდა აღვნიშნოს, რომ შეცდომათა კლასიფიკაცია და მათი სისტემურად აღწერა პირველად სწორედ ამ ცნობარშია მოცემული. გამოყოფილია სამი ტიპის შეცდომა: ორთოგრაფიულ-გრამატიკული, პუნქტუაციური და ლექსიკურ-სტილისტიკური.

1. ორთოგრაფიულ-გრამატიკულ შეცდომებში ცალ-ცალკეა განხილული წმინდა ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური სახის პრობლემები. საინტერესოა შეცდომათა აღწერის ფორმატი: აქ წესები კი არ არის წარმოდგენილი, არამედ დასახელებულია საკითხი და შემდეგ მოცემულია შესაბამისი მცდარი ფორმები, მაგალითად:

მესამე ობიექტური პირის **ს** / **ჰ** ნიშნების ჭარბი ხმარება ერთპირიან ზმნებში (წარსდგა, შესდგება, მიჰქრის) ან დაკლება (ჭირდება, გავს, ყავს, მოწონს, ქონდა) (გვ. 238).

ზოგჯერ ერთ საკითხად არის გაერთიანებული სხვადასხვა სახის შეცდომები, მაგალითად: ზოგიერთი სიტყვის (ნაცვალსახელის,

ზმნიზედის) უმართებულო ფორმაწარმოება (ჩვენთაგანი, თქვენთაგანი; ახლახანს...).

ზედმეტი ხმოვნები ზოგ ქართულ სიტყვაში (რამოდენიმე, მომსახურება, განზოგადობა, წარმოჩინდა, ყიდიდა, გააგზავნის...) (გვ. 237).

დანართის მიზანი არ არის შეცდომის საფუძვლის ახსნა. მისი დანიშნულებაა მაქსიმალური სისრულით, ამავე დროს კომპაქტურად წარმოდგინოს ენაში გავრცელებული ტიპობრივი შეცდომები, რისთვისაც ზუსტად არის შერჩეული ფორმატი.

II. პუნქტუაციურ შეცდომებში განხილულია ტიპობრივი შემთხვევები, რომლებიც გულისხმობს სასვენი ნიშნის დაკლებას, ჭარბ ხმარებას ან ერთის ნაცვლად სხვა სასვენი ნიშნის გამოყენებას. ამგვარ შეცდომათა დიდი წილი მძიმის არასწორ გამოყენებას უკავშირდება. დანართში მოცემულია ეს ვარიანტები.

III. ლექსიკურ-სტილისტიკურ საკითხებში განხილულია ენობრივი შეცდომები, რომლებიც შემდეგ საკითხებს უკავშირდება: სიტყვაწარმოება, სიტყვის შერჩევა, პარონიმები, სიტყვათა რიგი, კალკი, ჟარგონი, ბარბარიზმები, ვულგარიზმები და სხვ.

5. შემდეგი დანართია „ცნობები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების შესახებ“. ეს არის ცხრილის სახით წარმოდგენილი მასალა, რომელშიც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: ქვეყანა; ოფიციალური სახელწოდება; დედაქალაქი; ოფიციალური ენა (ენები); ფულის ერთეული. ეს დანართი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მართლწერის თვალსაზრისით, არამედ შეიცავს ჟურნალისტებისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა ინფორმაციას.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ჟურნალისტურ პრაქტიკაში – ეს არის კიდევ ერთი პრაქტიკული ხასიათის დანართი მედიის წარმომადგენელთათვის.

აღნიშნულ ცნობარზე მუშაობისას გამოიკვეთა ამგვარ ლექსიკონთა შედგენის ძირითადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც შემდგომში მომზადდა ამავე ტიპის გამოცემები: „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I“; „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II“; „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“; „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ და სხვ.

„ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარის“ გამოქვეყნებიდან 20 წელზე მეტი გავიდა. ამ პერიოდში შეიქმნა და გამოქვეყნდა სხვადასხვა ნორმატიული ნაშრომი, რომლებშიც საფუძვლიანად არის შესწავლილი ცნობარში დასმული არაერთი პრობლემა: სახელმწიფო ენის დეპარტამენტში მომზადდა და დამტკიცდა ტრანსლიტერაციის წესები სხვადასხვა ენისათვის, ენათმეცნიერების ინსტიტუტში მომზადდა და გამოიცა „ქართული ენის სიტყვათმეცნიერებათა ლექსიკონის“ ელექტრონული ვერსია და სხვ. მაგრამ „ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“ წარმოდგენილი ინფორმაცია დღემდე აქტუალურია და ეს ნაშრომი კვლავ რჩება სამაგიდო წიგნად როგორც ჟურნალისტებისათვის, ისე ქართული ენის მკვლევართათვის.

Ketevan Datukishvili

Shukia Apridonidze and "Stylistic Dictionary for Journalists"

Summary

The paper discusses "Stylistic Dictionary for Journalists" and shows its main principles. On the one hand, the orthographic-stylistic dictionary, which is the main part of the work, and on the other hand, the annex accompanying the dictionary are described. It gives the information about the process of compiling the dictionary; It is noted that the coordinator of this difficult and responsible work and the author of the concept of the work was Mrs. Shukia Apridonidze.

თამარ ვაშაკიძე

შუქია აფრიდონიძე – მთარგმნელი

2017 წელს გამოიცა რუსულ ენაზე თარგმნილი ანა კალანდაძის ლექსები (120-ზე მეტი ლექსი კომენტარებითურთ). ალბათ საოცარ პოეტურ ალღოს უნდა ფლობდეს მთარგმნელი, დიდი ანას ქმნილებები უცხო ენაზე რომ აამეტყველოს. ქალბატონ შუქიას ეს საპასუხისმგებლო საქმეც იშვიათი ოსტატობით შეუსრულებია – თარგმანში შენარჩუნებულია ის სიფაქიზე, მოკრძალება და კდემამოსილება, მხოლოდ ანას ზნემაღალ პოეზიას რომ ახლავს და თხემით ტერფამდე იპყრობს მკითხველს. თვალშისაცემია აგრეთვე შუქია აფრიდონიძის მიერ იშვიათი გემოვნებით შერჩეული მხატვრულ-სტილისტიკური მახასიათებლები და რითმულ-რიტმული სტრუქტურის ყალიბები. მაგალითად, ლექსში „საქართველოო ლამაზო“ მთარგმნელი ძველი რუსულის წიაღიდან ირჩევს ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს სათქმელის უფრო პოეტურად წარმოსაჩენად (მაგ., ძვ. რუს. **ворог** „მტერი“); ამავდროულად ინარჩუნებს ორიგინალის რვამარცვლიან ტაქსს და მოიხმობს იშვიათი ჰარმონიულობით შეწყვილებულ სარითმო ერთეულებს (конь-„Мерани“ – через грани):

„აქ დაიბადა „სულიკო“, მზისკენ გაფრინდა „მერანი“... და თუნდაც გადმოსულიყო მტერი შმაგი და ვერანი...“	„Сулико“ отсюда родом, К солнцу взвился конь-„Мерани“... И копь ворог вероломно Перешёл бы через грани...“
---	---

სხვა ლექსშიც („მიჯნურმა ჩემმა“) კვლავ ძველრუსულისეული სიტყვის (**врата** „კარი“) თანხლებით იხატება ანას გულისტკივილი და იმედგაცრუება – მიჯნურმა მისმა მტერს რომ „ბაღის კარი გაუღო“. აღსანიშნავია, რომ სიტყვა **врата** ამავდროულად სარითმო ერთეულს ქმნის მომდევნო პწკარის სიტყვებთან: **врата – сада – врага**:

„მიჯნურმა ჩემმა... ჩემს მტერს ბაღის კარი გაუღო...“	„Любимый мой... Врагу моему отворил врата“
---	---

და შემოუძღვა ჩემს წალკოტში
მონურად, მდაბლად...”

Моего сада и выпустил врага
Низко, по-рабски...”

* * *

ქართველმა მკითხველმა კარგად იცის, რომ ანა კალანდაძე პოეტური გამეორების დიდოსტატია:

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონლოლმა და
ვერცა სპარსმა!
შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო!
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო!“

მთარგმნელისათვის ეს ყოვლისმომცველი განცდა – სამშობლოს ცის სიღრმისა – მის (ცის) სიმაღლესთანაც ასოცირდება (ლექსის პირველი პწკარის მიხედვით), რაც უცხო ენაზე გადატანილ სათქმელს გაცილებით მეტ ემოციას სძენს, ხოლო სიტყვა **глубок** რითმული ჩარჩოს (**глубок – смог – монгол**) ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტსაც წარმოადგენს:

„Ты столь высок, грузинский небосвод,
Ты столь глубок...
Никто под тобой врагом вошедший
Ужиться не смог,
Никто – ни турок, ни перс,
И ни монгол.
Славы твоей певцами стали
Ошки и Зарзма,
Древнее Тао.
Ты столь глубок, столь нежен,
Грузинский небосвод!“

მხატვრულ გამეორებაზეა აგებული აგრეთვე ლექსი „შუაღამისას მოვიხილე“. ნათარგმნი ტექსტი ფეხდაფეხ მიჰყვება ანას პოეტურ პწკარებს. ორგზის მოხმობილი (მხატვრული გამეორების სახით) სიტყვა **земного** ლექსის დასკვნით ნაწილში ჩანაცვლებულია ლექსიკური ერთეულით – **здешнего**, რომელიც ერთიმემა მომდევნო სტრიქონის ბოლოკვიდურ სიტყვას – **Небесного**:

„შუაღამისას მოვიხილე
წმინდა სავანე,
შუაღამისას მოვეყვი მას
ისევ და ისევ
არ მიწიურის კავშირისთვის,
არ მიწიურის,
არ მიწიურის გვირგვინისთვის,
არამედ... ცისა!“

„В полночь посетила я
Святую обитель,
В полночь пришла я
Вслед за ним – снова
Не для союза земного,
Не для земного,
Не для венца здешнего, –
Только... Небесного!“

საინტერესო ჩანს სინონიმურ ერთეულთაგან კონკრეტული პოეტური ეპიზოდისათვის ერთ-ერთის შერჩევის პრინციპი, მაგ., **луна** და **месяц**. რუსულში ორივე სიტყვა **მთვარეს** აღნიშნავს, თუმცა შუქია აფრიდონიმეს ლექსის „საქართველოო ლამაზო“ უცხო ენაზე გადატანისას უპირატესობა მიუნიჭებია მეორისათვის – **месяц** (რომელიც რუსულ ფოლკლორსა თუ რომანტიკოსთა შემოქმედებაში არაერთგზის დასტურდება):

„მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...“

„И, когда восходит месяц,
Сердце вот-вот полетит...“

არცთუ იშვიათად გარკვეული კოლორიტის შესაქმნელად (მაგ., ლექსში „ბოშა ქალი“) მთარგმნელი ირჩევს სწორედ იმ სახის ლექსიკურ ერთეულს (ამ შემთხვევაში – **чмокну**), რომელიც ყველაზე ადეკვატურად ასახავს პოეტის მიერ დახატულ კონკრეტულ გარემოს, კერძოდ, მეზღვაურის მიმართვას ლამაზი ბოშა ქალისადმი:

„მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...“

„Моряков чуть не заденет,
Скажут что – ответ готов...“

ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
– მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!

Преградил ей путь матрос:
– Пташка, чмокну хоть разок!

* * *

აღსანიშნავია აგრეთვე წარმოქმნილ ერთეულთა უცხო ენაზე კომპოზიტებად გადატანის შემთხვევები. მთარგმნელის მიერ შერჩეული თხზული სიტყვები საოცარი სიზუსტით ასახავს ანას პოეტურ სამყაროს, მაგალითად, ლექსში „აღარავინ აღარ მიყვარს“ კვითხულობთ:

„და... როდესაც მზეს შევხედე **გვირგვინოსანს**...“

შდრ.: „И... взглянула я на солнце – **венченокца**...“

ქართული წარმოქმნილი სახელიცა და რუსული კომპოზიტიც დროის გარემოების ფუნქციით წარმოდგება ლექსში „მოდითა ნინო მთებით“:

„ვის უნახავს **ვარდობსას** თოვლი მთებზე?!“

შდრ.: „Кто видал, чтоб снег лежал при **розоцветье**?!“

არის ისეთი შემთხვევაც (ლექსში „უარგიყვია სხივდაღვარული“), როცა კომპოზიტზე დამყარებული ქართული წარმოქმნილი სახელი (მაგ., **იავარდობა**) ანალოგიური ვარიანტით გადადის მთარგმნილ ტექსტში, მხოლოდ შეცვლილია რთული სიტყვის შემადგენელ კომპონენტთა რიგი (**розофиалковость**):

„გახსნია გული **იავარდობას**...“

შდრ.: „В бурном расцвете **розофиалковость**...“

ზოგჯერ თარგმანში კომპოზიტად წარმოდგება ქართული მსაზღვრელ-საზღვრული, შდრ., „ლურჯი მწვერვალები“ და „სინეგორე“ („მოდითა ნინო მთებით“), რაც საოცარ პოეტურობას მატებს უცხო ენაზე გადატანილ სათქმელს. ყურადღებას იქცევს აგრეთვე დისონანსურ სარიტმო ერთეულთა უბადლო წყვილები (**ветер – Джавахети, розы – грозно**):

„ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა,
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლადნენ“.

„Синегорье млечной мглой овеял ветер
И, когда в долинах цвели розы,
Снег лежал на склонах Джавахети,
В лесах буря бушевала грозно“.

* * *

მთარგმნელი ხშირად მიმართავს რუსულ თანხმოვანთა მხატვრული გამეორების ხერხსაც. მაგალითად, ლექსის „იშრიალე, იგუგუნე“ თარგმნილ ვარიანტში მკითხველს ხიბლავს ❖ ბგერის ალიტერაციაზე აგებული მხატვრული მონაკვეთი:

„ტყევ, დუმილი გვეყო, გვეყო,
მკვდარი არი, დღეს დუმს ვინცა...“

„Не молчи же, лес, очнись,
Нынче мёртвый, кто молчит...“

ანას ერთი ლექსი („ის ისე ჩუმად წავიდა ჩემგან“), რომელიც განუმეორებელი შედარებით არის დახატული, რუსულ ენაზე გადატანილ ტექსტშიც საოცარი პოეტურობით წარმოჩნდება, რასაც ასევე ემატება ❑ თანხმოვნის ალიტერაციითა და ❑ ხმოვნის ასონანსური ჟღერადობით გამოწვეული ეფექტი (Лучи лунные):

„ის ისე ჩუმად
წავიდა ჩემგან,
ო, ისე უხმოდ,
როგორც მიდიან
ყვავილებიდან
მთვარის სხივები...“

„Он от меня
Ушёл так тихо,
О, так бесшумно,
Как от цветов
Удаляются
Лучи лунные...“

* * *

სინტაქსურ მახასიათებელთაგან თვალშისაცემია პოსტპოზიციური მსაზღვრელი როგორც ორიგინალურ, ისე ნათარგმნ ტექსტში (მაგ., მონაკვეთი ლექსიდან „სიხარულს ჩემსას“):

„სიხარულს ჩემსას,
მზისკენ რომ ილტვის,
მეჩეზზე რიყავ“ – წერს ანა.

„Радость мою, что
К солнцу стремится,
Выносишь на мель“ – თარგმნის
შუქია აფრიდონიძე.

ინვერსიული მსაზღვრელი დასტურდება აგრეთვე ლექსში
„აჰა, კვლავ ჩემს წინ“:

„აჰა, კვლავ ჩემს წინ
წყარო უბიწო...“

„Вновь предо мною
Родник невинный...“

* * *

განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი შემთხვევები, როცა მთარგმნელი უცხო ტექსტშიც ინარჩუნებს ორიგინალის რითმულ სტრუქტურას (ამგვარი მონაკვეთები ზემოთაც იყო დამოწმებული). მაგალითად, ლექსი „უსმენს“ თერთმეტმარცვლიანი ტაეპით წარმოდგება ორივე ეპიზოდში (დედანსა თუ თარგმანში). აქვე დაჩნდება პოსტპოზიციური მსაზღვრელი სარიტმო ერთეულთა საოცარი წყვილითურთ:

„ირხევა, ბიბინებს კორდი პაწია, „Дышет, колышется полянка крошка,
თეთრი ყვავილების კაბა აცვია...“ Вся разодетая в белых цветочках...“

* * *

აღსანიშნავია, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში კითხვითი წინადადება ერთგვარ მხატვრულ-სტილისტიკურ მახასიათებლად გვევლინება. დიდ პოეტთან კითხვები ნაირგვარია: პასუხგაუცემელი („სხივი ციური უკვდავებისა განა ოდესმე მოვა ჩვენამდე?“), ალტერნატიულ-სათუო („ია განგებამ დახატა თუ ფიროსმანის ყალამმა?“) და სხვა. საინტერესოა, რომ მთარგმნელი აღნიშნული ტიპის შემთხვევებში სრულად ინარჩუნებს ანასეულ კითხვით ინტონაციას და მაქსიმალური სიზუსტით წარმოაჩენს პოეტის მოკრძალებულ ვარაუდსა თუ კითხვაში გამჟღავნებულ გულისტკივილს (მაგ., ლექსში „ასეთი დარი თუ იყო მაშინ?“):

„ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?“

„Такая ль погода стояла тогда,
Когда на Тбилиси перс напал?“

ლექსში „თუთა“ რამდენიმე კითხვას სვამს პოეტი, რასაც მო-
ჰყვება „თუთის“ „ლამის სახლში“ „შემოსვლის“ ცნობილი ეპიზოდი.
ანალოგიური ვითარება გვაქვს ნათარგმნ ტექსტშიც, მხოლოდ მთარ-
გმნელი ერთ სიტყვას ამატებს პწკარს – **опять**, რომელიც სარიტმო ერ-
თეულს ქმნის ბოლო სტრიქონის დამამთავრებელ სიტყვასთან –
обнять:

„რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა?
რა ჩურჩული?... დამდაგველი, მწველი?
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“.

„Что за шёпот слышат мои уши?
Что за шёпот – пламенный и жгучий?
Рвётся тута в дом ко мне опять,
Норовит за талию обнять“.

რაც შეეხება რითმულ სტრუქტურას (რომლის შესახებ ნაწი-
ლობრივ ზემოთაც ითქვა), ამ თვალსაზრისით ორი ძირითადი სახე-
ობა გამოიყოფა ნათარგმნ ტექსტებში:

ა) ზუსტი რითმა – კერძოდ, როცა მთარგმნელი ტაეპს აგებს სა-
რითმო ერთეულთა ეპიფორული გამეორების საშუალებით. მაგალი-
თად, ლექსის – „რომ ავყოლოდი გულისთქმას“ თარგმნილ ვარიანტ-
ში ყოველი პწკარი ბოლოვდება **бы** ნაწილაკით, რაც კიდევ უფრო
მძაფრად წარმოაჩენს ანას გულისთქმას:

„რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჰკუას არ დავიხმარებდი,
შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...“

„Зову сердца поддалась бы,
Без рассудка, без ума бы,
Жизнь с тобою провела бы,
В твоём сердце расцвела бы...“

ბ) სხვა შემთხვევაში მთარგმნელს სარიტმო ყალიბი დისონან-
სური ელემენტებით აქვს გაწყობილი (рухнет – придёт, Иуда – изум-
рудой), რაც საოცარი პოეტურობით ჟღერს თარგმნილ ტექსტში.

ლექსში „გადაიწურავ ნურც ახლა იმედს!“ ანა წერს:

„შემოგრდევია როს გალავანი,
გაუყიდიხარ იუდას ოდეს,
ხსნა მოგვლენია, – მოულოდნელად,
მოსულა იგი უმწვანეს რტოთი“.

თარგმნილი ვარიანტი, შეიძლება ითქვას, ორიგინალის ზადა-
ლია:

„За тобой стена коль рухнет,
Коль предаст тебя Иуда,
Верь – спасенье вновь придёт
Вместе с веткой изумрудой!“

მთლიანად დისონანსურ რითმაზე აგებს მთარგმნილი ანას
განუმეორებელ ლექსს „არ კვნესის, არ მოთქვამს“:

„არ კვნესის, არ მოთქვამს
გული ქვად ქცეული:
მარტოკამ ზღაპრული
აღმართი ვძლიე და...
მაგრამ... აღმართებით
ისე ვარ ძლეული,
„ვითარცა ლერწამი
ქართაგან ძლიერთა“.

„Не стонет, не ноет
Сердце, камня:
Огромный подъём я
Одна одолела...
Но... эти подъёмы
Меня измучили,
„Словно тростинку
Ветры могучие“.

ცნობილია, რომ ანა კალანდაძემ ქართულად თარგმნა
ა. ს. პუშკინის რამდენიმე ლექსი. დიდებულად თარგმნილ ტექსტებ-
ში მკითხველი აუცილებლად შეამჩნევს (არცთუ იშვიათად) ანას მიერ
ჩამატებულ სიტყვასა თუ სიტყვებს (რომლებიც ორიგინალში არ დას-
ტურდება), ზოგჯერ – მთელ პწკარსაც. მსგავსი შემთხვევები, რო-
გორც ჩანს, ლექსის რითმულ-რიტმული სტრუქტურის გაწყობას ემ-
სახურება. მაგალითად, ერთ ლექსში პუშკინი უამბობს მკითხველს,
თუ რით „მეტობს“ უკანასკნელი ყვავილი პირველს და ხატავს შე-
ხვედრისა და განშორების განცდით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს:

„Они – унылые мечтанья
Живее пробуждают в нас,

Так иногда разлуки час
Живее сладкого свиданья“ („Цветы последние“).

ქართულად თარგმნილი ტექსტის მეორე პწკარი უშუალოდ ანას შთაბეჭდილებას ასახავს („მათში წარსულის დიდებული სიმშვიდე სუფევს“). მთავარი ის არის, რომ დასახელებული ფრაზის ბოლო სიტყვა („სუფევს“) სარიტმო ერთეულს ქმნის მეოთხე სტრიქონის ბოლოკიდურ კომპონენტთან, კერძოდ, არსებით სახელთან („წუთებს“):

„გვიცხოველებენ ჩვენ ისინი ნადვლიან ფიქრებს,
მათში წარსულის დიდებული სიმშვიდე სუფევს
და ასე ისიც, ზოგჯერ ჟამი განშორებისა
თვის სიცხოველით გვირჩევნია შეხვედრის წუთებს“.

შუქია აფრიდონიმეც ამატებს გარკვეულ შემთხვევებში ტექსტს ამა თუ იმ ლექსიკურ ერთეულს (მსგავსი მონაკვეთი ზემოთაც იყო წარმოდგენილი), რომელსაც სარიტმო ერთეულადაც მოიხმობს და დიდებულად წარმოაჩენს ანას სათქმელს. მაგალითად, ლექსში „არაბი ხარ?“ ჩამატებულია ერთადერთი სიტყვა (**Чернорисница** „შავწამწამა“), რომელიც ამავდროულად სარიტმო ცალია შესიტყვებისა „**езидка я**“:

„როგორ გშენის კდემა დიდი... თქვი, შავთვალავ, არაბი ხარ? – იეზიდი...“	„Как идёт тебе Эта невинность... – Черноглазая, Черноресница, Ведь арабка ты? – Нет, езидка я...“
--	--

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ნათარგმნ ტექსტში რომელიმე სალექსო პწკარი (თუ პწკარები) მთარგმნელის მიერ ინტერპრეტირებულ (და არა ჩამატებულ) ვარიანტს წარმოადგენს, მაგალითად, ანა კალანდაძის ცნობილ ლექსში – „მე ლამაზი მეგობარი მყავდა“ ვკითხულობთ: „ღრუბლებს გაჰყვას... სად ვეძებო, სადა?“ შუქია აფრიდონიმემ ეს სტრიქონი მკითხველს შემდეგნაირად მიაწოდა: „Улетела с облаками, / Как вернуть назад?!“ ცხადია, მთარგმნელს სურდა, პოეტის გულისტკივილი ისე წარმოეჩინა, რომ პწკარის დამამთავრებელი

სიტყვა რითმულად შესწყობოდა მომდევნო სტრიქონის ბოლო ლექსიკურ ერთეულს (შდრ., **назад – глаза**) – და ამავდროულად არ დაჩრდილულიყო ფრაზის შინაარსი:

„მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჭუჭუნა, წაბლისფერი თმებით...
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,
დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა...
ღრუბლებს გაჰყვა... სად ვეძებო, სადა?
მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჭუჭუნა, წაბლისფერი თმებით...“

„Была подруга у меня –
Милая, краса,
Каштановые волосы,
Лучистые глаза.
Прилетела к ней голубка,
Принесла ей крылья,
Бросила меня подруга,
Улетела, скрылась...
Улетела с облаками,
Как вернуть назад?!
Каштановые волосы,
Лучистые глаза...“

სათქმელი ძალზე ბევრია – ყოველ თარგმნილ ლექსს თავისი პოეტური ხიბლი ახლავს.

Tamar Vashakidze

Shukia Apridonidze – Translator

Summary

The paper is dedicated to Ana Kalandadze's poems translated into Russian by Shukia Apridonidze. The translated versions of Ana's well-known poems are analyzed from an artistic and stylistic point of view. These poems are as follows: "Beautiful Georgia", "Mulberry", "Gypsy Woman", "I Had a Beautiful Friend", "If I Had Followed My Heart", "My Sweetheart" and others.

შუქია აფრიდონიძე და „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“

თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში 1966 წელს დაარსდა კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. შუქია აფრიდონიძე დასახელებული კრებულის VI-XII ტომებს რედაქტორობდა (1984-2004).

წიგნები მოიცავს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის, მორფოლოგია-სინტაქსის, სემანტიკის, ლექსიკა-სტილისტიკისა და ტერმინოლოგიის სხვადასხვა საკითხს. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში“ შუქია აფრიდონიძის ავტორობით გამოქვეყნებულია 11 სტატია, რომლებშიც წარმოდგენილია თითქმის ყველა ზემოთ დასახელებული პრობლემური საკითხის კვლევა:

1. „სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში“ (ქსკს, II, 1979);
2. „ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები“ (ქსკს, IV, 1981);
3. „ურბონიმთა და მისი ევოლუცია“ (ქსკს, IV, 1981);
4. „რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის“ (ქსკს, V, 1983);
5. „თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის“ (ქსკს, VI, 1984);
6. „ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ“ (საკუთარი და ნასესხები ლექსიკის სინონიმური ურთიერთობისთვის) (ქსკს, VIII, 1988);
7. „ილია ჭავჭავაძის სტილისათვის“ (ქსკს, IX, 1989);
8. „ხმაბამვითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში“ (ქსკს, X, 1993);

9. „რიტორიკული კითხვები ქართულში: სტრუქტურა და გამოყენება“ (ქსკს, XI, 1998);

10. „აბრევიაცია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში“ (ქსკს, XII, 2004);

11. „რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში“ (ქსკს, XIII, 2013).

სტატიაში – „**სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში**“ – ავტორი ეხება ქართული ენის სინტაქსისა და სტილისტიკის აქტუალურ საკითხებს. წერილში მოცემულია სიტყვათგანლაგების ფუნქციური დახასიათება, შესწავლილია წინადადების წევრთა პოზიციები თანამედროვე ქართულის მარტივ თხრობით წინადადებაში – დამოუკიდებლად და სხვა წევრებთან მიმართებით.

მეცნიერის აზრით, თანამედროვე ქართულში სიტყვათგანლაგება გაცილებით სტიქიური ჩანს, ვიდრე ძველ ქართულში, თუმცა ენა „გაერთმნიშვნელიანების“ გზას ადგას სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით; იმავე დროს გვერდს ვერ ავუვლით ძველი ქართულის დანალექსაც. ასე რომ, თანამედროვე ქართული ჩვენთვის საინტერესო კუთხით ერთგვარ „მინარევად“ გვესახება. მასში შეიძლება ორი პლასტის გამოყოფა: 1. ძველი ქართულის ფენისა და 2. საკუთრივ ახალი (თანამედროვე) ქართულის ფენისა. ამ ორი ფენის თანაარსებობა ნიშანდობლივია სიტყვათგანლაგებისათვის ახალი (თანამედროვე) ქართულის მარტივ წინადადებაში. ძველ ქართულში სიტყვათგანლაგება სისტემის ნიშნებს ატარებდა, მაშინ როცა თანამედროვე ქართულის მიმართ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ნორმაზე, რომლის ჩამოყალიბების ერთ ძირითად ფაქტორად ტრადიცია არის საგულვეტელი [ქსკს 1979 II: 17-53].

სტატიაში – „**ურბონომია და მისი ევოლუცია**“ – მეცნიერი შენიშნავს, რომ ორიენტირების საჭიროებამ მოითხოვა ქუჩა-მოედნების სახელდება და ეს საჭიროება რეალობად იქცა – ობიექტებმა მიიღეს საკუთარი სახელები. მამასადამე, შეიქმნა ურბონომია – ქალაქისათვის სპეციფიკური ობიექტების – ქუჩების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, პროსპექტების და ა. შ. საკუთარი სახელები.

მკვლევარი სვამს კითხვებს: რა სახეები თუ სისტემები გამოიყოფა ურბონიმიში? რა კანონზომიერებით იქმნება, იცვლება ან იკარგება ეს სახელები, ანდა როგორია თანამედროვე ტენდენციები სახელდება-გადარქმევისა საერთოდ, კერძოდ, თბილისის მაგალითზე?

ავტორმა გამოყო ურბონიმა რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი: მდებარეობა-განლაგების მიხედვით (მაგ., **განაპირა ქუჩა**, **პარალელური ქუჩა**); ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების მიხედვით (**სოხუმის ქუჩა**, **მტკვრის ქუჩა**); ისტორიული მოვლენებისა და სოციალურ-პოლიტიკური ძვრების უკვდავსაყოფად (**საბჭოს**, **კომკავშირის**, **9 იანვრის**, **კომინტერნის ქუჩები**); სამამულო ომის, ომის გმირების, პროლეტარიატის ბელადების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა და სხვა; საქმიანობის მიხედვით (**ფეიქართა ქუჩა**); დაწესებულებათა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მიხედვით (**სადგურის ქუჩა**, **აბანოს ქუჩა**). ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს ურბონიმა ორ დიდ ჯგუფზე. ესენია – მიძღვნილი და აღწერით-მარინტირებული.

შ. აფრიდონიძე მიიჩნევს, რომ ურბონიმიზაციის თანამედროვე ტენდენცია ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს ურბონიმიზაციის წყენებულ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები კი ასეთია: 1. ურბონიმა უნდა ასრულებდეს მარინტირებულ ფუნქციას; 2. ურბონიმი ჰარმონიულად უნდა შეეწყოს სათანადო ქალაქის ან მისი ამა თუ იმ რაიონის ურბონიმიკურ სისტემას. ამ თვალსაზრისით მეტად მოსახერხებელია ანსამბლური განლაგების პრინციპი. იგი ორიენტაციასაც აადვილებს; 3. ურბონიმის მოტივაცია ცალსახა უნდა იყოს, ე. ი. მიმართება აღსანიშნისადმი ორაზროვანი არ უნდა იყოს; 4. ურბონიმი მოტივირებული უნდა იყოს, ე. ი. ქუჩის სახელი უნდა უკავშირდებოდეს იმ ობიექტებს, იმ პირებსა თუ ზოგად ცნებებს, რომელთაც ხელშესახები კავშირი ჰქონიათ ამ ქალაქთან. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მიძღვნილ ურბონიმიას ეხება; 5. ურბონიმის ფორმა სათანადო ენის გრამატიკულ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ ენობრივი საშუალების პროდუქტიულობის გათვალისწინებით; 6. ურბონიმი სახმარად მოსახერხებელი უნდა იყოს. რეკომენდაცია უნდა მიეცეს შეძლებისდაგვარად მოკლე, კომპაქტურ ფორმებს. აქვე უნდა ითქვას, რომ პარონიმები ართულებს ორიენტირებას (მაგ., ამ ტიპის პარონიმები – Узкий– Узенский, Песчаный – Песочный, Ружейный – Оруже-

йний); 7. ურბონიმი უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ეპოქას პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, უნდა ასახავდეს მომხმარებელი კოლექტივის კულტურულ დონეს.

ავტორის აზრით, შესაძლოა ეს მოთხოვნები არასრული ან დასახვეწი იყოს, თუმცა აშკარაა, რომ იგი უნდა გადაიჭრას მხოლოდ სპეციალურად მომზადებული მუშაკების რეკომენდაციით [ქსკს IV 1981: 40-54].

წერილში „**ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები**“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართულ ენაში გავრცელებულ ანთროპონიმებზე, რომელთა დიდი ნაწილი ნასესხებია სხვა ენებიდან – როგორც ქრისტიანული (ბერძნული, ლათინური...), ისე მაჰმადიანური კულტურის (ირანული, არაბული, თურქული...) წიაღიდან. მეცნიერის აზრით, ნასესხები საკუთარი სახელები (ტოპ., ანთრ.) ეგუება შეთვისებული ენის შინაგან ბუნებას და ემორჩილება ამ ენაში მოქმედ კანონებს. ქართულის მიერ შეთვისებული მრავალი სახელი ამჟამად ისე „გაქართულებულია“, რომ ხშირად ჭირს კიდევ მათი მიჩნევა ნასესხებ სახელებად.

სტატიაში განხილულია ოფიციალური და კნინობით-მოფერებითი ფორმები. ოფიციალურ ფორმებზე მსჯელობისას შენიშნულია, რომ ანთროპონიმები და საკუთრივ ქართული სახელების უმრავლესობა ქართულში ხმოვნებზე ბოლოვდება: **მზია, ლელა, ნათელა, გელა, ზაზა, დოდო, ცოტნე...** იმ შემთხვევაში კი, როცა ანთროპონიმთა ფუძეები წყარო-ენაში ყრუ თანხმოვანზე თავდებოდა, ქართულ ნიადაგზე მოხდა მათი გამჟღერება. ასეა მიღებული, მაგ.: **რომანოზ – რომანოზი, ანთიმოზ – ანთიმოზი, სტეფანოზ – სტეფანოზი...** დადგენილია, რომ მამაკაცთა ბერძნული სახელები ქართულში წარმოდგენილია სახელობითის ან წოდებითის ფორმებით, რომელთაგან ჭარბობს ვოკატივის ფორმები. მაგ.: **პეტრე, პავლე, ივანე** და ა. შ. ერთი და იგივე სახელი შეიძლება პარალელური ფორმებითაც შეგვხვდეს, თუმცა ეს იშვიათია, მაგ.: **იულონ** (სახ.) და **ივლიანე** (წოდებ.).

კნინობით-მოფერებითი (ეროვნული) სახელები კი წარმოადგენენ გრძელ ოფიციალურ სახელთა თავისებურად შემოკლებულ ფორმებს (მაგ., **ნიკო – ნიკოლოზ, ფარნა – ფარნაოზ**), ან პირუკუ – სხვადასხვა სუფიქსის მეშვეობით მოკლე ოფიციალური სახელის დაგრძელებულ ფორმებს (**ანიკო/ანუკა – ანა, ნინიკო/ნინუკა – ნინო**).

შედარებით იშვიათია თანაბარი სიგრძის ოფიციალური და კნინობით-მოფერებითი ფორმები: **დათია//დათუა – დავით, გოგიტა – გიორგი...**

ავტორის დასკვნით, უკანასკნელ ხანებში (დაახლოებით 10-15 წლის განმავლობაში) შეინიშნება ერთგვარი ზრდა ანთროპონიმთა მრავალფეროვნებისა საკუთრივ ქართული სახელების ანდა უძველეს ნასესხობათა, ამჟამად კი „გაქართულებული“ სახელების გამოცხლების ხარჯზე: **კახა, რატი, ცოტნე, ბექა, ლელა, ნათია, გელა...** ზემოთ ჩამოთვლილ სახელებს ძნელად ეწარმოება კნინობით-მოფერებითი ფორმები: ისინი თვითონ აღიქმებიან ასეთებად. მაშასადამე, თავი იჩინა ერთადერთფორმიანი სახელების ხმარებისა და პარალელოზმის თავიდან აცილების ტენდენციამ.

მეცნიერის აზრით, ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ის ოფიციალური ფორმებიც, რომლებიც ამჟამად ფუნქციონირებენ – როგორც ერთადერთი (მოფერებითი) – ფორმები, მაგ.: **გიორგი, ერეკლე, სალომე, რუსუდან** და სხვა... [ქსკს 1981 IV: 55-60].

ნაშრომში „**რთული შედგენილობის მიკროტოპონიმთა მართლწერისათვის**“ მეცნიერი მსჯელობს ტოპონიმთა დაწერილობის შესახებ: თუ რა შემთხვევაში შეიძლება დაიწეროს ტოპონიმი დაუმლელად, შერწყმულად; ცალ-ცალკე ან ერთად.

ავტორი ქართული ორთოგრაფიული ტრადიციებისა და მიკროტოპონიმთა ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს შემდეგი წესების დაცვას:

1. დეფისით გამოიყოს ერთმანეთთან თანწყობით შეერთებული ტოპონიმები (**სვიანა-როსტიანა, საალანო-საფაჩულიო...**);

2. ცალ-ცალკე დაიწეროს:

ა) მორფოლოგიურად გაცვეთილი თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი და მისი საზღვრული (**თეთრი წყლები, მრგვალი მინდორი...**);

ბ) საკუთარი სახელის (ტოპონიმის, ანთროპონიმის...) შემცველი ტოპონიმები (**ლაშის იგორეთი, კიცხის იგორეთი**, შდრ. ტოპონიმები: **ლაშე, კიცხი; დიდი ატენი – პატარა ატენი, ჩხეიძეების გარემო, ზედა ჭუმბურიძეები...**);

გ) აღსანიშნი ობიექტის შესაბამისი საზოგადო სახელების შემცველი ტოპონიმები (**ძმათა სასაფლაო, ეკლესიის გარემო...**);

მკვლევრის აზრით, ყველა სხვა შემთხვევებში რთული შედგენელობის ტოპონიმები, დაუშლელად, შერწყმულად უნდა დაიწეროს [ქსკს 1983 V: 48-58].

სტატიაში „**თანდებულად გამოყენებული ზოგი ზმნისართის ერთი ფუნქციისათვის**“ ავტორი განიხილავს ანტონიმურ-ზმნისართულ წყვილებს, როგორებიცაა – **წინ / უკან**. მკვლევარი შენიშნავს, რომ ამ ზმნისართებმა შეიძლება ადგილზეც მიუთითოს და დროზეც, რაც დამოკიდებულია თვით არსებითი სახელის მნიშვნელობაზე: ადგილის აღმნიშვნელ სახელებთან ეს თანდებულები ადგილზე მიუთითებენ (**სახლის წინ, სკოლის უკან...**), ხოლო დროის აღმნიშვნელ სახელებთან (**დღე, თვე, წელი, ხანი...**) – დროზე (**ერთი საუკუნის წინ-ათ), ცოტა ხანს // ხნის უკან...**).

ნაშრომში გაანალიზებულია მათი გამოყენების შემთხვევები ძველსა თუ ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში, ასევე დიალექტებში. მეცნიერი შენიშნავს, რომ თანდებულად გამოყენებული უკან სიტყვის ხმარება საპირისპირო (= **წინ, ადრე, უწინ**) მნიშვნელობით უნდა შეფასდეს როგორც სხვა ენიდან პირდაპირ გადმოღების, კალკირების შედეგი. ამოსავალი დროითი მნიშვნელობით გამოყენებულმა უკან თანდებულმა თანდათან სასაუბრო-დიალექტური შეფერილობა მიიღო, სალიტერატურო ქართულში ერთგვარად ზედმეტი შეიქნა მისი ხმარება და ამიტომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მას შეენაცვლა **შემდეგ** (თვით მყარ შესიტყვებაშიც კი: შდრ.: **მას უკან – მას შემდეგ**). ავტორი ასკვნის, რომ არც ისტორიულად და არც ამჟამად ქართულ სალიტერატურო ენაში უკან თანდებულის ხმარებას საპირისპირო (**წინათ**) დროითი მნიშვნელობით არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს. უკან ტრადიციულად მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა. მოგვიანებით დროული ფუნქციის შესუსტებამ ამ სიტყვას დიალექტური ჟღერადობა შესძინა და მას **შემდეგ** შეენაცვლა, რომელსაც სინონიმებს შორის (**უკან, მერე, აქეთ**) ამჟამად გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად კი მხოლოდ **წინ // წინათ** უნდა ვიხმაროთ: **ხუთი წუთის წინ, ორი წლის წინ, მრავალი საუკუნეების წინათ** და ა. შ.

მეცნიერს გაუმართლებლად მიაჩნია საქმის წარმოების პრაქტიკაში გასული თარიღის აღსანიშნავად ბოლო ხანებში უმართებულოდ ხმარებული – ასევე კალკირებული – გამოთქმა **უკანა რიცხვით**, რომელიც პირდაპირი, სიტყვასიტყვითი თარგმანია რუსული გამოთქმისა (задним числом). ადეკვატური გამოთქმები იქნებოდა: **გასული რიცხვით, წინა რიცხვით, წინა თარიღით** [ქსკს 1984 VI: 244-258].

წერილში „**ე. წ. „აბსოლუტური სინონიმების“ შესახებ (საკუთარი და ნასესხები ლექსიკის სინონიმური ურთიერთობისთვის)**“ მეცნიერი მსჯელობს სესხების პრობებსა თუ შედეგებზე, რომლებიც შეიძლება ორგვარი იყოს: 1. ინტერნაციონალიზმი ისე მკვიდრდება, რომ ადეკვატს მსესხებელ ენაში ვერ იჩენს. ეს განსაკუთრებით ეხება მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სახელწოდებებს. ზემოხსენებულ სიტყვათშეხამებაშიც – **მეცნიერება** და **ტექნიკა** – პირველი კომპონენტი ქართულია და წარმოდგენილია ინტერნაციონალური მეწყვილის გარეშე (ასევეა რუსულში наука и техника), მეორე კი ინტერნაციონალიზმია და ქართული შესატყვისი არ მოეპოვება. ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება: ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ბოტანიკა, ფილოლოგია, ბიოლოგია და სხვა. ანდა – ენათმეცნიერების მიხედვით: ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა...

ავტორის აზრით, ინტერნაციონალიზმის შემოღების აუცილებლობა კარგად გამოხატა ილია ჭავჭავაძემ თავის „პასუხში“ სიტყვა **კრიტიკასთან** დაკავშირებით: „კრიტიკა“ არის განხილვაც, გაჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სიტყვას „კონკურენტი“ არ ჰყავს.

2. ინტერნაციონალიზმი იჩენს ეკვივალენტს მსესხებელ ენაში (იგულისხმება, რომ ენაში ასეთი სიტყვა არ ყოფილა). აქედან გამომდინარე, სესხების ზემოთ მოყვანილი დაფორმულება თითქოს ერთგვარ ქრონოლოგიურ ინფორმაციას იძლევა: ჯერ ინტერნაციონალიზმი შემოდის მიმღებ ენაში და შემდეგ ხდება მისი „გაეროვნულება“ (თუკი საერთოდ განვითარდა ეს პროცესი). ხშირად აღნიშნული პროცესი პირუკუ მიმდინარეობს. მაგალითად, შევუდაროთ ერთმანეთს ლინგვისტიკა და ენათმეცნიერება. დინამიკაში ვნახავთ, რომ ლინგვისტიკა ქართული ენის აქტიურ სამეცნიერო სიტყვათხმარებაში ფაქტობრივ უფრო გვიანდელი შენაძენია, ვიდრე ენათმეცნიერება ან თუნდაც ამჟამად აშკარად პერიფერიული ჟღერადობისა და ღირებულების მქონე ვარიანტი – ენათმცოდნეობა (რომელიც რუსულის

მეშვეობით და მის ყალიბზე შეიქმნა). ეს ის შემთხვევაა, როცა ტერმინი „მასალობრივად კი არ არის ნასესხები, არამედ ცნების აგების პრინციპითაა უცხო. სათანადო ინტერნაციონალიზმები – ლინგვისტიკა, ლინგვისტური... ჩვენში ამჟამად უფრო იკიდებს ფეხს, განსაკუთრებით, აღწერითი და გამოყენებითი ენათმეცნიერების ანდა შერეული სამეცნიერო დისციპლინების განვითარების შედეგად (**სტრუქტურული ლინგვისტიკა, მათემატიკური ლინგვისტიკა**), ახალი კომპოზიტების წარმოებისას (**პარალინგვისტიკა, ლინგვოსტატისტიკა, ლინგვოსტილისტიკა**) და სხვა.

ავტორს მოჰყავს მაგალითები გასული საუკუნის 40-70-იანი წლების სპეციალური ლიტერატურიდან.

მეცნიერი შენიშნავს, რომ ინტერნაციონალიზმები, რომლებსაც მიმღებ ენაში ეკვივალენტები არ მოეპოვება, მათთანვე ერთად სინონიმთა რიგიდან გამოირიცხება. წყვილის ასეთ ცალგუს სრულ ან ზუსტ (ანდა აბსოლუტურ) სინონიმებსაც უწოდებენ, უფრო ხშირად კი – დუპლეტებს. რამდენადაც მეცნიერების ენა ყველაზე მეტად საჭიროებს სახელწოდებათა და ფორმულირებათა სიზუსტეს, აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს სწრაფვა ტერმინის სინონიმთაგან თავის დაღწევისაკენ. ავტორის აზრით, ტერმინოლოგიის გავრცელებული ნაკლია ტერმინთა მრავალმნიშვნელობიანობა და დუბლეტურობა.

ავტორი სტატიაში მსჯელობს ზედსართავებზეც, რომლებიც ყურადღებას იქცევენ სემანტიკურ-ფუნქციური თვალსაზრისით. ასეთ დუპლეტებად დასახელებულია ლექსიკური ერთეულები: **საზოგადოებრივი** და **სოციალური**. ეს ზედსართავები რამდენიმე გავრცელებულ შეხამებაში თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: **საზოგადოებრივი ფორმაცია – სოციალური ფორმაცია / წყობილება, საზოგადოებრივი სტრუქტურა – სოციალური სტრუქტურა, საზოგადოებრივი სანქცია – სოციალური სანქცია** და სხვა [ქსკს 1988 VIII: 279-292].

ნაშრომში – „**ილია ჭავჭავაძის სტილისათვის**“– ავტორი განიხილავს ილიას პოეზიისა თუ პროზის სტილურ მხარეს. მკვლევრის აზრით, ილიას ნაწარმოებებში დიდი განმაზოგადებელი ძალა ენიჭება ეპიგრაფებს, რომლებიც წამმღვარებული აქვს მწერლის შედარებით დიდი მოცულობის ნაწარმოებებს. ეპიგრაფის უქონლობა ზოგან სხვა სახის შემეცნებითი საშუალებებითაა კომპენსირებული (მაგ.,

ლექსს „1871 წელი, 23 მაისი“ უძღვის განმარტება – „**კომუნის დაცემის დღე**“), ხოლო „ოთარანთ ქვრივში“ ცალკეული თავების მარჯვე დასათაურებით („**რას მიქვიან ტკბილი სიტყვა**“, „**პილპილმოყრილი მადლი**“ და სხვა) ავტორი წარმატებით ახერხებს სემანტიკურ-ლოგიკური აქცენტების განაწილებას. ყურადღებას იქცევს ნაწარმოებთა დასაწყისი და ფინალი: „**კაცია ადამიანი?!**“, „**სარჩობელაზედ**“, „**ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი**“, „**გლახის ნაამბობი**“...

ილიას ლექსების უმრავლესობა პატრიოტული ლირიკის ნიმუშებს წარმოადგენს (თუ რამდენიმე სატრფიალო ლექსს არ მივიღებთ მხედველობაში). სიტყვა „მამული“ უხშირეს არსებით სახელთა პირველ ათეულშია და ეს სიხშირე შემთხვევითი არ უნდა იყოს. სამშობლოს თემის შემოტანასთან ერთად ნიშანდობლივია ინტონაციისა და მიმართვის ფორმების შემოტანა. ილიას თარგმანებიც მწერლის ეროვნულ მიზნებს მიესადაგება.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს საკუთარ სახელებზე, თუ როგორია საკუთარ სახელთა ხვედრ; როგორია საკუთარი სახელები – რეალური თუ გამოგონილი და როგორია მათი ურთიერთმიმართება; საკუთარი სახელის რა ვარიანტები გამოიყენება ამა თუ იმ დიალოგურ მეტყველებაში; რა ნიშნის მიხედვითაა შერჩეული საკუთარი სახელი და ა. შ. ინტერესს იწვევს ადამიანთა გვარების – როგორც სოციალური ნიშნის გამოყენების საკითხიც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა სახის მიმართვები.

ილიას პროზაულ ნაწარმოებებში უდიდესი ადგილი ეთმობა პერსონაჟთა დიალოგურ მეტყველებას.

ხშირად პირთა სახელთა უქონლობა ან ნაკლებობა გეოგრაფიულ სახელთა სიუხვითაა კომპენსირებული და, რაც ფრიად საინტერესოა, ყველა შემთხვევაში რეალურ ტოპონიმებთან გვაქვს საქმე (მაგ., ამის ნიმუშია „**აჩრდილის**“ ტოპონიმია: კავკასის მთები, საქართველო, ტფილისი, მცხეთა, თერგი, არაგვი, მტკვარი...).

პოემებში ავტორი, ჩვეულებრივ, გაურბის პირთა სახელების ხმარებას, მაგრამ არა გეოგრაფიულისას. ანთროპონიმები მხოლოდ აუცილებელ შემთხვევებში დასტურდება. ერთადერთ ისტორიულ პოემაში მხოლოდ მთავარი პერსონაჟია მოხსენიებული სახელით – მეფე დემეტრე თავდადებული. სხვა პერსონაჟები კი მხოლოდ ხელობა-წოდების ან თანამდებობის მიხედვით იწოდებიან: მეფანდურე, ყეინი, სარდალი, ვეზირი, ჯალათი და სხვა.

პროზაში (მაგ., „**ნიკოლოზ გოსტაშაზიშვილი**“) საკუთარ სახელთა მარაგი მხოლოდ ქართველებისა და ყიზილბაშების ხსენებით ამოიწურება. მოთხრობაში „**სარჩობელაზედ**“ – პეტრესა და ბეჟანის გარდა, სხვა პერსონაჟები ეთნონიმებით ან ხელობა-წოდების სახელებით მოიხსენიებიან...

საინტერესოა ის გარემოება, რომ ქალაქად გათამაშებულ სცენებში სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომ პერსონაჟთა სახელები მღვდლის მეტყველებაში მუდამ სრული სახით წარმოითქმის (მარიამ, პეტრე, ზაქარია). ყურადღებას იქცევს საკუთარ სახელთა ხმარება „**ოთარანთ ქვრივში**“. აქ ერთი და იმავე სახელის სხვადასხვა ვარიანტი ამა თუ იმ პერსონაჟზე ავტორის გარკვეული პოზიციის მიმანიშნებელია: ოთარანთ ქვრივის ქმარი თევდორე და კუპრაანთ თედო, ოთარანთ ქვრივის შვილი გიორგი და მისი სეხნია „**დამპალი გოგია**“ და მრავალი სხვა [ქსკს IX 1989: 46-68].

სტატიაში „**ხმაბამებითი ზმნების სტრუქტურისა და მართლწერის საკითხები ქართულში**“ მკვლევარი შენიშნავს, რომ ხმაბამებითი სიტყვების სახელით ცნობილ ონომატოპოეტურ ლექსიკასთან დაკავშირებით ისმის ორი საკითხი: ერთი მხრივ, ნომინაციის პრინციპისა და, მეორე მხრივ, საკუთარი და ნასესხები ლექსიკის ურთიერთმომართებისა.

მეცნიერი ძირითადად ეხება ე. წ. პირველადი მასდარებით გამოხატულ ხმაბამითს ლექსიკას – როგორც საალერსო-კნინობით სახელებთან, ისე -ია წარმოების მიმღეობებთან, აგრეთვე ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობისა თუ მათი მოხმობის საფუძველზე წარმოქმნილ სიტყვებთან მიმართებით.

ავტორი ეხება ნორმის საკითხს, რომელიც დაისმის პირველადი მასდარებისგან ნაწარმოებ ზმნებში თემატური **-ებ** და **-ობ** სუფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით და შენიშნავს, რომ ზმნის სტრუქტურის მიხედვით მათს განაწილებაში შეინიშნება გარკვეული კანონზომიერება:

1. ფუძისეული ხმოვნის გამეორებისას (**ა – ა, ი – ი, უ – უ**) ზმნის ფუძეს აწარმოების **-ებ** თემის ნიშანი: **ბაბანებს**, **ფართხალებს**; **სისინებს**, **ჩლიფინებს**; **გუგუნებს**, **გრუხუნებს**...

2. შერეულხმოვნიანი ზმნური ფუძეების თემას **-ობ** სუფიქსი აწარმოებს: **ბრახუნობს**, **რაკუნობს**, **ვათურობს**...

3. იგივე ითქმის „ია + თანხმოვანი“ მოდელის მასდარისაგან ზმნის წარმოების შესახებ, როცა თანხმოვანი სონორი არ არის: კია-ფობს, წიოკობს, კრიახობს...

4. -იალ- ელემენტის მასდარისაგან ნაწარმოებ ზმნებში:

ა) უხმოვნოფუძიანი ზმნები -ებ სუფიქსს დაირთავს: სრია-ლებს, ტრიალებს, ჭრიალებს...

ბ) ხმოვანფუძიანი ან ზმნისწინდართული ფორმები -ობ სუფიქსს დაირთავს: ბოდიალობს, ხეტიალობს...; დაბორიალობს, დაყი-ალობს...

ავტორის აზრით, გამონაკლისს წარმოადგენს ა-ა თანამიმდევრობისა და ნ-ზე ფუძეგათავებული მასდარებისაგან ნაწარმოები ზმნები, რომლებიც არცერთ სუფიქსს არ დაირთავენ. ეს მასდარები სპეციფიკურ ზმნებთან შეხამებაში ქმნიან ფრაზეოლოგიზმებს: **ბრაგვანი (ბრახვანი, ტყაპანი) მოადინა (გაადინა, გასძვრა)**, უსრული ასპექტის ფორმები კი (აწმყო, ნამყო უსრული) ამ ზმნებს აკლია [ქსკს X 1993: 92-103].

ნაშრომში „**რიტორიკული კითხვები ქართულში: სტრუქტურა და გამოყენება**“ ავტორი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს რიტორიკული კითხვის სპეციფიკური სტრუქტურული ნიშნები. იმისათვის, რომ რიტორიკული კითხვის ეს ნიშნები კარგად გამოიკვეთოს, მეცნიერი გამოყოფს მისი გამოყენების ორ შემთხვევას: 1. რიტორიკული კითხვის გამოყენება მონოლოგურ მეტყველებაში; 2. რიტორიკული კითხვის გამოყენება დიალოგურ მეტყველებაში.

ავტორი მიიჩნევს, რომ რიტორიკული კითხვების ანალიზისას მხედველობაში უნდა გვექონდეს როგორც წინამავალი კონტექსტი წანამდღვრის სახით, ისე მომდევნო – ლოგიკური დასკვნის სახით. აქ ერთმანეთს ეჯაჭვება ლოგიკური და ექსპრესიული პლანები, რომელთა სინთეზური განხილვაც მეცნიერს აუცილებელ და სასურველ ფონად მიაჩნია რიტორიკული კითხვის სრულყოფილად შესწავლა-დახასიათებისას.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს რიტორიკული კითხვის გამაფორმებელ პუნქტუაციაზე. მას მოჰყავს ილუსტრაციები, რომლებშიც სასვენი ნიშნების ერთგვარი სიჭრელე შეინიშნება. გვხვდება: კითხვის ნიშანი, ძახილის ნიშანი, კითხვით-ძახილის ნიშანი და იშვიათად – წერტილიც. ავტორის აზრით, რიტორიკული კითხვის სემანტიკურ-სტილისტიკურ ბუნებას შეეფერება ძახილის ნიშანი –

ცალკე ან კითხვის ნიშანთან ერთად. სხვა სასვენი ნიშნების (მათ შორის ოდენ კითხვის ნიშნის) ხმარებას, მეცნიერი გაუმართლებელად მიიჩნევს... [ქსკს XI 1998: 194-206].

წერილში – „**აბრევიაცია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში**“ – ავტორი ქართული და უცხოური აბრევიატურების სარეკომენდაციო და გამოსარიცხ წესებს გვთავაზობს:

1. აბრევიატურას არსებითი სახელის ფუნქცია აქვს. სახელი კი ქართულში ხმოვნის (მასთან, ბოლოკიდური ხმოვნის) გარეშე არ არსებობს. ამიტომ აბრევიატურა, როგორც სახელი, სულ ცოტა ერთხმოვნია, ანუ ერთმარცვლიანი მაინც უნდა იყოს. გამონაკლისად დარჩება გარკვეულ სიდიდეთა, ზომა-წონის ტრადიციული, მხოლოდ წერაში მიღებული ერთეულები, რომლებიც ზეპირ მეტყველებაში გაშლილი სახით წარმოითქმის (გ, კვ, ლ, მ, კმ, სმ, ვტ, სთ, წთ, წმ და ა. შ.).

2. ამასთანავე ერთმარცვლიანი აბრევიატურა ქართულში ტიპობრივი არ არის, ძალზე იშვიათია და მხოლოდ წერილობითი სახით არსებობს (**თსუ**, უფრო ადრე – აგრეთვე **სპი**). ზეპირ მეტყველებაში ეს მოდელი პრაქტიკულად არ გამოიყენება. ამიტომ ერთმარცვლიანი აბრევიატურა რეკომენდებული არ არის.

3. სახელობით ბრუნვაში წარმოდგენილი ნებისმიერი სიგრძის არსებითი სახელის მსგავსად, აბრევიატურაც ქართულში მუდამ ხმოვანზე მთავრდება. ეს ხმოვანი ან ფუძისეულია (**მაგთი, ეუთო, საქჩაი**), ანდა – სახელობითი ბრუნვის ნიშანი (**სახმშენი, ჯეოსელი**).

4. აბრევიატურა დაუბრკოლებლად უნდა წარმოითქმებოდეს. ამ მიზნით აბრევიატურაში ფონეტიკურად შეუთავსებელი თანხმოვნები (მაგ.: **დსთ, დღვ**) ხმოვნით უნდა გაიმიჯნოს (სასურველია – შემოკლებული სიტყვის პირველი ან ბოლო ხმოვნით), ანდა მთელი მარცვლით. ამ გზით აბრევიატურა სემანტიკურად უფრო გამჭვირვალე ხდება.

5. თუ აბრევიატურის ბოლო შემადგენელი სიტყვის ფუძე მოკლეა (ერთმარცვლიანია), რეკომენდებულია აბრევიატურაში იგი სრული სახით დარჩეს (**ტრესტი, ზანკი, ფონდი**), ხოლო წინამავალი კომპონენტი შემოკლდეს როგორც აკრონიმიის წესით, ისე პირველი მარცვლის (თანხმოვნიანად) გამოტანის წესით (მაგ., **სახზანკი**). უპირატესობა მიეცეს სემანტიკურად უფრო ნათელ ვარიანტს.

6. ქართული აბრევიატურა იწერება შერწყმულად, უდეფისოდ (**საქწიგნი, თბილგაზი**).

7. უცხოურ აბრევიატურათა ქართულად გადმოცემისას რეკომენდებულია:

ა) მასშტაბური მნიშვნელობის ობიექტების ფართოდ გავრცელებული სახელწოდებები პირდაპირ, უთარგმნელად იქნეს გადმოღებული (**NATO – ნატო, SEATO – სეატო, იუნესკო**);

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, როცა აბრევიატურა ინიციალური ასოებისგან შედგება და მათი ანბანური სახელწოდებებით წარმოთქმის (ინგ. **BBC**, რუს. **КГБ**), მაშინ ქართულ ტრანსლიტერაციაში ყოველი ასოს სახელწოდების წარმოთქმა დეფისით ემიჯნება მომდევნოს (**ბი-ბი-სი, კა-გე-ზე**).

გ) ბრუნვის ნიშნები ბოლო კომპონენტს უდეფისოდ ერთვის (**ბი-ბი-სიმ. კა-გე-ზეს**). ზეპირ წარმოთქმაში თანხმოვანზე გათავებულ აბრევიატურას (**CNN სი-ენ-ენ**) სახელობითი დაერთვის ბრუნვის ნიშანი ი და იბრუნვის უკუმშველ სახელთა მსგავსად (ნათ. **სი-ენ-ენის**), ხმოვანზე გათავებულ აბრევიატურა (მაგ., **OPT**) კი – უკვეცელ სახელთა მსგავსად (ნათ. **ო-ერ-ტეს**).

აგტორის აზრით, აბრევიაციის ეს წესები თანამედროვე ქართულში ემყარება წერისა და წარმოთქმის მაქსიმალური ადეკვატურობის პრინციპს, აგრეთვე აბრევიატურების ფონეტიკურად დაუბრკოლებელი წარმოთქმისა და მეტ-ნაკლები სემანტიკური სიცხადე-გამჭვირვალობის მოთხოვნებს [ქსკს 2004 XII: 222-229].

სტატია „**რიცხვში შეთანხმების პრინციპებისათვის ქართულში**“ მიზნად ისახავს, დამოკიდებულ წევრთა მრავლობითი შეპირობების მექანიზმის გარკვევასა თუ დაზუსტებას ქართული ენის ორივე ტიპის (სახელურ და ზმნურ) სინტაგმებში. მეცნიერის აზრით, სათანადო ყურადღებას იმსახურებს მრავლობითობის გამოხატვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც კვლავაც ნაკლებ შესწავლილ საკითხებს შორის რჩება.

1. სახელურ სინტაგმებში ორი ძირითადი საკითხია გამოკვეთილი:

ა) საზღვრულის რიცხვი რაოდენობით რიცხვით სახელებსა და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან;

ბ) რიცხვით მსაზღვრელთა და საზღვრულთა სინტაქსური სტატუსი ახალ ქართულში.

2. ზმნურ სინტაგმებში ასევე ორი საკითხი იქცევა ყურადღებას:
ა) მრავლობითში დასმულ აქტანტებთან (სუბიექტ-ობიექტებთან) ზმნის შეთანხმების ზოგადი პრინციპები;

ბ) ე. წ. „სუპლექტური“ (ფუძემონაცვლე) ზმნების ხმარების სპეციფიკა.

აღნიშნული საკითხები განხილულია ახალი სალიტერატურო ქართულის მასალის მიხედვით. საჭიროებისამებრ, მოხმობილია ძველი ქართული ენის მონაცემებიც.

აგტორი საანალიზო რიცხვმონაცვლე (სუპლექტური) ზმნების შესწავლის საფუძველზე მათი გამოყენების წესებს გვთავაზობს:

1. რიცხვმონაცვლე ზმნები იხმარება მრავლობითშიც (**მიცვივდებიან, ყრიან, სხდებიან/დასხდნენ...**) და მხოლოობითშიც (**მიცვივდება, ყრია, სხდება/დასხდა...**). პირველ შემთხვევაში (ანუ მრავლობითში), განსაკუთრებით, როცა მრავლობითში დასმული სუბიექტი სულიერთა სახელებს განეკუთვნება, სუპლექტურ ზმნებს ორმაგად ეწარმოებათ მრავლობითი სათანადო სუფიქსების დართვით: **სხედან, დასხდებიან**. მეორე შემთხვევაში (მხოლოობითში) სუპლექტურ ზმნებს სუბიექტად შეეხამება კრებითი (ან ასეთად გაგებული) სახელები, ანდა მათთან დაუთვლელობის ნიშნით დაკავშირებული ნივთიერების სახელები, აგრეთვე **ებ**-იან მრავლობითში დასმული უსულო სახელები.

2. თუკი საზღვრულს ახლავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი ან გაურკვეველი სიმრავლის გამომხატველი მსაზღვრელი, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საზღვრულის მხოლოობით რიცხვს (**ორი/ზოგიერთი/ზევრი კაცი, ასი/რამდენიმე/ყველა წიგნი**), საზღვრული კი, თავის მხრივ, მოითხოვს მასთან შეხამებული ზმნა-შემასმენლისაგან არა მარტო გრამატიკულ, არამედ ასევე სემანტიკურ შეთანხმებას რიცხვში, ე. ი. ფუძითაც მხოლოობითი რიცხვის ფორმას. მაშასადამე, გვექნება:

ა) ეზოში მოქეიფე **ორმა ბიჭმა** სიბნელეში ხეზე აძრომა აიჩემა, მაგრამ ჯერ შუამდისაც არ ასულიყვნენ, რომ ფეხი დაუცდათ და **ორივე** მალევე **ჩამოვარდა** ხიდან.

ბ) ბანდიტები შეცვივდნენ ბანკში და **მოკლეს** დაცვის **ორი მუშაკი**. აგრეთვე დაჭრეს სამი მოქალაქე, რომელთაც მათ წინააღმდეგობა გაუწიეს; **რამდენი კაცი ზის** ახლა ქალაქის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში?

გასათვალისწინებელია ზოგი სემანტიკურ-სტილისტიკური ნიუანსიც: თუ განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელი მსაზღვრელი გულისხმობს საზღვრულის მნიშვნელოვან რაოდენობას, მაშინ, ჩვეულებრივ, სუპლექტური ზმნა მხოლოობითში უნდა იდგეს, – რაკი ნებისმიერი რაოდენობის რიცხვითი სახელი საზღვრულს მხოლოობითში შეიწყობს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ზმნისგანაც ანალოგიურ (მხოლოობითის) ფორმას მოითხოვს, ასე: ქორწილს **დიდძალი ხალხი დაესწრო**; სუფრას **ხუთასი კაცი მიუსხდა**; ორ დღეში ხიდან **უამრავი ფოთლი ჩამოცვივდა** [ქსკს XIII 2013: 54-91].

შუქია აფრიდონიძემ თავისი კვლევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციასტანდარტიზაციის საქმეში.

Maka Labartkava

Shukia Apridonidze and "Issues of Georgian Speech Culture"

Summary

The paper Shukia Apridonidze and "Issues of Georgian Speech Culture" analyzes 11 works by Shukia Apridonidze published in "Issues of Georgian Speech Culture", in which attention is paid to various aspects of spelling, transcription-transliteration, morphology-syntax, semantics, vocabulary-stylistics and terminology of the Georgian literary language. The attention is also paid to the language and style of the writer. These papers are as follows: 1. "Word Arrangement in a Simple Declarative Sentence in Modern Georgian"; 2. "The Georgian National Forms of Anthroponyms"; 3. "Urbonymy and Its Evolution"; 4. "On the Spelling of Compound Microtoponyms"; 5. "One of the Functions of Some Adverbs Used as Postpositions"; 6. "So-called "Absolute Synonyms" (On the synonymous relationship between its own and borrowed vocabulary); 7. "On the Style of Ilia Chavchavadze"; 8. "Issues of the Structure and Spelling of Onomatopoeic Verbs

in Georgian"; 9. "Rhetorical Questions in Georgian: Structure and Use"; 10. "Abbreviation in Modern Georgian Literary Language"; 11. "On the Principles of Number Agreement in Georgian".

ვახტანგ მალრაძე

შუქია აფრიდონიძე და ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

შუქია აფრიდონიძე – მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი; იყო პრინციპული და ნებისმიერი საკითხის კვლევისას ღრმად ჩახედული მვლევარი, თავდაუზოგავი და დაუღალავი პედაგოგი. მან არაერთ უცხოელს გააგებინა, რომ „ქართული მარტო ენა“ არ არის, შეაგრძნობინა, რომ ის „ზღვა როა, იმოდენაა“ – ქართული პოეზიის მადლს აზიარა და შეაყვარა.

ქალბატონი შუქია იყო საოცრად ყურადღებიანი სამეცნიერო ხელმძღვანელი. ამ შემთხვევაში მისთვის დრო აღარ დროობდა; თავის საქმეს გადადებდა და ხარისხის მაძიებელსა თუ ასპირანტს უანგაროდ უზიარებდა თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას. შუქია აფრიდონიძე იყო უზადლო მთარგმნელი, კლასიკური მუსიკის დიდი ტრფიალი და თავადაც ბრწყინვალე შემსრულებელი სამუსიკო ნაწარმოებებისა... და, შეიძლება ითქვას, რასაც აკეთებდა, ყველაფერში სულსა და გულს დებდა.

* * *

ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილების (რომელსაც შემდეგ ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება ეწოდა) დამაარსებელმა და პირველმა ხელმძღვანელმა ივანე გიგინეიშვილმა სწორედ საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების, დაუდგრომელი ენერჯისა და მიზანსწრაფულობის გამო მოიწვია განყოფილებაში მრავალმხრივ განათლებული, უკვე გამორჩეული ახალგაზრდა მეცნიერი და პედაგოგი შუქია აფრიდონიძე და არჩევანშიც არ შემცდარა – შუქია აფრიდონიძემ თავისი ხელმძღვანელის საქმე მრავალი წლის განმავლობაში ღირსეულად ზიდა.

* * *

შუქია აფრიდონიმემ მოამზადა ნორმის რამდენიმე პროექტი, რომლებშიც განხილულია თანდებულების მართებულად გამოყენების, სიტყვათა გადატანის წესებისა და ტოპონიმთა მართლწერის საკითხები.

როგორც ითქვა, მკვლევარი საგანგებოდ შეეხო ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორცაა გადატანის წესები. ცნობილია, რომ ქართული ბეჭდვითი ორგანოების ერთ-ერთ პრობლემას სწორედ გადატანის წესები წარმოადგენს, იქნება ეს პრესა თუ მხატვრული ლიტერატურა. ვითარება ვერც ამ წესების გამარტივებამ გააუმჯობესა: ა) სართისეული თანხმომავანი ან ხმომავანი ხშირად ფუძესთან ერთადაა გადატანილი (ჩამ-ოვიდა...); ბ) ხაზზე დატოვებულია ან მომდევნო ხაზზეა გადატანილი რამდენიმე თანხმომავანი ხმოვნის გარეშე (აკეთე-ბს, კრძალავს...); გ) დასტურდება ცალკეული ასოს დატოვების ან გადატანის შემთხვევებიც (ა-კეთებს, ასწავლი-ს...). ეს ეკონომიის მიზნით რომ არაა გამოწვეული (თუმცა ამ შემთხვევაშიც გაუმართლებელია სიტყვების არამართებული გათიშვა), ამკარაა, რადგან ორი-სამი ხაზის შემდეგ აზრს მთავრდება და თავისუფალი ადგილი არათუ რამდენიმე ასოს, რამდენიმე სიტყვასაც თავისუფლად დაიტევს.

სწორედ ამ საკითხის განხილვას მიუძღვნა მეცნიერმა ნორმის პროექტი „სიტყვის გადატანის წესები“, რომლის ახალი რედაქცია ქეთევან დათუკიშვილთან ერთად შეიმუშავა ბოლო წლებში (აღნიშნული ნორმა ემყარება დამარცვლის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ პრინციპებს).

შუქია აფრიდონიმის სამეცნიერო ინტერესების ერთ-ერთი სფერო გახლდათ ტოპონიმისა და, შესაბამისად, ტოპონიმთა მართლწერა. მკვლევარი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ტოპონიმის ლაბორატორიას; თავადაც აგროვებდა ტოპონიმებს, რამაც შესაძლებლობა მისცა, კარგად გასცნობოდა მათ სტრუქტურას და ჩამოეყალიბებინა მართლწერის პრინციპები. იგი ასევე მონაწილეობდა „ქართული გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონის“ შედგენა-მომზადებაში.

ცნობილია, რომ რთულ ტოპონიმთა გამოყენებისას არაერთი სადავო საკითხი იჩენს თავს. ამ სირთულის დაძლევისა და დარეგულირებას ეხება ქალბატონი შუქიას ნორმა „რთული შედგენილობის

ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლწერა“. ავტორი აღნიშნავს, რომ რთულ ტოპონიმთა მართლწერისას სიჭრელე შეინიშნება არა მხოლოდ ერთსა და იმავე გამოცემაში, არამედ – ერთ ავტორთანაც. უფრო მეტიც – რუკებსა და სახელმძღვანელოებშიც კი.

მკვლევარი დაწვრილებით განიხილავს რთულ ტოპონიმთა ჯგუფებს. რთული შედგენილობის გეოგრაფიულ სახელთა მართლწერის პრინციპების შემუშავებისას ითვალისწინებს, უწინარეს ყოვლისა, ფორმალურ ან შინაარსობრივ (სემანტიკურ) დაშლადობას. თუ რთული სახელი ამ ნიშნების მიხედვით იშლება, შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე უნდა დაიწეროს. ასეთია ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულის შემცველი ფორმოებრივად დაშლადი ტოპონიმები, ასევე – ნათესაობითბრუნვიანი მართული მსაზღვრელი და საზღვრული.

დაუშლელად, შერწყმულად დაიწერება ტოპონიმები, რომელთა პირველი კომპონენტი გაცვეთილია, ანუ ფუძის სახითაა წარმოდგენილი ან ნაწილობრივ მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი (ხუცუბანი, შრალხევი, ვაკიჯვარი...), ერთმარცვლიანი მსაზღვრელის ან საზღვრულის შემცველი ტოპონიმები (ვაკეტყე, შუაფხო, ხემადალი...), ტოპონიმები, რომელთა ორივე კომპონენტი საზოგადო სახელია და იგი არ შეესაბამება აღსანიშნ ობიექტს (შუახევი, ციხისძირი, ვარდისუბანი...). ნაშრომში განხილულია ყველა შესაძლო ვარიანტი და წარმოდგენილია სათანადო რეკომენდაციები.

ნორმის პროექტში „თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების ხმარებისათვის“ გაანალიზებულია ზმნისართები, რომლებიც გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ასევე – თანდებულის ფუნქციით. აღნიშნულია, რომ დამოუკიდებლად ხმარებისას ზმნიზედა წინადადებაში უშუალოდ ზმნა-შემასმენელს უკავშირდება, ხოლო თანდებულად გამოყენებული ზმნისართი სახელთა ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს დაერთვის.

ცალკეა განხილული ანტონიმური ზმნისართები **წინ** და **უკან**. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები შეიძლება ადგილზეც მიუთითებდეს და დროზეც: **სახლის წინ, საუკუნის წინ...**

დროზე მისათითებლად **წინ** შეიძლება ზმნისართსაც დაერთოს და წარმოქმნას რთული სიტყვები: **გუშინწინ** და **შარშანწინ**. ორივე შემთხვევაში დროის გაგებით ნახმარი **წინ** სიტყვის მნიშვნელობა:

ადრე, წინათ, მანამდე. მკვლევარი განიხილავს დასახელებულ ზმნისართათა მიცემითში დასმულ ნაცვალსახელებზე დართვის შემთხვევებსაც: **ამას წინათ და მას უკან** – ანუ მას შემდეგ.

ნორმაში გამოწვლილვით არის გაანალიზებული დარღვევის არაერთი მაგალითი (დასახელებული ტიპის ზმნისართათა გამოყენებისას), დასკვნით ნაწილში კი წარმოდგენილია, თუ რა იწვევს ამგვარ გაუმართაობას, მაგ., რუსულის ანალოგია: **Два часа (тому) назад орто საათის უკან**. მკვლევარი ასაბუთებს, რომ ამ შემთხვევაში უფლებელოყოფილია რუსული **назад** და ქართული **უკან** სიტყვათა მიმართება, კერძოდ: ისინი ერთმანეთის შესატყვისია მხოლოდ სივრცის (ადგილის) მნიშვნელობით და არა დროისა.

აღნიშნულთან დაკავშირებით შუქია აფრიდონიძე შემდეგ რეკომენდაციებს წარმოგვიდგენს:

1. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად მართებული **წინ** სიტყვის ნაცვლად ან მის პარალელურად მისივე ანტონიმის – **უკან** ზმნისართის – გამოყენება (როგორც ისტორიულად გაუმართლებელი და უნიადაგო მოვლენისა). შესაბამისად, უნდა იხმარებოდეს მხოლოდ **წინ: ერთი საუკუნის წინ, ხუთი წუთის წინ...** (მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ უკუსაგდებია გავრცელებული გამოთქმა-კალკები: **უკანა რიცხით, ძველი რიცხვით...**).

2. თანდებულად გამოყენებული **უკან** სიტყვის ხმარება დროული მნიშვნელობით მხოლოდ შემდგომი, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად იქნეს დაშვებული ტრადიციულ მყარ გამოთქმებში (**მას უკან**).

ნორმაში სხვა დეტალებზეც არის ყურადღება გამახვილებული.

Vakhtang Maghradze

**Shukia Apridonidze and the Norms of the Georgian
Literary Language**

Summary

The paper analyzes the projects of the norms of the Georgian literary language prepared by Shukia Apridonidze, namely, "The Rules of Chunking and Wrapping Words", "Spelling of Compound Georgian Geographical Names" and "On the Use of the Words *çin* "forward" and *uқан* "backward" as Postpositions". They give the relevant recommendations for spelling (taking the data of the Modern Georgian literary language into account); Incorrect variants (forms or syntagms) are prohibited.

**კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები
შუქია აფრიდონიძის ნაშრომში „მიმართვის ფორმები
ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“**

მიმართვას, როგორც დიალოგური მეტყველების სპეციფიკურ კომპონენტს, ეძღვნება შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია „მიმართვის ფორმები ახალ ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება“, რომელიც ორი – სისტემურ-სტრუქტურული და ანთროპოცენტრული – პარადიგმის ფარგლებში თანადროული კვლევის შედეგია. ამდენად, დასახელებული ნაშრომის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ, გარდა წმინდა ლინგვისტური დასკვნებისა, მასში გამოვლენილია ენისა და კულტურის კოდების ურთიერთქმედებით წარმოქმნილი ენობრივ ნიშანთა (არაერთი ლექსემის, მყარი შესიტყვებისა თუ ფორმულის) კულტურული სემანტიკა.

მიმართვის ფორმათა სამეტყველო ეტიკეტის კონტექსტში განხილვით ნაჩვენებია, თუ რა მდიდარ ცნობებს შეიცავს ისინი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ. მონოგრაფიაში შესწავლილია სახელური, ზმნური (იმპერატიული), ინტეროგატიული მიმართვები, განხილულია მიმართვებთან დაკავშირებული რიტმიკულ-ინტონაციური და ნორმატიული საკითხები, გამოყოფილია მიმართვათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები. ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს მონოგრაფიის მეორე ნაწილი, რომელშიც მიმართვის ფორმათა ფუნქციონირების პრობლემები, ადრესანტ-ადრესატის ურთიერთობის სოციოლინგვისტური ასპექტებია წარმოჩენილი.

შ. აფრიდონიძის ნაშრომი მდიდარ ცნობებს შეიცავს „ნათესაობის“ კონცეპტურ ველში შემავალ ერთეულთა ნაირგვარი გამოყენების შესახებ. ამ ერთეულთაგან, თავისებური სემანტიკის, სტრუქტურული ნიშნებისა და ფუნქციონირების გათვალისწინებით, გამოყოფილია „**მშობელთა ჯგუფის**“ სახელები, ზედმიწევნით არის აღწერილი მათი მონაწილეობით სპეციფიკური „**დედაჩემი**“ მოდელის კომპო-

ზიტთა წარმოქმნის პირობები. მოძებნილია ახლონათესაობის აღმნიშვნელ სხვა სახელთაგან „მშობელთა ჯგუფის“ სახელების განმასხვავებელი სამი ნიშანი, უფრო ზუსტად – სამი ნიშნის ერთობლიობა, ეს ნიშნებია: 1. **სემანტიკური** – პოსტპოზიციურ კუთვნილებით ნაცვალსახელებთან შეხამებული სუბსტანტივებით აღნიშნული ნათესავეები **უფროს თაობას** განეკუთვნებიან; 2. **რიტმიკული** – არცერთი ეს სახელი ერთმარცვლიანი არ არის: ისინი მხოლოდ ორ- ან სამმარცვლიანებია; 3. **ფონემატური** – ყველა ამ სახელს ფუძე ა ხმოვანზე უთავდება.

ფართო მსჯელობის საგნად არის ქვეული **მშობლის თაობისა** და **საკუთარი მშობლის თაობის** აღმნიშვნელ სახელთა კვეცა-უკვეცელობით დიფერენცირებული ვარიანტები ქართულში (შდრ. „დედის სახე ქართულ მწერლობაში“ და „დედას წიგნი“). საკუთარ სახელებთან „მშობელთა ჯგუფის“ სახელთა მსგავსება-გათანაბრების ძირითად პირობად მიჩნეულია მიმართვის თავდაპირველი – დამახება-მოხმობის ფუნქცია და გამოთქმულია შემდეგი თვალსაზრისი: „როგორც ჩანს, აპელატივის სტატუსი „მშობელთა ჯგუფის“ ნებისმიერ სახელს შეძენილი აქვს საკუთარ სახელად გააზრება-გამოყენების საფეხურის გავლით, რაკი საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, კერძოსა და კონკრეტულის აბსტრაპირება-განზოგადებასთან, მეორე მხრივ კი – კუმშვა-კვეცის პროცესთან (ე. ი. სახეზეა როგორც სემანტიკური, ისე ფონეტიკური ფაქტორები)“ [აფრიდონიძე 2023: 30]. ქართულში „მშობელთა ჯგუფის“ სახელთა ნათესაობითი ბრუნვის უკვეცელი და კვეცადი ვარიანტები შედარებულია ინდოევროპულ ენათა მონაცემებთან, კერძოდ, დედ-მამის აღმნიშვნელი სახელების აპელატივის ფუნქციით ნახმარ ოფიციალურ და საკუთარი სახელის ფუნქციით ნახმარ შინაურულ ფორმებთან (მაგ.: რუს. Мать – Мама, Отец – Папа; გერმ. Mutter – Mutti, Vater – Vati; ინგლ. Mother – Mom, Father – Dad). ქართულში გამოვლენილი განსხვავების საფუძველზე შესაძლებლად არის მიჩნეული ამ ჯგუფის სახელთა პოლისემიურ სიტყვებად განხილვა. სწორედ პოლისემიურობის დამღვევით – მშობელთა ჯგუფის სახელების აპელატიურ და ონიმურ მნიშვნელობათა გამიჯვნით – არის ახსნილი კუთვნილებით ნაცვალსახელთა პოსტპოზიცია **„დედაჩემი“** ტიპის კომპოზიტებში.

შ. აფრიდონიძე არაერთი მიმართვის წარმომშობ შესიტყვებებს აღადგენს და ელიფსისის მექანიზმებზე მსჯელობით თვალსაჩინოს

ხდის აქცენტირებული სიტყვის „დალექვის“ გზას. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ერთი გამორჩეული ჯგუფის მიმართებებზე შევჩერდებით, რომელთა სპეციფიკურობას ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი განაპირობებს.

უფროსი თაობის მიმართებები უმცროსისადმი ქართულში ვარიანტულია, შეიძლება სამგვარად გამოიხატებოდეს: 1. ანთროპონიმით – „თამარ!“, „ლევან!“ (ნეიტრალური მიმართვა); 2. უშუალო დენოტატის, ანუ ადრესატის ხსენებით – „შვილო!“ (ნეიტრალური მიმართვა); 3. თვითწოდებით, ანუ ადრესანტის ხსენებით – „დედა! / დედიკო!“ (ექსპრესიული მიმართვა).

შვილ-ლექსემის ვოკატიური ფორმა („შვილო“) იხმარება როგორც უშუალოდ შვილის, ისე შვილიშვილისა და მათთან ასაკით განთავსებული უმცროსების მიმართ. ავტორის ცნობით, მიმართვა „შვილო“ გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი უფრო ხშირად უფროსი თაობის წარმომადგენელი უმცროსს იმ სახელით მიმართავს, რომლითაც უმცროსი მიმართავს უფროსს (მაგალითად, ქალი შვილს ან შვილის ტოლს მიმართავს: „დედა (/ დედიკო / დედი / დე), უკვე მიდიხარ?“). უკანასკნელი ტიპის მაგალითებს შ. აფრიდონიძე რეფლექსურ // უკუქცევით მიმართვებს უწოდებს [აფრიდონიძე 2023: 185], ვ. ბოედერი მათ ვოკატიურ ინვერსიად (// მიმართვის ბიპოლარულ ფორმებად) მოიხსენიებს [ბოედერი 1988: 12-13], მათვე ოკაზიონალურ ენანტიოსემათა რიგში განიხილავენ ლ. აბულაძე და ა. ლუდენი [აბულაძე, ლუდენი 2014: 71].

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ამგვარ მიმართვათა წარმოშობასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული ფორმების დასაბამად „გადიების ენა“ ივარაუდება, რომლის ძირითადი პრინციპი პერსონალური სუბსტიტუციაა (შდრ.: „საბავშვო სიტყვები, როგორც ცნობილია, თვით ბავშვების გამოგონილი კი არ არის, არამედ მათი გამზრდელი უფროსებისა, ბავშვის მეტყველების გასაადვილებლად მიხივე იმიტაციის გზით“ [აფრიდონიძე 2023: 141]). „გადიების ენაში“ პირთა შენაცვლების ფაქტებთან დაკავშირებით ვ. ბოედერს ზემოთ დამოწმებულ ნაშრომში მოჰყავს შპიცერისა და უილსის მონაცემები. უილსი აღწერს სამხრეთ იტალიაში გავრცელებულ საგანგებო თამაშს – „როლები გაცვლას“, რომლის მეშვეობითაც უფროსები ლაპარაკს ასწავლიან ბავშვებს. როგორც ირკვევა, უფროსი თაობის „თვითწოდ-

დებებით“ მიმართვას უმცროსისადმი თავდაპირველად რეპეტიტულობაზე დამყარებული თამაშის სახე ჰქონდა და პატარებისათვის „მშობელთა ჯგუფის“ სახელების სწავლებას ისახავდა მიზნად, შემდეგ რეფლექსური მიმართვა ზრდასრულებისადმიც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და წინა ვითარებიდან გადმოყოლილი ალერსობითი ხასიათი აქაც შეინარჩუნა.

ზემომოყვანილ მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, მისი მისადაგება შეიძლება ნებისმიერი იმ ენისათვის, რომელშიც უკუქცევითი მიმართვის ფორმები დასტურდება.

სამხრეთიტალიურისაგან განსხვავებით, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმართვის ამგვარი ფორმები ემსახურება თაობათა დაახლოება-გათანაბრებას. უფროსის „დამცრობა“ და უმცროსის „ამაღლება“, რასაც ასევე ალერსობითი ხასიათი აქვს, ახლო აღმოსავლეთში ბავშვის აღზრდის გავრცელებული მეთოდია.

უფროსი თაობის წარმომადგენელთა დამოკიდებულება უმცროსების მიმართ ყველგან ზრუნვასა და სიყვარულს ემყარება, სწავლა-სწავლებაც საყოველთაო მოვლენაა, ამდენად, საალერსო ლექსიკა-ფრაზეოლოგია თუ გრამატიკული საშუალებები მეტ-ნაკლებად ყველა ენაში არსებობს, თუმცა ყოველი მათგანი კონკრეტული ლინგვოკულტურის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა შეფასდეს.

ქართულ დისკურსში დადასტურებული უკუქცევითი მიმართვები შუქია აფრიდონიძეს სახელისა და ზმნის შემცველი საალერსო ფრაზეოლოგიური გამოთქმების რედუცირებულ ვარიანტებად მიაჩნია, რომლებიც მიღებულია ექსპრესიულ-რელატიურ ზმნათა – „გენაცვალოს“, „შემოგველოს“ – ელიფსისის შედეგად (მაგ.: „(შენ) გენაცვალოს / შემოგველოს დედა, მოხვედი? > „დედა, მოხვედი?“).

ქართული უკუქცევითი ფორმები უფრო ადრე ვ. ბოედერმაც შემასმენლის გამოტოვებასა და წინადადების კონდენსაციას დაუკავშირა. შ. აფრიდონიძე საგანგებოდ მსჯელობს გამოტოვებულ ზმნებზე და აღნიშნავს, რომ მათი დრო-კილოთი განსხვავებული ფორმები ამოსავალ საალერსო ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა ორგვარ ტრანსფორმაციას განაპირობებს. ერთ შემთხვევაში მათი გამოტოვებით ვიღებთ **რეფლექსურ მიმართვას** („დედა (= შვილო), მოხვედი?“), მეორეში კი მათი შენარჩუნებით („დალექვით“) – **სალერსო ფორმულას**

(„გენაცვალე / დაგენაცვლე / შემოგველე!“). სათანადო კონტექსტს შედარებით ვრცლად დავიმოწმებთ:

„მიმართების ხსენებული სისტემის [საალერსო მიმართების] განხორციელებაც სწორედ რელატიური სტრუქტურის მქონე ზმნების გამოყენებით ხდება შესაძლებელი, – ხან ნაწილობრივი მოკვეციტ (**გენაცვალე > გენა!**), ხან კი – მთელი სიტყვის (ზმნის) გამოტოვებით * **შენი ჰირი მე (მქონდეს) > შენი ჰირიმე!**

ამგვარ ფორმულიზებულ ზმნათა მორფოსინტაქსზე თუ ვიმსჯელებთ, ისინი წარმოგვიდგება მეორე ობიექტური პირის პრეფიქსიანი აორისტის სახით: **გეთაყვანე, გენაცვალე, შემოგველე (მე – S, შენ – ირიბი O)**; ხოლო, თუკი I პირს III პირის უკუქცევითი **თავ-** ნაცვალსახელით წარმოვადგენთ **ჩემ** ნაცვალსახელის თანხლებით, ზმნური ფორმა კავშირებითის ნაკვეთში დადგება: (შენ) **გენაცვალოს // შემოგველოს (იმას ენაცვალოს // დაენაცვლოს, შემოველოს) ჩემი თავი! შენ დაგენაცვლოს, შემოგველოს ჩემი თავი!**

სხვა შემთხვევაში **თავ-** ნაცვალსახელს კავშირებითის ფორმასთან ენაცვლება სახელობით ბრუნვაში დასმული, დედის ან სხვა უახლოესი მომვლელი ნათესავის აღმნიშვნელი სათანადო მონაცვლე აპელატივი (**გენაცვალოს დედა // დეიდა // ზებო...**) ან საკუთარი სახელი – ანთროპონიმი (**შენ გენაცვალოს ნანო!**).

ეს ფორმები, ჩვეულებრივ, აორისტში I-II პირთა ურთიერთობას გულისხმობს, ხოლო კავშირებითთან – II-III პირებისას. ე. ი. ყურადღების ცენტრში მუდამ II პირია. ამასთან, მხოლოდ III პირის მონაწილეობა ხდის შესაძლებელს, ხატოვნად რომ ითქვას, უფროსი ადრესანტების აღმნიშვნელ სახელთა „დალექვას“ სახელისა და ზმნის შემცველ ფრაზეოლოგიურ „ხსნარში“.

ზმნებიდან **გენაცვალე // დაგენაცვლე, შემოგველე, გეთაყვანე...**, რომელთა აორისტის ფორმებიც გააზრებულაია მოსაუბრის მიერ, როგორც სასურველი მოქმედების უკვე შესრულებულად მიჩნევა [ბოედერი 1988: 12], არსებითი სახელები ვერ „გამოირიყებოდა“, რაკი მათი სტრუქტურით მხოლოდ I და II პირთა ურთიერთობაა ნაგულისხმები.

ამიტომაც ეს ფორმები თავად აღმოჩნდა უფრო გამძლე იმდენად, რომ დღეს ისინი საალერსო ფორმულებად უფრო აღიქმება, ვიდრე ჩვეულებრივ ფორმაცვალებად ზმნებად“ [აფრიდონიძე 2023: 244-245].

განსახილველ წიგნში თითოეული ფორმულის ლინგვისტური ანალიზი მისი კულტურული სემანტიკიდან ამოსვლით ხდება. გამო-
ნაკლისი, ამ თვალსაზრისით, არც ზემოთ განხილული ზმნებია, რომ-
ლებიც, თავის მხრივ, „როლები გაცვლის“ გამორჩეულ მაგალითე-
ბად წარმოგვიდგება, როგორც ადრესანტის მიერ ადრესატისათვის
(მვირფასი და საყვარელი ადამიანისათვის) გამოცხადებული მზად-
ყოფნა უკიდურეს გასაჭირში შენაცვლება-ჩანაცვლებისა და თავგან-
წირვისა.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის უხვი ისტორიულ-ლიტერა-
ტურული თუ დიალექტური მასალა, მონათესავე თუ არამონათესავე
ენათა მონაცემები, რომელთაც ავტორი ცალკეულ ენობრივ ერთეულ-
ზე მსჯელობისას იმოწმებს (ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია
248-ე გვერდზე დადასტურებული მსჯელობა ძველ ხალხურ წარმო-
დგენებსა და რიტუალებზე, რომელიც **შემოგველე** ზმნის წარმოშობის
საკითხს უკავშირდება).

ვგიჟრობთ, ჩვენ მიერ რეგლამენტირებულად მიმოხილული
საკითხებიც კი ცხადყოფს, რომ შუქია აფრიდონიძის მონოგრაფია
მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ლინგვოკულტურული სივ-
რცით დაინტერესებული მკითხველისათვის, უპირველეს ყოვლისა,
სპეციალისტებისათვის, თუმცა არამარტო მათთვის.

ლიტერატურა

აბულაძე, ლუდენი 2014 – ლ. აბულაძე, ა. ლუდენი, ენანტიოსე-
ნია ქართულში (II ნაწილი), ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი,
გვ. 47-80.

აფრიდონიძე 2023 – შ. აფრიდონიძე, მიმართვის ფორმები ახალ
ქართულში: სტრუქტურა და ფუნქციონირება, თბილისი.

ბოედერი 1988 – W. Boeder, Über einige Anredeformen im
Kaukasus, Georgica, Heft 11, Jena-Tbilissi, 11-19.

Salome Omiadze

**Linguocultural Aspects of Communication Shukia Apridonidze's
Work "Forms of Address in New Georgian: Structure and
Functioning"**

Summary

The monograph "Forms of Address in New Georgian: Structure and Functioning" by Shukia Apridonidze is dedicated to address as a specific component of dialogic speech, which is the result of simultaneous research within two paradigms - systemic-structural and anthropocentric. Thus, the importance of the work is increased by the fact that, in addition to purely linguistic conclusions, it reveals the cultural semantics of linguistic signs (numerous lexemes, fixed syntagms or formulas) generated by the interaction of language and cultural codes.

By considering the forms of address in the context of speech etiquette, it is shown what rich information they contain about the social-political and cultural life of the country. In the monograph, nominal, verb (imperative), interrogative addresses are studied, rhythmic-intonational and normative issues related to address are discussed, and lexical-semantic groups of address are distinguished. From the linguocultural point of view, the second part of the monograph arouses special interest, in which the problems of the functioning of the forms of address, and the sociolinguistic aspects of the relationship between the addresser and the addressee are presented.

თეა ტეტელოშვილი

შუქია აფრიდონიძე – სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონთა დანართების ავტორი

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ ორი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი მიუძღვნა მოსწავლეებს, სკოლას... ესენია 2011 წელს გამოცემული „**სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი**“ და მისი გადამუშავება-შევესების შედეგად მომზადებული „**მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი**“ (2012 წ.). ორივე ნაშრომი მიზნად ისახავდა ქართული მართლწერა-მართლმეტყველების სფეროში მოსწავლეების დახმარებას. ისინი დაემყარა სხვადასხვა დარგის სასკოლო სახელმძღვანელოებს და მათში გათვალისწინებულ იქნა მოსწავლე ახალგაზრდების ზეპირ თუ წერით მეტყველებასა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში დადასტურებული შეცდომები, კომპიუტერული ტერმინოლოგია და სხვ. დასახელებული ლექსიკონების სარგებლიანობას განაპირობებს ის, რომ სადავო ორთოგრაფიულ საკითხებზე პასუხის გაცემასთან ერთად ნაშრომები შეიცავს მოსწავლისათვის საჭირო დანართებს, რომელთა უმეტესობა შუქია აფრიდონიძის მიერაა მომზადებული. ესენია:

1. **გეოგრაფიული სახელების მართლწერა;**
2. **საქართველოს ეთნოდიალექტურ რეგიონთა სახელწოდებები და მათგან ნაწარმოები წარმომავლობის სახელები;**
3. **საერთაშორისო სიტყვები და საკუთარი სახელები;**
4. **დანართიანი სათაურ-სახელწოდებანი კონტექსტში;**
5. **სიტყვის დამარცვლა-გადატანის წესები;**
6. **პუნქტუაციის ძირითადი წესები;**
7. **აბრევიაცია-შემოკლებანი.**

შევეცდებით, თითოეული დანართის შესახებ მოკლედ წარმოვადგინოთ ძირითადი ინფორმაცია.

დანართი „**გეოგრაფიული სახელების მართლწერა**“ მოიცავს როგორც საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა კუმშვა-კვეცასთან

დაკავშირებულ წესებს, ისე არაქართულ გეოგრაფიულ სახელთა მოკლე სიასაც. ავტორი მოსწავლეებს არამხოლოდ აცნობს გეოგრაფიულ სახელთა კუმშვისა თუ კვეცის პრინციპებს, არამედ ყურადღებას ამახვილებს მიღებული წესებიდან გამონაკლისებზეც. მაგალითად, შუქია აფრიდონიძე წერს: „ზოგჯერ ერთნაირი ფუძეები გამიჯნულია იმის მიხედვით, საქართველოს რომელ მხარესაა ესა თუ ის გეოგრაფიული ობიექტი“ [სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011: 481]. შდრ., **დაბა ჯვარი** (**ჯვარი** უკუმშველია; დაბა **ჯვარის** მოსახლეობა – დას. საქართველო) და **ჯვრის** უღელტეხილი, **ჯვრის-ხევი** (**ჯვარი** კუმშვადია – აღმ. საქართველო). წესისგან გამონაკლისების ამგვარი ახსნა საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისთვის ნათელს ჰყვენს იდენტური ან მსგავსი გეოგრაფიული ტერმინების ზოგჯერ განსხვავებულ ქცევას კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით.

რაც შეეხება არაქართულ გეოგრაფიულ სახელთა სიას, ის არ არის მხოლოდ ორთოგრაფიული ჩამონათვალი, არამედ მასში ყურადღება გამახვილებულია მსაზღვრელ-საზღვრულის ტიპის გეოგრაფიული სახელებისგან ნაწარმოები ახალი ერთეულების მართლწერაზეც. მაგ.,

ახალი ზელანდია, მაგრამ: **ახალზელანდიელი**; **ახალზელანდიური**;

სამხრეთ აფრიკა, მაგრამ: **სამხრეთაფრიკელი**; **სამხრეთაფრიკული**...

ამავე პრინციპითაა წარმოდგენილი **„საქართველოს ეთნოდიალექტურ რეგიონთა სახელწოდებები და მათგან ნაწარმოები წარმომავლობის სახელები“**. ავტორი, მშრალი ჩამონათვალის გარდა, მკვითხველს აცნობს მართლწერის წესსაც: „თუ ეთნოდიალექტური რეგიონის სახელს ახლავს ორიენტაციის აღმნიშვნელი მსაზღვრელი (ზემო, ქვემო...), ასეთი სახელები ცალ-ცალკე, ორ სიტყვად, იწერება (**ზემო აჭარა, გარე კახეთი, შიდა ქართლი**...); ხოლო მათგან წარმომავლობის სახელების წარმოებისას მსაზღვრელ-საზღვრული ერთ სიტყვად დაიწერება (**გარეკახური, შიდაქართელი**...)“ [სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011: 485].

მოსწავლეებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიმაჩნია დანართი – **„საერთაშორისო სიტყვები და საკუთარი სახე-**

ლები“, რომელიც აერთიანებს ორ ქვეჯგუფს. ესენია: 1. *ე და ი ხმოვნებზე დაბოლოებული საერთაშორისო სიტყვები*; 2. *ადამიანის საკუთარი სახელები: გვარები და სახელები* (რომელიც თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე საკითხს, მათ შორისა – „*ო-ზე ფუმეგათავებული პირთა სახელები*“ და „*ო-ზე ფუმეგათავებული უცხოური გვარები*“).

აღსანიშნავია, რომ – მართლწერის წესების არსებობის მიუხედავად – ამ თავში განხილული არაერთი ერთეულის დაწერილობისას კვლავ გვხვდება სიჭრელე, ამიტომ ძალზე ფასეულად მიგვაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული ტიპის ორთოგრაფებთან ავტორი წარმოადგენს მოთხრობითი, მიცემითი და წოდებითი ბრუნვის ფორმებსაც. მაგალითად:

აკაკი (აკაკიმ; მიც. აკაკის; აკაკი!)

ანრი (ანრიმ; მიც. ანრის; ანრი!)

ბაზი (ბაზიმ; მიც. ბაზის; ბაზი!)

გიგი (გიგიმ; მიც. გიგის; გიგი!)

მერი (მერიმ; მიც. მერის; მერი!)...

ბოტიჩელი (ბოტიჩელიმ; მიც. ბოტიჩელის; ბოტიჩელი!)

ვერდი (ვერდიმ; მიც. ვერდის; ვერდი!)

ვივალდი (ვივალდიმ; მიც. ვივალდის; ვივალდი!)

ფელინი (ფელინიმ; მიც. ფელინის; ფელინი!)

ფერარი (ფერარიმ; მიც. ფერარის; ფერარი!)... [სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011: 488-492]

მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისთვის ერთ-ერთ სირთულეს ასევე წარმოადგენს დანართიანი სათაურ-სახელწოდებების კონტექსტში სწორად გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საკითხს ეძღვნება სპეციალური თავი, რომელშიც ავტორი სხვადასხვა ტიპის სათაურ-სახელწოდებების ბრუნვის მაგალითებს გვაწვდის, მაგალითად, როდესაც სათაური რომელიმე ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სიტყვაა, ან იგი შებრუნებული წყობის მსაზღვრელ-საზღვრულია, უფორმო სიტყვაა (ზმნიზედა, კავშირი...), ზმნა ან ზმნური შესიტყვებაა, ანდა სათაური წარმოადგენს მთელ წინადადებას, ან მთავარ პერსონაჟთა ჩამონათვალს. ქალბატონი შუქია მოსწავლეებს საკითხს აცნობს მათთვის ნაცნობი ნაწარმოებების სათაურების მაგალითზე, რაც შემსწავლელისთვის წესის პრაქტიკულად გამოყენებას აადვილებს.

ა) სათაური მიცემითში (უთანდებულოდ ან -ში თუ -ზე თანდებულებით):

გრიგოლ ორბელიანის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსში / ლექსიდან ... „იარალის“

ილია ჭავჭავაძის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსის / ლექსში... „ყვარლის მთებს“

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი / ლექსს / ლექსს / ლექსში... „ქება-თა-ქება ნიკორწმინდას“

გალაკტიონის ლექსი / ლექსს / ლექსს / ლექსში... „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს / ლექსში, ლექსიდან... „შემოდამება მთაწმინდაზედ“

ი. ჭავჭავაძის მოთხრობა / მოთხრობაში / მოთხრობის... „სარჩობელაზედ“

ბ) სათაური წოდებითში:

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი / ლექსს / ლექსის / ლექსში... „სულო ბოროტო“

ი. ჭავჭავაძის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსის / ლექსში... „ჩემო კარგო ქვეყანავ“

ანა კალანდაძის ლექსი / ლექსს / ლექსში / ლექსიდან... „საქართველოო, ლამაზო!“

გ) სათაური თანდებულებიან ნათესაობითში:

აკაკი წერეთლის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსის / ლექსში / ლექსიდან... „ხატის წინ“

დ) სათაური მოკმედებითშია:

ნიკო ლორთქიფანიძე მოთხრობა / მოთხრობას / მოთხრობაში... „შელოცვა რადიოთი“

ე) სათაური ვითარებითშია:

გალაკტიონის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსში, ლექსიდან... „უსიყვარულოდ“

ვ) სათაური შეზღუდებული წყობის მსაზღვრელ-საზღვრულია:
საბას იგავთა კრებული /კრებულს / კრებულში / კრებული-
დან... „სიბრძნე სიცრუისა“

დავით გურამიშვილის ლექსი /ლექსს /ლექსში / ლექსიდან...
„სწავლა მოსწავლეთა“

გრიგოლ ორბელიანის ლექსს /ლექსში / ლექსიდან... „სადამო
გამოსალმებისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა / პოემამ / პოემას /
პოემაში... „ბედი ქართლისა“

**ზ) სათაურად გამოყენებულია უფორმო სიტყვა (ზმნიზედა,
კავშირი...)**

აკაკი წერეთლის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსში / ლექსიდან
„აღმართ-აღმართ“

თ) სათაურად გამოყენებულია ზმნა ან ზმნური შესიტყვება:

ილია ჭავჭავაძის ლექსი / ლექსმა / ლექსს /ლექსში / ლექსიდან
„მესმის, მესმის!“

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი / ლექსმა / ლექსს /ლექსში /
ლექსიდან „ვისაც გსურთ“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი /ლექსმა / ლექსს / ლექსში
„ვპოვე ტამარი“

ილია ჭავჭავაძის სტატია / სტატიას / სტატიაში „რა გითხრათ,
რით გაგახაროთ?“ ვაჟა-ფშაველას ლექსი / ლექსს / ლექსში / ლექსიდან
„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე!“

ი) სათაური წარმოადგენს მთელ წინადადებას:

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსში...
„რად ჰყვედრი კაცსა?“

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურას / მინიატიურაში.. „იყი-
დება საქართველო!“

ანა კალანდაძის ლექსი / ლექსს / ლექსში / ლექსიდან... „ასეთი
დარი თუ იყო მაშინ?“

ანა კალანდაძის ლექსი / ლექსმა / ლექსს / ლექსში... „შემოდ-
ოდა ჩვენში კალანდა“

კ) სათაური წარმოადგენს მთავარ პერსონაჟთა ჩამონათვალს:

ნ. ღუმბაძის მოთხრობა / მოთხრობას / მოთხრობაში... „მე, ბე-
ბია, ილიკო და ილარიონი“ [სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი
2011: 494-497]

შემდეგი დანართები, რომლებსაც შ. აფრიდონიძე მოსწავლეე-
ებს სთავაზობს, არის **„სიტყვის დამარცვლა-გადატანის წესები“** და **„პუნქტუაციის ძირითადი წესები“**. ავტორისთვის სიტყვის გადატანა სცილდება ტექნიკურ საკითხთა რიგს და დაინტერესებულ საზოგადოებას სთავაზობს დამარცვლისა (ფონეტიკური დანაწევრება) და ფუძე-აფიქსთა გამოყოფის (მორფოლოგიური დანაწევრება) პრინციპებზე დაფუძნებულ გადატანის წესებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვათა გადატანის ახალი, კიდევ უფრო გამარტივებული, წესები, რომლებიც დაამტკიცა სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ, შემუშავებულია სწორედ შ. აფრიდონიძისა და ქ. დათუკიშვილის თანაავტორობით. დასახელებული ნორმა შესულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის III ბიულეტენში [ბიულეტენი III, 2021-2022: 104-106].

„პუნქტუაციის ძირითადი წესების“ დანართში გაერთიანებულია ბრჭყალების, დეფისის, კითხვის ნიშნის, კითხვით-მახილის ნიშნის, მრავალწერტილის, მძიმის, ორწერტილის, ტირეს, ფრჩხილების (მრგვალისა და კვადრატულის), მახილის ნიშნის, წერტილისა და წერტილ-მძიმის გამოყენების წესები.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანართია „აბრევიაცია-შემოკლება“. ავტორი ამ თავში გამოყოფს ორ ჯგუფს: 1. **ცალკე მდგომი სიტყვის შეკვეცა თავკიდური ნაწილის შენარჩუნებით** და 2. **ერთზე მეტი სიტყვის შემოკლება მათი საწყისი ასოების შეერთებით**.

შ. აფრიდონიძე განმარტავს: „ვინაიდან შემოკლების ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის მოკლედ გადმოცემა, სიტყვა ისე უნდა შემოკლდეს, რომ იძლეოდეს მისი მნიშვნელობის ზუსტად გაგების შესაძლებლობას“ [სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011: 509].

ავტორი დასახელებულ თავში შეეხო როგორც საერთაშორისო, ერთ სიტყვად ქცეულ, აბრევიატურებს (**გაეროს** ტიპისა), ისე უცხო ენიდან მომდინარე, შემოკლებების შემცველი სახელწოდებების ქარ-

თულად გადმოტანის საკითხსაც (**ბი-ბი-სი, სი-ენ-ენი** და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ზოგადი წესების გარდა, ეს დანართი შეიცავს აბრევიატურათა მოკლე სიასაც.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ სასკოლო ლექსიკონების დანართები ამ ნაშრომების მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის. ამ დანართთა ავტორი შუქია აფრიდონიძე, რომელსაც ახალგაზრდებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილება ჰქონდა, ყველა დანართში პოპულარულ ენაზე, მარტივად აწვდიდა მოსწავლეებს მართლწერა-მართლმეტყველების პრობლემებთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას და მასალასაც მათთვის შესაფერისი დოზითა თუ სტილით წარმოადგენდა.

ლიტერატურა

ბიულეტენი III, 2021-2022 – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი.

მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი 2012 – ა. არაბული, შ. აფრიდონიძე, თ. ბურჭულაძე, ი. გაგუა, ლ. დავითაშვილი, თ. ვაშაკიძე (ავტორ-შემდგენელი და მთ. რედაქტორი), ვ. მალრაძე, თ. ტეტელოშვილი, თ. ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე, თბილისი.

სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი 2011 – შ. აფრიდონიძე, ი. გაგუა, თ. ვაშაკიძე (ავტორ-შემდგენელი და მთ. რედაქტორი), ვ. მალრაძე, თ. ტეტელოშვილი, თ. ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე, თბილისი.

Tea Teteloshvili

**Shukia Apridonidze – Author of the Annexes of School
Orthographic Dictionaries**

Summary

The Department of Georgian Speech Culture has dedicated two extensive orthographic dictionaries to students, school, namely, "Orthographic Dictionary for School" published in 2011 and "Orthographic-Stylistic Dictionary for Students" (2012) prepared as a result of its reworking and completion. Both works aim to help students in the field of correct Georgian spelling and communication. The usefulness of the named dictionaries is determined by the fact that, along with answering the disputed orthographic questions, the works contain the annexes necessary for the student, most of which were prepared by Shukia Apridonidze. They are as follows:

- **Spelling of geographical names;**
- **Names of ethno-dialectal regions of Georgia and names of origin derived from them;**
- **International words and proper names;**
- **Titles and names with annexes in context;**
- **Rules of syllabification and chunking/wrapping the word;**
- **Basic rules of punctuation;**
- **Abbreviations.**
-

The author of the annexes of the school orthographic dictionaries, Shukia Apridonidze who had a great experience of working with young people, gave students the necessary information related to spelling and correct communication in a simple popular way in each annex presenting the material in a relevant style and amount. It should also be noted that more simplified rules of word chunking and wrapping, which were approved by the expert commission of the State Language Department were developed by Sh. Apridonidze and K. Datukishvili.

რამაზ ქურდაძე

შუქია აფრიდონიძე და თსუ-ს ახალი ქართული ენის კათედრა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი წამყვანი, ახალი ქართული ენის, კათედრა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და ასრულებს ქართული ენის მკვლევარ-სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

ახალი ქართული ენის კათედრა, როგორც ცნობილია, 1945 წელს დაარსდა, მას შემდეგ, რაც ბატონმა აკაკი შანიძემ თსუ-ში 1918 წლიდან არსებული ერთ-ერთი პირველი, ქართული ენის კათედრა, ორად გაყო: ძველი ქართული ენის კათედრად, რომელსაც შემდგომ კვლავ თავად განაგებდა და ახალი ქართული ენის კათედრად, რომელსაც სათავეში ჩაუყენა თავისი ნამოწაფარი და უკვე ქართველურ ენათა აღიარებული მკვლევარი, ბატონი ვარლამ თოფურია.

სწორედ ბატონი ვარლამ თოფურიას დამსახურებით იქცა ახალი ქართული ენის კათედრა ქართული ენის შესწავლისა და სწავლების მძლავრ ცენტრად და როდესაც ქალბატონი შუქია აფრიდონიძე 1958 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ზემოაღნიშნული კათედრა გადაიქცა მომავალი მკვლევრისათვის აღმზრდელ-მასწავლებლად და გზის გამკვლევად იმ მიმართულებებისაკენ, რომელთა თემატიკასაც ქალბატონი შუქია სიცოცხლის ბოლომდე დიდი და გადამდები ენთუზიაზმით იკვლევდა.

სტუდენტობის პერიოდი, 1958-1963 წლები, იღბლიანი აღმოჩნდა შუქია აფრიდონიძისათვის. მას ახალი ქართული ენის კათედრის საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ: ვარლამ თოფურია, შოთა ძიძიგური, ივანე გიგინეიშვილი, ივანე ქავთარაძე, ბიძინა ფოჩხუა, მარიამ თალაკვაძე, ელენე ბაბუნაშვილი და სხვები. წორედ ამ სკოლის გავლის შედეგად ჩამოყალიბდა შუქია აფრიდონიძე ქართული ენის მომავალ წარმატებულ მკვლევრად.

ქალბატონი შუქია იღბლიანი აღმოჩნდა მეგობრებშიც. მასთან ერთად კურსზე ირიცხებოდნენ მომავალი ჩინებული ენათმეცნიერ-

ფილოლოგები: გუჩა კვარაცხელია, ვაჟა შენგელია, რისმაგ გორდეზიანი, გენადი ბურჭულაძე, თამაზ კვაჭანტირაძე და სხვები.

უნდა ითქვას, რომ ქართული ფილოლოგიის სავალი გზის არჩევა ქალბატონ შუქიას ოჯახურმა ტრადიციამაც, პაპის, ცნობილი ქართველი ლექსიკოლოგის, ფოლკლორისტიკისა და ეთნოგრაფის, თედო სახოკიას საქმიანობამაც განუსაზღვრა.

ქალბატონი შუქია აფრიდონიძე მრავალმხრივი ლინგვისტია, მისი ინტერესების სფეროში შედიოდა ქართული ენის სხვადასხვა თემატიკა, რომელთა შესახებაც მას მეტად საყურადღებო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული. ძნელია ყოველივე ეს ერთ სტატილაში მოთავსდეს. ჩვენ მხოლოდ ორიოდ მიმართულების შესახებ ვისაუბრებთ ქალბატონი შუქია აფრიდონიძის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობიდან, რომელიც მის მშობლიურ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე ოთხ ათეულ წელს ითვლის – 1966 წლიდან 2006 წლამდე.

ქალბატონი შუქია უპირველეს ყოვლისა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აღიარებულ მკვლევრად არის ცნობილი, თუმცა განსაკუთრებულია მისი საქმიანობა ტოპონიმიკის სფეროში, კერძოდ, თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკის ლაბორატორიაში, რომელსაც ამჟამად ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრი ჰქვია. აქ ქალბატონი შუქია ლაბორატორიის დაარსებიდან, 1966 წლიდან 1976 წლამდე აქტიურად მუშაობდა, ერთხანს ლაბორატორიის ხელმძღვანელიც იყო და მერეც არ შეუწყვეტია კავშირი ამ სამეცნიერო ერთეულთან, ინარჩუნებდა საქმიან და მეგობრულ ურთიერთობას ლაბორატორიის წევრებთან: ბესარიონ ჯორბენაძესთან, პაატა ცხადაიასთან, ფიქრია მაკალათიასთან, უშანგ სახლთხუციშვილთან, ვილენა ჯოჯუასთან და სხვებთან.

ეს ლაბორატორია (ამჟამინდელი ცენტრი), როგორც ტოპონიმიკისა და ჰიდრონიმიკის შემსწავლელი სამეცნიერო ერთეული, სტრატეგიული თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვანი იყო ადრეც. მაშინ ამ ლაბორატორიის მნიშვნელობა საკავშირო სტრატეგიულ დონეზეც განიხილებოდა. ამიტომაც მოსკოვი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ასეთი ლაბორატორიების მიმართ.

ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, ინტერესიც იყო ასეთი სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ერთეულის არსებობა, რადგან არცერთი ქართული ადგილსახელი თუ მდინარისა

და ტბის სახელი არ უნდა დაკარგულიყო და დამახინჯებულად ანდა შეცვლილად არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მაშინდელ საერთო-საკავშირო ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა ჩამონათვალში. ეს ვერ მიიღწეოდა მხოლოდ ქართული ენის ცოდნით და ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შესწავლის ადგილობრივი მეთოდოლოგიით. საჭირო იყო ამ სფეროში ზოგადი, საკავშირო ვითარების გაცნობა და იქიდან ჩვენთვის საჭირო წესებისა და მეთოდოლოგიის გადმოტანა. ეს საქმე ახალგაზრდა შუქია აფრიდონიმემ ითავა. იგი სწორედ ამ წესებისა და მეთოდოლოგიის გასაცნობად იქნა მივლინებული მოსკოვის შესაბამის სამეცნიერო ცენტრებში და სწორედ იქ მიღებული გამოცდილების შედეგია ქალბატონი შუქია აფრიდონიმის მიერ მაღალ დონეზე შესრულებული ნაშრომები და სარედაქციო საქმიანობა ამ სფეროში. მათ შორის აღსანიშნავია მის მირ გაწეული რედაქტორობა ისეთი მნიშვნელოვანი გამოცემებისათვის, როგორებიცაა: „საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“, თბ.; ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1987 წ. 250 გვ. და ასევე მაღალ დონეზე შესრულებული ნაშრომი: „საქართველოს ტოპონიმია, ქვემო იმერეთი: ლექსიკონი ინვერსიული ლექსიკონითა და რუკებით“, თსუ გამოცემლობა, 2003, რომლის შემდგენელი ქალბატონი შუქიაა.

ასევე ცალკე გვინდა გამოვყოთ ქალბატონი შუქიას მოღვაწეობის ერთი სფერო – მუშაობა უცხოელ სტუდენტებთან.

თსუ ახალი ქართული ენის კათედრის კიდევ ერთი მიმართულების, წინამორბედ პედაგოგთა მიერ დაწყებული საქმის, ღირსეულ გამგრძელებლად იქცა ქალბატონი შუქია აფრიდონიმე. ეს გახლავთ ქართული ენის სწავლება არაქართველთათვის. ამისი კარგი ტრადიცია არსებობდა ახალი ქართული ენის კათედრაზე. უფროსი თაობიდან ამ საქმეს ემსახურებოდნენ ქალბატონები: ელენე ბაბუნაშვილი, ნია აბესაძე. მოგვიანებით კი: დამანა მელიქიშვილი, მერი ნიკოლაიშვილი, ლეილა გეგუჩაძე, ნანი ჭანიშვილი და სხვები. მათ რიგში იყო ქალბატონი შუქია აფრიდონიმეც. მან მრავალ უცხოელს ასწავლა ქართული, რომელთაგან დღეს ბევრი ჩინებული ქართველოლოგია.

ქალბატონი შუქიას მეთოდი უცხოელთათვის ქართულის სწავლების დროს ითვალისწინებდა იმ პრინციპს, რომ მასწავლებელს უნდა სცოდნოდა უცხოელი სტუდენტის მშობლიური ენა. ამით უფ-

რო ადვილი მისახვედრი იქნებდა, რა აითვისა სტუდენტმა და დარჩენილი შესასწავლი თუ ასათვისებელი მასალიდან რა როგორ შეიძლებოდა მისწოდებოდა მას.

თვითონ იყენებდა ამგვარ მიდგომას უცხოელებთან მუშაობის დროს, ძირითადად ინგლისურენოვან და რუსულენოვან სტუდენტებს ასწავლიდა და მათ მშობლურ ენებს ჩინებულად ფლობდა. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დროს, 1965-1969 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში მუშაობისას ამ ენებზე შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებს თარგმნიდა ქართულად.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას ქალბატონი შუქიას სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შესახებ, მომავალშიც არაერთხელ გაიხსენებენ და დაუბრუნდებიან მის ნაშრომებს. ამჟამად კი გვინდა საგანგებდ აღვნიშნოთ ის პიროვნული თვისებებიც, რომელთა გამოც ქალბატონ შუქია აფრიდონიძეს მეგობრები, კოლეგები და სტუდენტები სიყვარულით მიაგებენ პატივს: პირდაპირი, ქართული ენის საჭირბოროტო საკითხების განხილვისას ზუსტი, აკადემიური, მიღებული გადაწყვეტილებების მტკიცედ დამცველი და რაც მთავარია, ყოველთვის მეგობრული – ასეთი იყო ქალბატონი შუქია და ასეთად დარჩება მეგობრების, კოლეგებისა და სუდენტების ხსოვნაში.

Ramaz Kurdadze

Shukia Apridonidze and the Chair of New Georgian Language of TSU

The article deals with the relationship of Shukia Apridonidze with the Chair of New Georgian Language of Tbilisi State University. Famous specialists of this Chair namely recognized researchers of the Georgian language as Varlam Topuria, Shota Dzidziguri, Ivane Gigineishvili, Ivane Kavtaradze, Bidzina Pochkhua, Mariam Talakvadze, Elene Babunashvili and others played a major role in the formation of Shukia Apridonidze as one of the outstanding specialists of the Georgian language.

Shukia Apridonidze is primarily recognized as one of the well-known researchers of the modern Georgian literary language, though the article deals with a couple of directions from her scientific and pedagogical activities, during the four decades at the Chair of New Georgian Language of her native Tbilisi State University (from 1966 to 2006).

One of these directions is her work at the Toponymy Laboratory at the Chair of the New Georgian Language, and the second is Shukia Apridonidze's work with foreign students, whom Shukia Apridonidze taught Georgian, and many of whom have become prominent scholars of Kartvelology.

The article also deals with Shukia Apridonidze's personal qualities, thanks to which she is well remembered as a loyal, kind and devoted friend by her friends and colleagues.

ნინო ჯორბენაძე

შუქია აფრიდონიძე – „ჩვენი ენა ქართული“

შუქია აფრიდონიძის ნაშრომს „**ჩვენი ენა ქართული**“ საფუძვლად ხუთწუთიანი სატელევიზიო გადაცემა დაედო, რომლის სათაურადაც გიორგი ლეონიძის ერთი ლექსის სტრიქონი – „**ჩვენი ენა ქართული**“ შეირჩა (აღნიშნული გადაცემა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე 1998-99 წლებში გადიოდა). გადაცემის ავტორიცა და პირველი წამყვანიც შუქია აფრიდონიძე გახლდათ.

მსმენელთა თხოვნით, გადაწყდა ტელესაუბრების ცალკე წიგნად გამოცემა, რასაც მალევე შეესხა ხორცი.

ნაშრომი 65 საკითხს მოიცავს. ამათგან დაახლოებით ნახევარი თავად შუქია აფრიდონიძის ნაკვლევია, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს „**თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების**“ პირველ წიგნსა და ბიულეტენებში, აგრეთვე კრებულ „**ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში**“ და სხვა ავტორიტეტულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილების ვარიანტებს.

წიგნის თემატიკა მრავალმხრივია: განხილულია როგორც **მორფოლოგიური**, ასევე **სინტაქსური**, **სტილისტიკური** და **პუნქტუაციის** საკითხები.

ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა **პარონიმებს**. განხილულია ფართოდ გავრცელებულ პარონიმთა შემდეგი წყვილები (თუ სამეულები):

1. აღქმა და აღთქმა
2. ცნება და მცნება
3. კამპანია და კომპანია
4. სწორად და სწორედ
5. მოთხოვნა და მოთხოვნილება
6. პლაგიატი და პლაგიატორი
7. პარაკლისი და პანაშვიდი
8. ეკონომიური და ეკონომიკური
9. მასიური, მასობრივი და მასური

მორფოლოგიურ-გრამატიკული ხასიათის შეცდომებს ეხება სტატიები:

1. ახლახანს თუ ახლახან?
2. ერთჯერ და ერთხელ; პირველჯერ თუ პირველად?
3. ოთარი! თუ ოთარ! თემური! თუ თემურ!
4. შიშები, წნევები, შუქები, კენჭისყრები?
5. ბოდიშით თუ ბოდიში? კარგით თუ კარგი?
6. ყოველი ჩვენთაგანი (თქვენთაგანი) თუ ყოველი ჩვენგანი (თქვენგანი)?
7. დინამიური თუ დინამიკური? ლირიული თუ ლირიკული?
8. ელემენტალური თუ ელემენტარული? ორდინალური თუ ორდინარული?
9. ეხლა თუ ახლა?
10. ესე თუ ასე? ესეთი თუ ასეთი?
11. აქით თუ აქეთ? იქეთ თუ იქით?
12. რამოდენიმე თუ რამდენიმე?
13. მომსახურეობა თუ მომსახურება? სამსახურეობრივი თუ სამსახურებრივი?
14. მეტრა-ნახევარი, მეტრო-ნახევარი თუ მეტრ-ნახევარი?
15. ჯორჯიას შტატი თუ ჯორჯიის შტატი? სიდას, ხურჩას თუ სიდის, ხურჩის მოსახლეობა?

ამათ შორის დიდი ადგილი ეთმობა **ზმნის მორფოლოგიის** საკითხებსაც:

1. წარმოჩინდა თუ წარმოჩნდა?
2. ვდგევარ თუ ვდგავარ? ვგევარ თუ ვგავარ? ვყევარ თუ ვყავარ?
3. მღერისარ თუ მღერი? ტყუისარ თუ ტყუი?
4. გასჩენიყო თუ გასჩენოდა? დაჰკარგიყო თუ დაჰკარგოდა?
5. გავს, ყავს, თხოვს თუ ჰგავს, ჰყავს, სთხოვს?
6. აწვითარებს თუ აწვითარებს? აწსხვავებს თუ აწხვავებს?
7. ავლნიშნავ თუ ავლნიშნავ? ავლწერ თუ ავლწერ?
8. ვშეურაცხყოფ თუ შეურაცხვყოფ? ვუკუაგდებ თუ უკუაგდებ?
9. ავადვმყოფობ თუ ვავადმყოფობ? შუავდგომლობ თუ ვშუამდგომლობ?
10. ვაბავ თუ ვაბამ? ვარტყავ თუ ვარტყამ?

11. წყვიტავს თუ წყვეტს? დრიკავს თუ დრეკს?
12. უთქვია თუ უთქვამს? უნახია თუ უნახავს?
13. დავაწყე თუ დავაწყვე? შევიტყე თუ შევიტყვე?
14. აგებიებს თუ აგებინებს? აჭრევიებს, აჭრეინებს თუ აჭრევინებს?
15. აკერინებს თუ აკერვინებს? ანახებს თუ ანახვებს?

კრებულში განხილულია აგრეთვე უცხოური ენებიდან ნასესხებ სიტყვათა ქართულად გადმოტანის შემთხვევები – **უცხოური წარმოშობის** ფუძეები. გაანალიზებულია როგორც ცალკეული ასობგერების, ასევე – ზოგადად, უცხოური ფუძეების ქართულად გაფორმებისა და ფორმაცვალების პრობლემებიც:

1. ქლინტონი, ქლინთონი თუ კლინტონი?
2. სერთიფიკატი თუ სერტიფიკატი?
3. რელიქვია თუ რელიკვია? რექვიემი თუ რეკვიემი?
4. მისსია თუ მისია? ანნა თუ ანა?
5. პლიაჟი თუ პლაჟი? პლიუსი თუ პლუსი?
6. სასომხეთი თუ სომხეთი? მოლდოვა თუ მოლდავეთი?
7. ვერდმა თუ ვერდიმ? გარიბალდს თუ გარიბალდის?

ნაშრომში განხილულია თავაზიანობის ფორმათა გამოყენების შემთხვევები (ბრძანდებით და გახლავართ), მისალმება-გამოთხოვების ჯგუფის ერთ-ერთი ფორმულა (ღამე მშვიდობისა); ხშირად გამოყენებული მყარი გამოთქმის უმართებულო ხმარების შემთხვევა (მადლობა მოუხადა თუ მადლობა გადაუხადა?); სპეციფიკური ფრაზეოლოგიური გამოთქმები (მაგალითი/ციტატა/ციფრი მოაქვს თუ მოჰყავს?) და სხვ. გაანალიზებულია ასევე ყველაზე გავრცელებული **სინტაქსურ-სტილისტიკური** ტიპის შეცდომები და მოცემულია მათი სწორი ვარიანტები:

1. ორი წლის უკან თუ ორი წლის წინ/წინათ?
2. გაყიდვაშია, ხმარებაშია, შეხებაშია, შეტევაშია;
3. 2000 წელში თუ 2000 წელს?
4. დასასრულს და დასასრულ; ბოლო-ბოლო თუ ბოლოს და ბოლოს?
5. მამაო არჩილი თუ მამა არჩილი მოვიდა? მამაო ზურაბ თუ მამა ზურაბ?
6. ბარათაშვილი დავითი თუ ბარათაშვილი დავით?

7. პროფესორი ბერიძის თუ პროფესორ ბერიძის ბინა? ბატონ ზურაბის თუ ბატონი ზურაბის წიგნი?
8. იგივე კაცმა თუ იმავე კაცმა? ერთი და იგივე კაცმა თუ ერთი და იმავე კაცმა?
9. მათ თქვეს (თქვან) თუ მათმა თქვეს (თქვან)?
10. დასავლეთ ევროპა თუ დასავლეთი ევროპა?
11. ბევრი წერილები თუ ბევრი წერილი?
12. ორივე იდგნენ თუ ორივე იდგა?
13. ისინი ზიან თუ სხედან? ბევრი აზია თუ ასხია?

ცალკეულ ფორმათა განხილვის პარალელურად ნაშრომის დასასრულს მოცემულია უფრო **ზოგადი ხასიათის წესები და რეკომენდაციები**, როგორებიცაა, მაგალითად:

1. ასო-ბგერათა უმართებულო ხმარებისათვის საერთაშორისო სიტყვებში;
2. სამედიცინო ტერმინთა მართლწერის საკითხები;
3. პუნქტუაციის წესები;
4. აბრევიაციის (შემოკლების) წესები;
5. სიტყვის დამარცვლა-გადატანის წესები.

წიგნი ძალზე მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისითაც: საკითხებს ახლავს (ორთოგრაფიულ-გრამატიკული და სტილისტიკური) სავარჯიშოები. ნაშრომს ერთვის სწორი პასუხები და ძირითადი ლიტერატურის სია.

შუქია აფრიდონიძის „ჩვენი ენა ქართული“ გამოცემისთანავე მთელი საქართველოსთვის სამაგიდო წიგნად იქცა.

Nino Jorbenadze

Shukia Apridonidze – "Our Georgian language"

Summary

For Shukia Apridonidze's work – "Our Georgian language " - the basis was the five-minute television program, the title of which was a line of a poem by Giorgi Leonidze – "Our Georgian language " (program was broadcasting on the first channel of the Georgian television in 1998-99). The author and the first host of the program was Shukia Apridonidze.

At the request of the listeners, it was decided to publish the TV talks as a separate book, which was done soon.

After the publication of "Our Language Georgian" by Shukia Apridonidze, it became a reference book for the whole Georgia.

**ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის პარალელურ
ფორმათა შესახებ (იქნეს თუ იქნას?)**

ორთოგრაფიული ლექსიკონის მნიშვნელობა წიგნიერი საზოგადოებისათვის განმარტებას არ საჭიროებს. ამონაწერი ენციკლოპედიიდან: „**ორთოგრაფიული ლექსიკონი**. სალიტერატურო ენის **ნორმატიული** ლექსიკონი, ანუ მართლწერის თვალსაზრისით სწორი, **ენობრივი ნორმების** მიხედვით გამართული ლიტერატურული სიტყვაფორმების ლექსიკონი“ [ენციკლოპედია 2008]. წერენ კიდევ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის წი ნასიტყვაში: „ამ (ორთოგრაფიული – გ. გ.) ლექსიკონის გამოცემას ქართული სალიტერატურო ენის **ნორმათა** დამკვიდრებისა და დაცვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება“ [თოფურია, გიგინეიშვილი 1998: 6]; მიანიშნებენ იმასაც, რომ „ეს (ორთოგრაფიული – გ. გ.) ლექსიკონი ემყარება იმ **ნორმებს, რომლებიც კომისიამ მიიღო სალიტერატურო ქართული ენისათვის**“ [იქვე] (ხაზი ჩვენია). აქ დაზუსტება საჭირო: ცხადია, ორთოგრაფიული ლექსიკონი ითვალისწინებს ყველა დადგენილ ნორმას, მაგრამ არის არაერთი საკითხი, რომელიც ნორმის თვალსაზრისით მოუგვარებელია, მათ შესახებ ნორმა არ არის დადგენილი. ასე რომ, „ლექსიკონი ემყარება ნორმებს“, არ მოიცავს ყველა ფორმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზოგ შემთხვევაში თუ ნორმასთან გვაქვს საქმე, სხვა შემთხვევაში მას რეკომენდაციის სახე აქვს.

ამიტომაც ლექსიკონში შეიძლება არაერთგვაროვნად იყოს წარმოდგენილი ცალკეულ შემთხვევაში ერთი და იმავე რიგის ფაქტები. „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ მნიშვნელობას ჩვენ იმაშიც ვხედავთ, რომ ასეთი მასალის თავმოყრა გასარკვევ და შესასწავლ საკითხებს წარმოაჩენს. ამჯერად ერთ მათგანზე ვამახვილებთ ყურადღებას.

ორთოგრაფიული ლექსიკონი გვასწავლის: სწორია ფორმა იქნეს; შესაბამისად, იგულისხმება, რომ მცდარია **იქნას**. არადა, **-ა** სუფიქსიანი ვარიანტი არანაკლებ გავრცელებულია, ვიდრე – **-ე** სუფიქ-

სიანი: „ფარსმან სპარსისათვის კონსტანტინე არსაკიძის დაპირისპირება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ტეზა და ანტიტეზა რომანში“ (კ. გამსახურდია). მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ორთოგრაფიულ ლექსიკონში ამ ზმნის ზმნისწინიან ფორმებში კიდევ უფრო კონკრეტდება და ზუსტდება ვითარება: (**შეიქნას** კი არა) **შეიქნეს** (ათი წლისა). მაგრამ **შეიქმნას** (სახელმწიფო, ორგანიზაცია). პარალელური -**ე** სუფიქსიანი ფორმა ამ ზმნასაც აქვს: **შეიქმნეს**.

არადა, **შეიქნეს** || **შეიქნას** და **შეიქმნეს** || **შეიქმნას** გრამატიკულად იდენტური ოდენობებია. ერთ შემთხვევაში პარალელურ ფორმათაგან -**ე** სუფიქსიან ვარიანტს ეძლევა უპირატესობა, ხოლო მეორე შემთხვევაში – -**ა** სუფიქსიანს. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი არა გვაქვს. თუ ისაა მთავარი არგუმენტი, რომ ისტორიულად იქნეს ფორმა არის მართებული, იგივე შეიძლება ითქვას **შეიქმნეს** ფორმაზეც. შესაბამისად: თუ არამართებულია **იქნას** ფორმა, არამართებულად უნდა ჩაითვალოს **შეიქმნას** ფორმაც.

მსგავსად აღნიშნული ზმნებისა, პარალელურად იწარმოებს II კავშირებითის ფორმებს უნიშნო (resp. **ი**-ელემენტის) წყვეტილის მქონე **ი**- პრეფიქსიანი ვნებითები:

შეიძრას || **შეიძრეს**, **გაიხსნას** || **გაიხსნეს**, **გაიხრწნას** || **გაიხრწნეს**, **გაირყვნას** || **გაირყვნეს**. ამგვარ პარალელურ ფორმათა არსებობას ორთოგრაფიულ ლექსიკონში ყურადღება არ ექცევა; II კავშირებითის სწორი ფორმა საერთოდ არ მიეთითება, თუმცა ზოგი ზმნის შემთხვევაში -**ე** სუფიქსიანი ვარიანტია მიჩნეული მართებულად (**დაიბნეს**, **დაირწეს**, **დაირღვეს**...), ზოგჯერ -**ა** სუფიქსიანი ვარიანტი (**დაისვას**, **დაიძრას**...).

პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: რატომაა მართებული **შეიქნეს** და არა **შეიქნას**? ანდა **შეიქმნას** და არა **შეიქმნეს** (თუ ამგვარ რეკომენდაციას ვირწმუნებთ)? – მითუმეტეს, რომ ისტორიულად ორივე შემთხვევაში მართებულია -**ე** სუფიქსიანი ვარიანტი?

არაერთგვაროვნად წარმოდგენა ერთი და იმავე რიგის ფაქტებისა იმის გამო ხდება, რომ ზუსტად არაა გააზრებული ის კანონზომიერება, ამ ფორმათა წარმოება რომ ექვემდებარება და არაა გავალისწინებული ის ტენდენციები, რომლებიც ამ რიგის ენობრივი ფაქტების განვითარებასთან არის დაკავშირებული.

ზოგადად ისტორიული პრინციპის მოშველიება ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება...

როგორც ირკვევა, ძველ ქართულში ამ ტიპის ზმნათა II კავშირებითის ფორმათა წარმოება პრინციპულად განსხვავებული იყო ახალი ქართულისაგან; არსებობდა მკაცრი კანონზომიერება: როგორც ვნებითი, ისე მოქმედებითი გვარის ზმნათა უნიშნო (resp. **ო-ელემენტის**) წყვეტილის მქონე ზმნები II კავშირებითს ერთნაირად იწარმოებდნენ:

ა) თუ საყრდენ მორფემაში **ე** ხმოვანი იყო რედუცირებული, II კავშირებითის მაწარმოებელი იყო **-ე როგორც მოქმედებითში, ასევე ვნებითში**:

ქენ – ი-ქნ-**ე**-ს და ქნ-**ე**-ს, ქმენ – იქმნ-**ე**-ს და ქმნ-**ე**-ს, შევ – ი-შვ-**ე**-ს და შვ-**ე**-ს, ჭერ – და-ი-ჭრ-**ე**-ს და და-ჭრ-**ე**-ს, ხრწენ – განი-ხრწნ-**ე**-ს და გან-ხრწნ-**ე**-ს...

ბ) თუ საყრდენ მორფემაში არ იყო რედუცირებული ე ხმოვანი, II კავშირებითის მაწარმოებელი იყო **-ა** სუფიქსი **როგორც მოქმედებითში, ასევე ვნებითში**:

ძარ – აღიდრ-**ა**-ს და აღ-ძრ-**ა**-ს, წვ – მოი-წუ-**ა**-ს და და-წუ-**ა**-ს... [უფრო ვრცლად იხ.: გოგოლაშვილი 2010: 410-419].

ამ შემთხვევაში ყურადღებას მივაპყრობთ ერთ მთავარ პრინციპს: როგორც იწარმოება მოქმედებითი გვარის II კავშირებითის ფორმები, ისეთივეა შესაბამისი ვნებითის წარმოებაც.

რაც შეეხება **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებას (როგორც ვთქვით), ფონოლოგიური საფუძველი ჰქონდა.

ახალ ქართულში ეს უკანასკნელი პრინციპი მოიხსნა; ფუძის სტრუქტურა (ფონოლოგია) აღარ განსაზღვრავს **-ა** და **-ე** სუფიქსთა განაწილებას. მოქმედებითი გვარის ფორმებში ვითარება მარტივად მოგვარდა: მოხდა ფორმათა უნიფიცირება – ყველა გადავიდა **-ა** სუფიქსიან წარმოებაზე: სვ-**ა**-ს, ქნ-**ა**-ს და დამრ-**ა**-ს, დაწვ-**ა**-ს...

ვითარება გაართულა ვნებითი გვარის ფორმებმა:

აქ თითქოს თავი იჩინა **-ა** სუფიქსიანი წარმოების **-ე** სუფიქსიან წარმოებაზე გადასვლის ტენდენციამ: აღ-ი-ძრ-**ე**-ს, და-ი-წვ-**ე**-ს... თუმცა იქვე **-ა** სუფიქსიანი ვარიანტები გაიჩინა **-ე** სუფიქსიანებმა: ი-ქნ-**ა**-ს, ი-შვ-**ა**-ს... მკვეთრად გამოხატული მიმართულება არა აქვს ერთი რომელიმე მაწარმოებლის გაბატონებას...

რამდენადაც მოქმედებითში ეს პროცესი დასრულებულია, შეიძლება ვისაუბროთ ძირითად ტენდენციაზე: **მოხდა წარმოების**

უნიფიცირება: ყველა გადავიდა -ა სუფიქსიან წარმოებაზე (ისტორიულად -ა სუფიქსიანიც და -ე სუფიქსიანიც).

თუ გავითვალისწინებთ ძველ ქართულში მოქმედ მთავარ პრინციპს (ვნებითის ფორმები იწარმოებოდა იმგვარადვე, როგორც შესაბამისი მოქმედებითისა), პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა შეიძლება მიეცეს -ა სუფიქსიან წარმოებას: იშვას, იქნას, გაიხრწნას, გადაიჭრას, აღიდრას და ა. შ.

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2010 – გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბილისი.

ენციკლოპედია 2008 – ენციკლოპედია ქართული ენა, თბილისი.

თოფურია, გიგინეიშვილი 1998 – ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

Giorgi Gogolashvili

On the Parallel Forms of the Conjunctive II of the Passive Verbs (*iknes or iknas?*)

Summary

One group of verbs with the unmarked discontinuous screeve produces the parallel passive forms in the Conjunctive II: *ikn-e-s* // *ikn-a-s*, *ayizr-e-s* // *ayizr-a-s*. The corresponding suffix -a of the Instrumental case is used to produce the forms *kn-a-s*, *ayizr-a-s*, etc. Taking this fact into account and studying the history of the word formation of the verbs of the group under consideration gives us the right to give preference to the forms with the suffix -ა among the parallel passive forms in New Georgian: *ikn-a-s*, *ayizr-a-s*, etc.

რუსუდან ზექალაშვილი

ზოგიერთი დარღვევა უარყოფის გამოყენების დროს ჟურნალისტების მეტყველებაში

უარყოფის ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორია ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალია და გამოხატვის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა სხვადასხვა ენაში. ზოგიერთი ენათმეცნიერი ნეგაციის ცხრა ტიპს გამოყოფს და ენებს განარჩევს უარყოფის გამოხატვის შესაძლებლობისა და უარყოფითი სიტყვების რაოდენობის მიხედვით. ქართული ენა მიეკუთვნება ნეგაციის შერეულ ტიპს, რადგან მასში დასაშვებია როგორც მონო-, ისე პოლინეგატიური (კერძოდ, ორმაგი) ფორმები.

ორმაგია უარყოფა, როცა წინადადებაში უარყოფით ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან ერთად გვხვდება შესაბამისი უარყოფითი ნაწილაკი: **არავინ არ, ვერავინ ვერ, არაფერი არ, ვერაფერი ვერ, არსად არ, ვერსად ვერ, ნურსად ნუ, არასდროს არ** და სხვ.

გავრცელებული იყო აზრი, რომ ქართულ ენაში ორმაგი უარყოფა უმართებულოა და უნდა ვერიდოთ მის გამოყენებას, რადგან სხვა ენის გავლენითაა შემოტანილი.

ორმაგი უარყოფის შესახებ ქართულ ლინგვისტიკაში

ორმაგი უარყოფა ქართულ ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ 1923 წელს შეისწავლა ვ. თოფურიამ და დაადგინა ამგვარ ფორმათა მეორეულობა. მეცნიერი ღრმა ანალიზის საფუძველზე წერს, რომ ძველ ქართულში „გვქონდა მუდამ ერთმაგი უარყოფა“ [თოფურია 2002: 310]¹. მეცნიერმა მოიძია ორმაგი უარყოფის მხოლოდ ერთი მაგალითი ადრეინის სახარებიდან, რაც მიაწერა ბერძნული ენის გავლენას. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ეს ფორმები ჩაისახა და განვითარდა ქართულ ნია-

¹ მოხსენება წაკითხულია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების სხდომაზე 1923 წელს; ნაშრომი დაიბეჭდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდულში“ 1923-1924 წლებში და შეტანილია ვ. თოფურიას შრომების მეორე ტომში.

დაგზე ჯერ ცოცხალ მეტყველებაში (დიალექტებში), საიდანაც XI საუკუნის შემდეგ უნდა გავრცელებულიყო სალიტერატურო ქართულშიც (სხვა ენათა გავლენის გარეშე).

მოგვიანებით ყურადღება მიაქციეს უარყოფის გამოყენების გრამატიკულ-სტილისტიკურ ასპექტებს, ცალმაგი თუ ორმაგი უარყოფის ურთიერთმიმართებას [ჭუმბურიძე 1970; შალამბერიძე 1980; ჯორბენაძე 1984 და სხვ.].

ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში უკვე ჩამოთვლილია სავალდებულო ორმაგი უარყოფის პირობები, რომ ის საჭიროა შემდეგ სიტყვებსა და გამოთქმებთან: **არავითარი, ვერავითარი, ვერავითარ შემთხვევაში; არც ერთი; ვერც ერთი; არც ერთხელ, ვერც ერთხელ; არამც და არამც, არამცთუ, არასგზით, არაფრით, არაფრის დიდებით, ვერაფრით, ვერასგზით** [ქსც 2002: 30-32, 62, 68]. ა. არაბული „ქართული მეტყველების კულტურაში“ წერს: „როგორც დადგენილია, ცალმაგი და ორმაგი უარყოფის ურთიერთმონაცვლეობა თავისუფალია და სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. ამრიგად, გემოვნებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ“ [არაბული 2004: 178], მაგრამ მან იქვე ჩამოაყალიბა ძირითადი წესები, როდისაა აუცილებელი ორმაგი უარყოფის გამოყენება¹.

აღსანიშნავია, რომ უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში უკვე მონოგრაფიულადაა შესწავლილი. ნაშრომში ავტორები მსჯელობენ ორმაგი უარყოფის შესახებაც და გვთავაზობენ უცხოურ ლინგვისტიკაში გამოყენებულ ტერმინებს: **სავალდებულო ორმაგი უარყოფა** (Obligatory Double Negation) და **არჩევითი ორმაგი უარყოფა** (Optional Double Negation), რაც ჩვენც მისაღებად მიგვაჩნია [ქურდაძე, ლომია, მარგანი, ჭუმბურიძე 2022: 186-187]. პირველი ტიპის უარყოფა გრამატიკულ ნორმას ქმნის, ხოლო მეორე სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება.

¹ ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. შემდეგ.

სტატისტიკური მონაცემები ქართული ენის ეროვნული კორპუსი-დან

საინტერესოა, რომ ქართული ენის ეროვნული კორპუსის¹ მონაცემების მიხედვით, ბეჭდურ მედიაში ორმაგი უარყოფის მართებული ფორმები სჭარბობს უმარტებულოს. ქვემოთ მოგვყავს **სტატისტიკური მონაცემები არც/ვერც/ნურც უარყოფითი ნაწილაკების შემცველი მაგალითებზე:**

არც ერთი	39960 ² 22732	ვერც ერთი	7006 3891	ნურც ერთი	52 32
არცერთი	6443 3533	ვერცერთი	1217 650	ნურცერთი	19 8
ალარც ერთი	134 91	ველარც ერთი	6 4	ნულარც ერთი	0
ალარცერთი	44 27	ველარცერთი	4 3	ნულარცერთი	0
არც ერთი არ	1310 2751	ვერც ერთი ვერ	707 260	ნურც ერთი ნუ	2
არცერთი არ	206	ვერცერთი ვერ	58	ნურცერთი ნუ	1
ალარც ერთი ალარ	14 10	ველარც ერთი ველარ/ვერ	6	ნულარც ერთი ნუ(ლარ)	0
ალარცერთი ალარ	5 3	ველარცერთი ველარ/ვერ	4	ნულარცერთი ნულარ	0
არც ერთი, არც მეორე	1121	ვერც ერთი, ვერც მეორე	132	ნურც ერთი, ნურც მეორე	1
ალარც ერთი, ალარც მეორე	12	ველარც ერთი, ველარც მეორე	2	ნულარც ერთი, ნულარც მეორე	0

¹ ამჯერად არ გავითვალისწინებია ილიას უნივერსიტეტის ქართული ენის კორპუსისა და ქართული ენის ვებკორპუსის მასალა.

² უარყოფით ნაწილაკთა გამოყენების სტატისტიკურ მონაცემთა ცხრილები იხ. ასევე ნაშრომში [ქურდაძე, თვალთვაძე, ლომია, მარგაიანი-სუბარი და ზეკალაშვილი, 2016: 73-93].

² პირველი რიცხვი გვიჩვენებს შესაბამისი ფორმის შემცველი მაგალითების მთლიან რაოდენობას, მეორე კი – მხოლოდ სახელობითი ბრუნვისას.

არც ერთხელ/ ვერც ერთხელ:

არც ერთხელ არ	549	ვერც ერთხელ ვერ	12 4	ნურც ერთხელ ნუ	0
არცერთხელ არ	126	ვერცერთხელ ვერ	44	ნურცერთხელ ნუ	0
ადარც ერთხელ ადარ	1	ველარც ერთხელ ველარ	0	ნულარც ერთხელ ნულარ	0

როდისაა ორმაგი უარყოფა სავალდებულო

სამწუხაროდ, ჟურნალისტები ზეპირ მეტყველებაში ჯიუტად მისდევენ პრინციპს, რომ **ორმაგი უარყოფა ყოველთვის უმართებულოა**. ამიტომ ხშირად ცდილობენ, არ გამოიყენონ უარყოფითი ნაწილაკი უარყოფით ნაცვალსახელთან ან ზმნიზედასთან ერთად.

ორმაგი უარყოფა აუცილებელია შემდეგ შემთხვევებში, ა. არაბულის მიერ ჩამოყალიბებული წესების თანახმად:

„1. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი თუ ზმნიზედა გათიშულია უარყოფითი ნაწილაკისაგან: **არსად** ისე **არ** მღერიან... **ვერაგინ** თურმე **ვერ** დაგვიცავს...

2. როცა უარყოფით ნაცვალსახელსა და ზმნიზედას დაერთვის ნაწილაკი -**ც(ა): ვერაფერსაც ვერ** ვხედავ... **არსადაც არ** მექარება...

3. როცა უარყოფითნაწილაკიანი სიტყვა **მსაზღვრელი წევრია**: მუცელას სმა-ჭამის მეტი **არავითარი** დარდი **არა** ჰქონდა. თავს არ იზოგავდა, **არავითარ** მუშაობას **არ** თაკილობდა. მასზე სოფლებმა **ვერავითარი** გავლენა ვერ მოახდინეს. წასულისა ჯერ არანაირი ამბავი არ მოსვლოდათ.

4. თუ ძირითადი წევრის უარყოფითობას გამოხატავს **არც, ვერც, ნურც** ნაწილაკები: მიყვარხარ და **არცვის** არ დავუთმობ შენს თავს! **არც ერთს** ხმა **არ** ამოუღია. **არც ერთი** აღდგომა, **არც ერთი** ბედნიერი დღე **არ** ახსოვდა. ხალხის მხარდაჭერის გარეშე **ვერც ერთი** მათგანი **ვერ** განხორციელდებოდა“ [არაბული 2004: 177-178]¹.

¹ იხ. ასევე: ზექალაშვილი 2004: 122-125; ზექალაშვილი, კინწურაშვილი 2009: 124-125.

ამ წესების მიხედვით, არასწორია წინადადება: **არანაირი შედეგი** ექნებათ პაციენტებს. აქ ზმნასთან დამატებით საჭიროა უარყოფითი ნაწილაკი **არ**. **არანაირი შედეგი არ** ექნებათ პაციენტებს.

ვფიქრობთ, ამ წესებში, გასავრცობია ბოლო პუნქტი და ჩასამატებელია შემასმენლის პოზიციის გავლენის შესახებ ორმაგი უარყოფის გამოყენებაზე¹.

სავალდებულო ორმაგი უარყოფის უმართებულო ფორმები

როგორც ვხედავთ, ცალმაგი ან ორმაგი უარყოფის არჩევა წინადადებაში არაა მხოლოდ სტილისტიკური ხასიათის მოვლენა და მოქმედის ან ავტორის ნება-სურვილზე დამოკიდებული.

2007 წელს ლ. გეგუჩაძემ ამოკრიბა უარყოფის გამოყენების შემთხვევები ქართულ სალიტერატურო ენაში (გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, რ. ინანიშვილის, ა. კალანდაძის, გ. შატერაშვილის, გ. დოჩანაშვილის, გ. ჩოხელის, გ. ცოცანიძის ნაწარმოებებიდან) [გეგუჩაძე 2007: 36-37]. აღმოჩნდა, რომ ამ პოეტებსა და მწერლებს თითქმის ყველგან დაცული აქვთ ცალმაგი თუ ორმაგი უარყოფის გამოყენების წესები, ცხადია, ენობრივ ადლოზე დაყრდნობით, რადგან მაშინ შესაბამისი ნორმა არ იყო ჩამოყალიბებული).

ლ. გეგუჩაძეს აღნიშნული აქვს ჟურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში ჩამოთვლილ ერთეულებზე, რომ მათგან ორიოდ არ გამოირიცხავს ერთმაგი უარყოფის გამოყენებასაც. მაგ.: ადრეც **არაფრით (არ)** გამორჩეულა, **ვერაფრით (ვერ)** დავითანხმე..., „მაგრამ ყველა დანარჩენს ალტერნატივა არ გააჩნია: მათი მონაწილეობით შექმნილ კონსტრუქციებში ორმაგი უარყოფა აუცილებელია“ [გეგუჩაძე 2007: 38]. სტატიაში ჩამოთვლილია არჩევითი ორმაგი უარყოფის მაგალითები: ცილს **ვერაგინ (ვერ)** დაგვწამებს; **არასოდეს (არ)** გადაუხვევენ სწორი გზიდან; სხვა წევრით ც-ს შემცველი უარყოფითი ნაწილაკების გათიშვის შემთხვევები ზმნა-შემასმენლისგან: **არც** მინდია (**არ**) უნდა დარჩეს ყველაფრის მცნობი; ხშირად **არც** იმას (**არ**) მივუთითებ; ახლა **არც** ისინი (**არ**) არიან ცოცხლები [იქვე: 39].

სტატიაში გამოვრებულია სავალდებულო ორმაგი უარყოფის გამოყენების წესები და დამატებულია ჩვენთვის საინტერესო ერთერთი პუნქტი: „თუ ერთგვარი ქვემდებარეების ან წინადადების

¹ ამ შემთხვევებს განვიხილავთ შემდეგ.

ერთგვარი წევრების წინ უარყოფითი **არც, აღარც, ვერც, ველარც, ნურც, ნულარც** ნაწილაკებია ნახმარი, შემასმენლის წინ მეორე უარყოფითი ნაწილაკი აუცილებელია: **ვერც** მუქარა და **ვერც** შანტაჟი უკან **ვერ** დამახვევინებს; **არც** სიცივისა და **არც** სიცხისა **არ** უნდა შეგეშინდეს; **ნურც** სიცოცხლესა და **ნურც** სიკვდილს დაუდევრად **ნუ** მოექცევი“ [გეგუჩაძე 2007: 39].

დავასახელებთ ზემოხსენებულ სტატიაში თავმოყრილ ზოგიერთ მცდარ მაგალითს ქართული პრესიდან და სატელევიზიო ეთერიდან: საინფორმაციო გამოშვებებიდან, ტოქშოუებიდან, რეკლამებიდან, ქართულად დუბლირებული ფილმებიდან. თვალში საცემია, რომ შეცდომიან მაგალითებში ჭარბობს უარყოფით ნაცვალსახელთა – **არავითარი, არანაირი, ვერანაირი** – მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევები¹: [ამას] **არანაირი** სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს; **ვერანაირი** სიყვარული შეედრება ბავშვის სიყვარულს; **ვერანაირმა** ადგილობრივმა მმართველობამ დააკმაყოფილა; [ჩვენი ხელისუფლება] გალელებს **ვერანაირ** გარანტიას აძლევს; შესყიდვას **არავითარ** შემთხვევაში დასთანხმდებოდა [გეგუჩაძე 2007: 36-37].

-**ც** ნაწილაკიანი უარყოფა (**არც ერთი/ვერც ერთი**) სხვადასხვა ბრუნვაში: **არც ერთი** დღე გვენანება; მოლაპარაკებების დეტალებს **არც ერთი** მხარე ახმაურებდა; დანაშაულის ნიშნები **არც ერთ** მსხვერპლს ეტყობოდა; გულშემატკივრები ურეაქციოდ **არც ერთ** ქმედებას ტოვებდნენ; ხალხი ქუჩაში გამოვიდა, მაგრამ **ვერც ერთი** ადამიანი მიეკარა მოკლულს; **ვერც ერთი** ფერი წარმოაჩენს; ჩვენს კანდიდატს კონკურენციას **ვერც ერთი** კანდიდატი გაუწევს; **ვერც ერთ** მათგანს მივანდობთ ამ მისიის შესრულებას და სხვ.

კავშირის ფუნქციით გამოყენებულ **არც** ნაწილაკიან შერწყმულ წინადადებაში: სიყვარულისთვის მისი გავლენა **არც** არალეგიტიმურ, **არც** ლეგიტიმურ ხელისუფლებაზე ვრცელდებოდა; [ადმინისტრაცია] **არც** თვითმხილველთან, **არც** დაზარალებულთან გასაუბრების შესაძლებლობას იძლეოდა.

უარყოფით ნაცვალსახელებთან მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში (**არავის, არაფერს/არაფრის**): სადაც სიყვარულია, **არავის**

¹ მაგალითებში ავტორისეული თანმიმდევრობა შეცვლილია.

აზრი მაინტერესებს; ექიმებს მაშინ **არაფრის** გაკეთება შეეძლოთ; ნუ-
თუ **არაფრის** გაკეთება შეიძლება? ეშმაკის „მოსახელე“ კარგს **არაფერს**
უნდა წარმოადგენდეს [გეგუჩაძე 2007: 36].

ამ წერილის დაბეჭდვიდან გასულია 16 წელი და საინტერესოა,
შეიცვალა თუ არა მდგომარეობა მასმედიაში ამ თვალსაზრისით. ჩვე-
ნი დაკვირვებით, ბეჭდურ მედიაში, ქართული ენის ეროვნული კორ-
პუსისა და ინტერნეტში არსებული სხვა მასალების მიხედვით, **არც/**
ადარც/ ვერც/ ვეღარც/ ნურც/ ნულარც ნაწილაკების შემცველ გამო-
თქმათა მართებული ფორმები მეტია, მაგრამ დარღვევა მაინც
გვხვდება, ასევე, ჟურნალისტიკის ზეპირ მეტყველებაში საკმაოდ გა-
ვრცელებულია უმართებულო ერთმაგი უარყოფა ორმაგის ნა-
ცვლად¹.

განსაკუთრებით გვინტერესებდა, რა სურათს გვიჩვენებს მას-
მედია **არც ერთი/ ვერც ერთი/ ნურც ერთი** და **არც ერთხელ/ ვერც ერ-
თხელ** სიტყვების შემცველ წინადადებებში, რადგან სწორედ აქ დას-
ტურდება ყველაზე მეტი დარღვევა.

არც ერთი/არცერთი (დამოუკიდებლად):

პარტიებს **არც ერთი** მოსწონს.

ბევრი დამლაგებელი გამოვიცვალეთ: პაკისტანელი, ალბანე-
ლი, უკრაინელი, პოლონელი, მაგრამ ქართველისნაირი მუხლჩაუხ-
რელი და პატიოსანი შრომით **არც ერთი** გამოირჩეოდა.

ეს საგნები **არც ერთი** იძებნება მის გარდერობში.

სამწუხაროდ, ამ სამეულიდან **არც ერთს** მოუწია თამაშმა ნახე-
ვარფინალში.

დაშვებული შეცდომებიდან **არც ერთს** აირიდებდი?

მე მრავალი სხვადასხვა კრემი ვცადე, თუმცა სასურველი შედე-
გი **არც ერთს** მოუცია.

ამ რვა წლის განმავლობაში რამდენჯერაც სესხად მიმიცია ფუ-
ლი, თითქმის **არც ერთს** მოუცია უკან.

მსახიობები თვეებია, რაც გამორდნენ, მაგრამ განქორწინების
დოკუმენტებზე ხელი **არც ერთს** მოუწერია.

¹ დასახელებულია მაგალითები ინტერნეტგვერდებიდან, google-ის საძიებო
პლატფორმიდან და ჟურნალისტთა ზეპირი ტექსტებიდან.

უკვე თვე-ნახევარი სრულდება, **არც ერთს** დაურეკავს და მეც აღარ ვურეკავო.

არც ერთი/არცერთი მსაზღვრელად:

არც ერთი სიტყვა უთქვამს დასაცავად.

ის, რაც დ. ჭ-მემ გააკეთა, **არც ერთ** დეპუტატს გაუკეთებია.

ძალიან ვამაყობ, რომ არცერთმა კინოთეატრმა დაიხია უკან.

ვერც ერთი/ვერცერთი (დამოუკიდებლად):

მამა დედაჩემის ჩამოსაყვანად ატრიალდა. 7 თვის ორსული იყო და **ვერცერთი** გადარჩა.

რამდენიმე კურდღლის მადევარი საბოლოო ჯამში **ვერც ერთს** დაიჭერს.

ვერც ერთს დაგაცდენინეთ სიტყვა, რომ სამშობლოს ღალატი იყო.

ვერც ერთს დაგავალდებულებთ აქ დარჩენას.

მთავრობისთვის უნდა მიეხედა, ამიტომ შეიძლება, კარგად

ვერც ერთს გაძლოლოდა.

ბიჭებს **ვერც ერთს** გავაცალკავებ, ისინი ჩემს თვალში ყველა გმირია.

ვერც ერთს დაგავალდებულებთ აქ დარჩენას.

მაგრამ ურუმის ომებს **ვერც ერთს** მოუსწრეს.

რეალურად, **ვერც ერთს** ახერხებენ.

გულგრილად **ვერც ერთს** მოისმენთ.

ვერც ერთი/ვერცერთი (მსაზღვრელად):

ვერცერთი ადამიანი დავინახე ჩემს რაიონში, ვისაც ჰქონდა შესაძლებლობა ამ თურქული წამლების ყიდვის.

ეს პრობლემა **ვერც ერთმა** ხელისუფლებამ მოაგვარა.

10 წელია მიმდინარეობს და **ვერცერთმა** ადამიანმა შეძლო არ-გუმენტის მოტანა.

არცერთხელ

გადადგომასთან დაკავშირებით მოთხოვნაზე უარი **არც ერთხელ** უთქვამს.

ომის ცხრა წლის განმავლობაში რუსეთს **არც ერთხელ** შეუსრულებია ზავის პირობები.

ზ. პ-მეს **არც ერთხელ** უსარგებლია პრემიით.

2018 წელს 150 დეპუტატიდან 30-ს მიკროფონი **არც ერთხელ** ჩაურთავს.

ტელეტრანსლირების რეჟისორს **არც ერთხელ** უჩვენებია, რა რეაქცია ჰქონდათ სამთავრობო ლოქებში მყოფებს განცხადებაზე.

მოგმართავთ უმრავლესობას, **არც ერთხელ** დაინტერესებულხართ ღია წყაროებით?

COVID 19 უსიმპტომოდ გადავიტანე, PCR-ით **არც ერთხელ** დამიდასტურდა.

ოთხი წლის განმავლობაში **არც ერთხელ** მინახავს, არც მქონია იქ ნახვის სურვილი.

ვერც ერთხელ

2-ჯერ წარვადგინეთ, საჭირო ხმები **ვერც ერთხელ** მოაგროვა.

კ-მა **ვერც ერთხელ** მოიპოვა პარლამენტის 2/3-ის ხმების რაოდენობა 5 წლის ვადით ასარჩევად, ამიტომ აღარ წარვადგინე მისი კანდიდატურა.

მათ **ვერც ერთხელ** შეძლეს 50 ხმის მობილიზება.

სახელმწიფომ **ვერც ერთხელ** შეძლო მაღალი ნდობისა და რეპუტაციის გენპროკურორის არჩევა.

ამ დროის განმავლობაში კლოპმა **ვერც ერთხელ** შეძლო ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოეპოვებინა.

ჰკუა **ვერც ერთხელ** ვისწავლე.

ამ შემთხვევამდე [დელფინების] გადაღება **ვერც ერთხელ** მოასწრო.

ვერც ერთხელ მოვახერხე ჩემი ტკივილის და მონატრების გამოხატვა.

ტენდერი 2019 წელს ორჯერ გამოაცხადა, თუმცა **ვერც ერთხელ** მოხდა კომპანიის შერჩევა.

შალამბერიძის შეგირდებმა ბევრჯერ შექმნეს სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან, თუმცა მიზანს **ვერც ერთხელ** უწიეს.

ჯერ მარტო მეტოქის გაცუდებული 4 აუტიდან ბურთის დატოვება რომ **ვერცერთხელ** მოხერხდა, ეგ ფაქტი რად ღირს.

მართებულად გამოყენებული უარყოფა კი მსგავს მაგალითებში ძალიან ცოტა აღმოჩნდა:

ჩვენი ფრაქცია **ვერც ერთხელ** დაუჭერს **ვერც ერთს** მხარს.

ვერც ერთ თქვენგანს **ვერ** დავავალდებულებ, რომ დარჩეთ.
არც ერთ შემთხვევაში დადებითი PCR ტესტი **არ** გამოვლენი-
ლა.

ნურცერთი ჩვენგანი **ნუ** მოაკლდება სიტკბოებას.

ნურც ერთი ჩვენგანი **ნუ** დააკლდება გამოხსნისა და მასთან
მყოფობის სიხარულს.

ორჯერ მივიღე მონაწილეობა, **ვერც ერთხელ ვერ** გამოვედი
მსოფლიოს დასანახად.

[თავმჯდომარემ] **ვერც ერთხელ ვერ** მოაგროვა საჭირო რაოდე-
ნობის ხმები.

დასახელებულ მასალას შევადართ **არც ერთი... არც მეორე,**
ვერც ერთი... ვერც მეორე-ს შემცველი წინადადებები. ასეთ დროს ორ-
მაგი უარყოფა არაა საჭირო და არც არის გამოყენებული:

ოქტომბერში **არც ერთი** ყვავის და **არც მეორე.**

არაბულად მოსაუბრე ადამიანისგან ბოლომდე **ვერც ერთს** მო-
ისმენთ და **ვერც მეორეს.**

ვერც ერთს უშველა რკინის კაცმა და **ვერც მეორეს** ვანომ.

როცა **ვერც ერთს** ვახერხებთ და **ვერც მეორეს**, ვიწყებთ თავის
მართლებას.

[მცველებმა] **ვერც ერთს** და **ვერც მეორეს** ხელი ვერაფრით შე-
უშალეს.

უმრავლესობა ან მღერის, ან ცეკვავს, ან **ვერც ერთს** შვება და
ვერც მეორეს.

წინასწარ **ვერც ერთს** დაგპირდებით და **ვერც მეორეს** და სხვ.

როგორც ვხედავთ, გასათვალისწინებელია, მოსდევს თუ არა
არც ერთ/ვერც ერთ/ნურც ერთ-ს არც მეორე, ვერც მეორე და **ნურც
მეორე.** ამ დროს ორმაგი უარყოფა საჭირო არაა. მხოლოდ პირველი
ნაწილის გამოყენებისას კი გრამატიკულად **უმართებულო კონ-
სტრუქციას** ქმნის უარყოფითი ნაწილაკების (არ/აღარ/ვერ/ველარ/ნუ/
ნულარ) გამოტოვება.

მაშასადამე, **არცერთი, ვერცერთი...** მოითხოვს დამატებით
უარყოფით ნაწილაკს. მაგ.: გუშინ ღონისძიებაზე **არცერთი** სტუდენ-
ტი არ მოსულა, მაგრამ მდრ. გუშინ ღონისძიებაზე **არც ერთი** სტუ-
დენტი მოსულა და **არც მეორე.**

უარყოფა შერწყმულ და თანწყობილ წინადადებაში

დავასახელებთ მაგალითებს, როცა გაორკეცებული უარყოფითი ნაწილაკები შერწყმულ და რთულ თანწყობილ წინადადებაში მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს: **არც – არც, აღარც – აღარც, ვერც – ვერც, ველარც – ველარც, ნურც – ნურც, ნულარც – ნულარც**, ამ დროს გასათვალისწინებელია, რას უარყოფს ეს ნაწილაკი: სახელს თუ ზმნას, ასევე ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვათა წყობას: ხომ არ იწყება წინადადება ზმნა-შემასმენლით. მაშინ ორმაგი უარყოფა საჭიროა, დანარჩენ შემთხვევებში კი უარყოფითი ნაწილაკის დამატება სავალდებულო არაა.

არც – არც

სისხლი სისხლით **არც** დაბანილა, **არც** დაიბანება (ვაჟა, 6, 161)¹.
არც მწვადი დასწვა, **არც** შამფურიო (ანდ.).

აღარც – აღარც

აღარც წირვა იყო და **აღარც** ლოცვა (ა. წერ.).
აგერ... ჩემი კერა, სადაც **აღარც** სახლი მაქვს, **აღარც** კარი! (გ. ლეონი.).
აღარც ძალ-ღონე აქვს, **აღარც** რაიმე ნატვრა, მაგრამ მაინც მიდის (ჯ. ქარჩხ.).

ნურც – ნურც/ნუცა – ნუცა

ნურც მგელი მშიერი, **ნურც** მწყემსი მომდურავიო (ანდ.).
ნურც გაფრინდები, **ნურც** მოფრინდები.

ორმაგი უარყოფა გამოყენებულია შემდეგ წინადადებებში:

არც – არც

„**არც** უღონობამ, **არც** სიგამხდრემა,
არც სიბერემა, **არც** თეთრმა წვერმა,
არც კაცის და **არც** ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა“ (ილია).

¹ მაგალითების ნაწილი ამოკრებილია წიგნებიდან: კვაჭაძე 1977: 233, 316; ფეიქრი-შვილი 1996: 187, 234; გეგუაძე 2010: 197, 277-278.

მასმედიიდან ამოწერილი წინადადებები:
ჩემი **არც** სახელი და გვარი, **არც** დედა და მამა **არ** არის ნამდვი-
ლი.

არც კანონით და **არც** ანდერძით მემკვიდრე **არ** შეიძლება იყოს
პირი.

აღარც – აღარც

აღარა მახსოვს მაშინ თავი, **აღარც** სახლი, **აღარც** დედა, **არც**
ცხოვრება (ვაჟა, 6, 116).

ვერც – ვერც

ვერც კლიტე, **ვერც** კედელი, **ვერც** ღობე **ვერ** იმაგრებს ამ სა-
თოკე ქურდებსა (გოგ., 189).

იმ დალოცვილსა **ვერაგინ** ასწრებდა **ვერც** ხვნას და **ვერცა** მკა-
სა (ჭავ., 155).

ამ ბნელს **ვერ** შესძრავ **ვერც** ქარიშხლით, **ვერც** ბუკის ცემით,
ვერც ხმოვანებით.

ვერ გამოგაღვიძა **ვერც** ფრინველების ტკბილმა გალობამ, **ვერც**
წვიმის შხუილმა (თ. რაზიკ.).

ნურც – ნურც/ნუცა – ნუცა

ნუ მოუშვებ ჩემთან **ნურც** ქორს, **ნურც** ალაღს (ვაჟა, 6, 325).

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, **ნუცა** სიცხესა, **ნუცა** ავდარსა
(ბარ.).

ნურავის დაზოგავთ: **ნურც** დიდს, **ნურც** პატარას, **ნურც** ბებერ-
სა და **ნურც** ყმაწვილს¹.

უარყოფითი ნაწილაკის დამატება საჭიროა შემდეგ წინადადე-
ბაშიც: მოსამართლემ **არც** ბრალდებულის თხოვნა და **არც** ადვოკატის
შუამდგომლობა დააკმაყოფილა. უნდა იყოს: მოსამართლემ... **არ** და-
აკმაყოფილა.

¹ უარყოფა აქაც ორმაგია, მაგრამ გამოყენებული ნაწილაკი კი არაა, არამედ უარყოფითი
ნაცვალსახელი **ნურავის**.

გასათვალისწინებელია, რომ შემასმენლით დაწყებულ **შერწყმულ** წინადადებებშიც საჭიროა **ორმაგი უარყოფა**. ამასთან დაკავშირებით ლ. კვაჭაძე წერს: „როცა უკუთქმით წინადადებაში შემასმენლი წინ არის წამოწეული, მაშინ მას მაინც ახლავს უარყოფითის ნაწილაკი **ც**-ს დაურთველად (ეს ნიშნავს, რომ უარყოფა **ორმაგია**, რ. ზ.): **არ** მიყვარს **არც** მაგისთანა სიმაღლე, **არც** მაგისთანა განზედ გადგომა, **არც** მაგისთანა მიუკარებლობა (ჭავ., 256). მეცნიერმა ყურადღება მიუქცია ამ ტიპის წინადადებაში შემასმენლის პოზიციის შეცვლას (გადაწევას ობიექტის შემდეგ), როცა ორმაგი უარყოფა სავალდებულო აღარაა: „**არც** მაგისთანა სიმაღლე მიყვარს, **არც** მაგისთანა განზედ გადგომა, **არც** მაგისთანა მიუკარებლობა“ [კვაჭაძე 1977: 233].

ც-ს შემცველ უარყოფითნაწილაკებიან რთულ თანწყობილ წინადადებაში ორმაგი უარყოფა აუცილებელი არაა და გამოყენება ავტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. „ეს ნაწილაკები ათავსებენ მაჯგუფებელი კავშირისა და გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციებს და შეიძლება იყოს ნახმარი და შეიძლება არა. წინადადებებს ჩამოთვლითი ხასიათი აქვს: არც ჩოჩქოლი ისმის, არც შექუჩული ხალხი მოსჩანს“ (ჯავ., 3, 475); ქათამს არც მჭრელი ნისკარტი აქვს, არც ბასრი ბრჭყალები ასხია, არც ღონიერი ფრთების პატრონია (გოგ., 93); აღარ წვიმს სისხლის წვიმები, აღარც ქუხს ჩოფიკაშვილის გორია (ჯავ., 3, 482)“ [კვაჭაძე 1977: 316].

დავსახელებთ **არც – არც, ვერც – ვერც, ნურც – ნურც** ნაწილაკების შემცველი **რთული თანწყობილი** წინადადებების მაგალითებს, რომლებშიც უარყოფა ცალმაგია:

არც წვიმს, **არც** თოვს.

არც წყალი ერევა მაგ დალოცვილს, **არც** ცეცხლი ეკიდება (ილია).

არც ერდოზე ორბი იჯდა, **არც** მღეროდნენ არწივები (გ. ლეონ.).

არც ჩოჩქოლი ისმის, **არც** ხალხი... მოჩანს (მ. ჯავახ.).

ზღვას **ვერც** სოფელი შეედრება, **ვერც** ქალაქი გაუტოლდება (ლ. ქიაჩ.).

ნურც იმათი ძალდი იყევებს ჩვენს ქუჩაში, **ნურც** იმათი მამალი იყვილებს ჩვენს უბანში (დ. შენგელ.).

როგორც განხილული მაგალითები მოწმობს, **არჩევითი** თუ **სავალდებულო** ორმაგი უარყოფის ერთმანეთისაგან გასარჩევად საჭიროა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

1. როგორია სიტყვათა წყობა: ხომ არ იწყება წინადადება შემასმენლით ან ხომ არ უსწრებს უარყოფით სიტყვას შემასმენელი;
2. არის თუ არა უარყოფითი სიტყვა გათიშული შემასმენლისაგან;
3. ხომ არაა ეს უარყოფითი სიტყვა შეთანხმებული მსაზღვრელი;
4. გამოყენებულია თუ არა **-ც(ა)** ნაწილაკიანი უარყოფითი სიტყვა, გარდა დაპირისპირებისა: არც ერთი... არც მეორე; არც ერთხელ... არც მეორედ;

რაც შეეხება **შერწყმულ** წინადადებას, რომელშიც გვხვდება კავშირის ფუნქციით გამოყენებული **-ც(ა)** ნაწილაკიანი უარყოფითი ნაწილაკები, თუკი უარყოფითი სიტყვა უშუალოდ შემასმენელს უკავშირდება, ორმაგი უარყოფა სავალდებულო არაა.

თუ წინადადებაში ზმნა-შემასმენელი უსწრებს **არც/ ვერც/ აღარც/ ვეღარც/ ნულარც** ნაწილაკებს, მაშინ საჭიროა სხვა უარყოფითი ნაწილაკის დამატება (არ/ვერ/აღარ/ვეღარ) ზმნა-შემასმენლის წინ, წინადადების თავში.

შევაჯამოთ განხილული საკითხი და ჩამოვთვალოთ **სავალდებულო ორმაგი უარყოფის შემთხვევები**¹:

1. როცა უარყოფითი სიტყვა (ნაცვალსახელი ან ზმნიზედა) გათიშულია შემასმენლისგან: **ვერსად** ისე **ვერ** დაისვენებთ, როგორც მშობლიურ სახლში. **ვერასდროს** თურმე **ვერ** დაიბრუნებ დაკარგულ ბავშვობას.
2. როცა უარყოფითი ნაცვალსახელი მსაზღვრელია (**არავითარი, ვერავითარი, ნურავითარი; არანაირი, ვერანაირი**) და იწყებს წინადადებას: სხვებს ამ ოჯახში **არანაირი** პრობლემა არ აქვთ.

¹ ძირითადად, გათვალისწინებულია ა. არაბულის დასახელებული ნაშრომი, ამას გარდა, გამოყენებულია ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, ლ. გეგუჩაძის სტატია და დამატებულია ზოგიერთი საკუთარი დაკვირვება.

3. -**ც(ა)**-ნაწილაკიან უარყოფით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებთან: **არავინაც/არავისაც, არაფერიც/არაფერსაც/არაფრისაც, არსადაც/ვერსადაც; არასდროსაც/ ვერასდროსაც; არცრა, ვერცრა** (სხვადასხვა ბრუნვაში): მე მის არსებობაზე არაფერიც არ ვიცოდი.
4. **ც(ა)**-ს შემცველ უარყოფით ნაწილაკებიან გამოთქმებთან: **არცერთი/ აღარცერთი/ ვერცერთი/ ველარცერთი/ ნურცერთი, არცერთხელ/ ვერცერთხელ** (როცა არაა დაპირისპირება: *არც ერთი – არც მეორე, აღარც ერთი – აღარც მეორე, ვერც ერთი – ვერც მეორე, ველარც ერთი – ველარც მეორე, ნურც ერთი – ნურც მეორე, არც ერთხელ... არც მეორედ*): ამ მაღამოს ჯერ ვერცერთმა სხვა მაღამომ ვერ აჯობა სამკურნალო თვისებებით.
5. როცა უარყოფითსიტყვიან წინადადებაში შემასმენელი პირველ ადგილზეა (ან უარყოფით სიტყვამდე დგას), მაშინ შემასმენელს წინ ემატება უარყოფითი ნაწილაკი: „არ წარიკვეთო არასდროს სასო... არ ჩაიქნო არასდროს ხელი“ (ოთარ ჭილაძე). ჯერ ხომ არ მითქვამს შენთვის არასდროს - გულს შენი ცრემლი როგორ მიტკივებს (ტ. ხარხელაური).
6. სიტყვებთან: **არამც და არამც; არათუ; არასგ ზით/ვერასგ ზით; არავითარ/ ვერავითარ შემთხვევაში, არაფრის დიდებით**: ცუდი ადგილების გამო არასგზით არ შეიძლებოდა იმ მიდამოებში ამდენი ხალხის ყოფნა.

შენიშვნა:

ა. **შერწყმულ წინადადებაში** ორმაგი უარყოფა არაა სავალდებულო, გარდა შემთხვევისა, როცა შემასმენელი იწყებს წინადადებას ან უსწრებს წინ **არც/ ვერც/ნურც** ნაწილაკებს.

ბ. **რთულ თანწყობილ წინადადებაში** ორმაგი უარყოფა არჩევითია, ანუ მხოლოდ სტილისტიკური დატვირთვა აქვს და არაა სავალდებულო.

ასევე ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც ცალმაგი და ორმაგი უარყოფის გამოყენება სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება და მთქმელის/ავტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

დასკვნა

უარყოფის კატეგორია ერთ-ერთი ენობრივი უნივერსალია და გამოხატვის დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართული მიეკუთვნება ნეგატიურობის შერეულ ტიპს, რადგან მასში დასაშვებია

როგორც მონო-, ისე პოლინეგატიური ფორმები, კერძოდ, ორმაგი ნეგაცია.

გავრცელებულია აზრი, რომ ცალმაგი ან ორმაგი უარყოფის არჩევა ქართულ ენაში უმეტესად სტილისტიკის სფეროა და ავტორის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ქართული ენობრივი კორპუსებისა და ინტერნეტში განთავსებული მასალის მიხედვით, უარყოფის შემცველ გამოთქმათა მართებული გამოყენება ბეჭდურ მედიაში ნამდვილად სჭარბობს უმართებულოს.

ზოგჯერ ორმაგი უარყოფა სავალდებულოა და მისი გამოუყენებლობა შეიძლება მივიჩნიოთ **სინტაქსურ** დარღვევად. სამუხებროდ, ჟურნალისტები ზეპირ მეტყველებაში იცავენ პრინციპს, რომ ორმაგი უარყოფა ყველგან უმართებულოა, ამიტომ ცდილობენ, საერთოდ არ გამოიყენონ ის.

იმისთვის, რომ დავადგინოთ, **არჩევითია** ორმაგი უარყოფა თუ **სავალდებულო**, საჭიროა გავითვალისწინოთ რამდენიმე ფაქტორი: სიტყვათა წყობა წინადადებაში და შემასმენლის ადგილი; უარყოფითი სიტყვის გათიშვა შემასმენლისაგან; უარყოფითი ნაცვალსახელის გამოყენება შეთანხმებულ მსაზღვრელად; -**ც(ა)** ნაწილაკიანი უარყოფითი სიტყვის არსებობა (გარდა დაპირისპირებისა: *არც ერთი – არც მეორე*, როცა ორმაგი უარყოფა არაა საჭირო). *არცერთი/ვერცერთი*-ს დამოუკიდებლად გამოყენების შემთხვევაში *არ/ვერ/ნუ* ნაწილაკების გამოტოვება გრამატიკულად უმართებულო კონსტრუქციებს ქმნის.

საჭიროა, ასეთ შემთხვევებს მიეცეს **სინტაქსური** შეცდომის კვალიფიკაცია და უარვყოთ საკმაოდ გავრცელებული არასწორი შეხედულება, თითქოს ორმაგი უარყოფის გამოყენება ყოველთვის შეცდომაა.

ლიტერატურა

არაბული 2004 – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

გეგუჩაძე 2007 – ლ. გეგუჩაძე, ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბილისი.

გეგუჩაძე 2010 – ქართული ენა. სინტაქსის საკითხები, თბილისი.

ზექალაშვილი 2004 – რ. ზექალაშვილი, ქართული მართლწერის საკითხები, თბილისი.

ზექალაშვილი, კინწურაშვილი 2009 – რ. ზექალაშვილი, ლ. კინწურაშვილი, ქართული ენა. ტესტები, სავარჯიშოები და მართლწერის საკითხები, თბილისი.

თოფურია 2002 – ვ. თოფურია, შრომები, ტ. II, თბილისი (პირველად დაიბეჭდა: ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I-II, ტფილისი, 1923-1924).

კვაჭაძე 1977 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მე-2 შევს. გამოცემა, თბილისი.

ქსც 2002 – ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი, თბილისი.

ფეიქრიშვილი 1996 – ჟ. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი.

ქეეკ – ქართული ენის ეროვნული კორპუსი:

<http://gnc.gov.ge/gnc/page>

ქურდაძე, თვალთვაძე, ლომია, მარგიანი-სუბარი, ზექალაშვილი 2016 – რ. ქურდაძე, დ. თვალთვაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. ზექალაშვილი, უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში: ქართველოლოგი, №25 (10), თბილისი, <https://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/15/9>

ქურდაძე, ლომია, მარგიანი, ჭუმბურიძე 2022 – რ. ქურდაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი, ნ. ჭუმბურიძე, უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში, თბილისი.

შალამბერიძე 1980 – გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბილისი.

ჭუმბურიძე 1970 – ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი: ქართ. ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2 (17), თბილისი.

ჯორბენაძე 1984 – ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობებისათვის ქართულში: ქსკს, ტ. VI, თბილისი.

Rusudan Zekalashvili

Some Kinds of Mistakes in Using Negative Forms in Speech of the Journalists

Summary

The represented paper considers one specific feature of the logical-semantic category of negation in the Georgian language, namely, it is about the possibilities of using double negation due to which the negation itself obtains more extensiveness. The history of studying such a category and the lexical-grammatical forms used to express it in Georgian (V. Topuria, Z. Chumburidze, G. Shalamberidze, B. Jorbenadze, A. Arabuli, R. Zekalashvili, L. Geguchadze, R. Kurdadze, M. Lomia, K. Margiani, N. Chumburidze...). The question about the parallel use of the single and double negations when the difference between them is only stylistic and depends only on the will of the author or speaker is discussed.

The cases of improper use of the single negation when the double negation is necessary and without it a syntactic construction is unnatural are shown. The examples of such cases are listed taken from some mass media and the oral speeches of some journalists. Those are the cases when double negation is necessary and without it, the given syntactic constructions seem unnatural.

The sentences that include such particles as *arc/verc/nurc* are analyzed for the situations when it becomes necessary to include other negative particles as well such as ***ar/ver/nu***. In such cases, we regard if it is necessary to use oppositional pairs, for example, *arc erti – arc meore, verc erti – verc meore, nurc erti – nurc meore* ‘neither this nor that’, ‘neither the first nor the second’. In such cases, there is no necessity to use the negative particle.– *gušin arcerti studentī ar mosula* ‘no students came yesterday’. Comp.: – *gušin arc erti studentī mosula da arc meore* ‘yesterday neither this nor that student came’.

The same can be said about the cases which are met in the compound sentences where the double negative particles are used: ‘arc – arc, verc – verc’.

When sentences with the words *arcerti/vercerti* ‘no one, none of them’ are used independently, missing the particles *ar/ver/nu* it usually makes grammatically unreasonable constructions, and the forms of the double negation are necessary to be used. For example, *mosamartlem arc braldebulis txovna da arc advokatis šuamdgomloba daakmaqopila* ‘the judge took into consideration neither the appeal of the accused nor the petition of the lawyer (but not in such a way: the judge took into consideration neither this appeal nor and the second also’. Right construction is: *ar daakmaqopila*.

დამანა მელიქიშვილი

ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქციისა და სემანტიკური ნიუანსების ურთიერთმიმართებისათვის

ვუძღვნი ჩემს გულითად
მეგობარსა და თანამოაზრეს

ქართული ენის მთავარ სპეციფიკას პოლიპერსონალური ზმნა ქმნის, რომელშიც ასახულია ქართული აზროვნების სინთეზური და ანალიზური ბუნება. ევროპულ ენათაგან განსხვავებით, ქართულ ზმნაში აისახება როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური პირის ნიშნები. თითოეულ მათგანს თავისი რანგი აქვს ზმნის ფორმაში. მრავალპირიანი ზმნა აუცილებლობით გულისხმობს ხმოვანპრეფიქსების – პირის ნიშანთა თანამდევე ელემენტების არსებობას, რომლებიც ზმნის სტრუქტურაში პირის ნიშანთა მომდევნო ადგილს იკავებენ და ასახავენ ზმნის პირებს შორის არსებულ სხვადასხვა შინაარსის ურთიერთმიმართებებს (ამიტომ ფიქრობდა გ. მაჭავარიანი, რომ თუკი აღმოჩნდება ენა, რომელშიც ხმოვანპრეფიქსები იქნება, ის აუცილებლად ქართულის მონათესავე იქნება).

ხმოვანპრეფიქსები მორფოლოგიური ელემენტებია, რომელთა გრამატიკული მნიშვნელობა პირთა რელაცია-კორელაციის, ურთიერთმიმართების გამოხატვაა. აღნიშნული ფუნქცია ქართულში ოთხ ხმოვანს (ა-, ე-, ი-, უ-) აქვს დაკისრებული. რაც შეეხება მათს სემანტიკას, იგი მრავალფეროვანია და დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე: მათ შეუძლიათ გამოხატონ პირებს შორის კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა, აჩვენონ ლოკაცია, უკუქცევითობა, კაუზატიურობა და სხვა.

ქართულ ტრადიციულ გრამატიკულ ლიტერატურაში ერთმანეთისგან კარგად არ არის გამოიჯნული ა-, ე-, ი-, უ- ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული და სემანტიკური ფუნქციები. ეს ფაქტი მრავალ უზუსტობას და დეზინფორმაციას იწვევს: ერთი და იგივე მორფემა კვალიფიცირებულია ხან „გვარის“, ხან „ქცევის“, ხანაც „საზედაო სი-

ტუაციის“, აგრეთვე გარდამავლობის, კაუზატიურობის ნიშნად. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ეს შედეგია ამ მორფემათა კონკრეტულ-კონტექსტუალური შინაარსისა [ჯორბენაძე 1983] და მათი ერთი ინვარიანტული ანუ მორფოლოგიური მნიშვნელობის უგულვებელყოფისა, რომელიც თავის თავში გულისხმობს ყველა შესაძლო კონტექსტურ მნიშვნელობასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხს არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი მიემდგვნა (მაგ. მაია მაჭავარიანის „ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა“, ბესარიონ ჯორბენაძის „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში“ – ნაშრომთა დასახელებაჲც კმარა), ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია, რის შედეგადაც ვიღებთ უამრავ „გამონაკლისს“, „გადახვევას“.

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმაზე, თუ რა უზუსტობებს იწვევს და რამდენი არასწორი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა ფორმის კვალიფიკაცია შინაარსის მიხედვით: აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ გრამატიკის კვლევის საგანია ფორმა და ფორმათა ურთიერთობა, ენის სტრუქტურები და კონსტრუქციები – ანუ მორფოლოგია და სინტაქსი: ამიტომ, ნებისმიერი ენობრივი ფაქტის კვალიფიკაციისას უნდა ამოვიდეთ ფორმიდან და აუცილებელი (და საკმარისი) ემპირიული მასალის გაანალიზების საფუძველზე დავადგინოთ მისი გრამატიკული ფუნქცია. მხოლოდ შემდეგ ეტაპზე, გრამატიკული ფუნქციიდან ამოსვლით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ მათს სემანტიკაზე. შესაძლოა პირუკუც, სემანტიკიდან ამოსვლით გრამატიკულ მნიშვნელობამდე მისვლა, მაგრამ ეს უფრო რთული და გრძელი გზაა, რადგან ერთი და იგივე მნიშვნელობა გრამატიკულად სხვადასხვაგვარად შეიძლება გამოიხატებოდეს, ანდა სხვადასხვა მნიშვნელობა – ერთი ფორმით. მორფოლოგიური ანალიზის საშუალებით კი გაცილებით უფრო მარტივია დავადგინოთ, თუ რა და რა შინაარსს გამოხატავს ესა თუ ის მორფემა.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული და სემანტიკური ფუნქცია I დიათეზის ზმნებში. ეს უკანასკნელი აერთიანებს R-O სტრუქტურისა და ერგატიული კონსტრუქციის მქონე ზმნებს, რომლებიც ორ ქვეჯგუფად იყოფა: პირველს არასრული კონსტრუქცია აქვს: ერთპირიანია და სემანტიკურად ავტოაქტიურია. მეორე ქვეჯგუფის ზმნები კი სრული კონსტრუქციის მქონეა და აქტიურ შინაარსს გამოხატავენ. ამ ზმნებთან ყველა ხმოვანპრეფიქსი

შეიძლება რეალიზდებოდეს გარდა ე-სი, რომელიც მხოლოდ R-ი სტუქტურის ზმნებში გვაქვს.

ი- პრეფიქსის გრამატიკული, ინვარიანტული მნიშვნელობა უკუქცევითობის, რეფლექსურობის გამოხატვაა, იგი I დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნებთან აწმყო-მყოფადისა და წყვეტილის ფორმებში რეალიზდება, ამათგან აწმყოში მხოლოდ რამდენიმე ათეულ ზმნასთანდა გვხვდება: იმღერს – მღერის, იჩქარის – ჩქარობს, იგლოვს – გლოვობს, თუმცა აშკარად შეინიშნება **ი**- პრეფიქსის დაკარგვის ტენდენცია [მელიქიშვილი 2003: პარადიგმა №3, №10]. მაგრამ ძველს ქართულში სხვაგვარად იყო, ყველა ამ ტიპის ზმნას აწმყოშივე უნდა ჰქონოდა **ი**- პრეფიქსი, რომელიც დროდადრო, ფონეტიკური ფაქტორის გამო (თემატური სუფიქსის ხმოვანთა გავლენით) დაიკარგა. „ქართული ენის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ძველისძველ ქართულში ი-პრეფიქსი საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი ამგვარ ზმნათა აწმყოს წრის ფორმებისთვისაც“ [ნოზაძე 2008: 82].

რა ფუნქციისაა **ი**- პრეფიქსი I დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნებში? ა. შანიძე ფიქრობს, რომ მათ ეს ხმოვანი შესაბამისი აქტივის სათავისო ქცევის ფორმებიდან აქვთ ნასესხები (შანიძე, 1980: 306). როგორც უკვე ითქვა, ძველი ქართულის მასალა საპირისპიროს ამტკიცებს: **ი**-პრეფიქსის არსებობა ამ ქვეჯგუფის ზმნებში იმითაა განპირობებული, რომ ეს ზმნები სახელისაგან არიან წარმოებული და მათს ობიექტს ზმნის ფუძეში შემავალი სახელი წარმოადგენს: *დაიძინებს ის (ძილს), იგლოვს ის (გლოვას), იბანაკებს ის (ბანაკს), იმღერს ის (მღერას)*. ესე იგი, ისინი შინაგანად შეიცავენ ობიექტს (ამიტომაც აქვთ ერგატიული კონსტრუქცია), მათი მოქმედება კი უკუქცევითია, შინაგან ობიექტზეა მიმართული. **ი**- პრეფიქსი ამავე მიზეზის გამო ჩნდება ისეთ ზმნებში, რომლებიც თავდაპირველად აღწერთი საშუალებით იწარმოებოდა და მათი სახელადი ნაწილი სინტაქსურად ყოფილი პირდაპირი დამატება იყო, შემდეგ კი სინთეზურ წარმოებაზე გადავიდა და პირდაპირი ობიექტი ზმნის ფუძეში აღმოჩნდა: *ღაღად-ყო – იღაღადა, ზრახვა-ყო – განიზრახა...*

ი- ხმოვანპრეფიქსი ასევე უკუქცევითობას გამოხატავს I დიათეზის II ქვეჯგუფის სრული კონსტრუქციის ზმნებში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ ბრუნვაცვალებადი ობიექტი გარედანაა დაკავშირებული ზმნასთან. ორპირიანი ზმნის შემთხვევაში იგი გვიჩვენებს

რელაცია-კორელაციას ობიექტსა და სუბიექტს შორის. ხშირად ეს მიმართება კუთვნილება-დანიშნულებით სემანტიკას გამოხატავს: *იკეთებს, იშაადებს, იშენებს, იძენს, იკლავს, გაინათებს, ინთებს*. ამ შემთხვევაში ობიექტი სუბიექტის კუთვნილება ან მისთვისაა დანიშნული. სამეცნიერო ლიტერატურაში **o**- პრეფიქსის ეს სემანტიკური ნიუანსი სათავისო (სასუბიექტო) ქცევის გრამატიკული კატეგორიის სახელითაა ცნობილი, რაც, ვფიქრობთ, არ არის სწორი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს მნიშვნელობა **o**- პრეფიქსს კონკრეტულ კონტექსტში (კერძოდ, ორპირიანი R-0 სტრუქტურის სრული კონსტრუქციის ზმნებში) ეძლევა და მისი გრამატიკული ფუნქციის (ინვარიანტული მნიშვნელობის) ერთ-ერთ სემანტიკურ ნიუანსს წარმოადგენს. გრამატიკული კატეგორიის გამოყოფა კი სემანტიკიდან ამოსვლით დაუშვებელია. ამის გამოა, რომ ამავე სტრუქტურისა და ასევე სრული კონსტრუქციის სამპირიან ზმნებში იგივე **o**- პრეფიქსი სასხვისო (საობიექტო) ქცევის მარკერადაა მიჩნეული, რადგანაც, როცა ბრუნვა-უცვლელი ობიექტი I ან II პირისაა, ზმნაში **o**- პრეფიქსი ჩნდება, ხოლო როცა III პირისაა, **ჟ**- (*მიშენებს, გიშენებს, უშენებს, მიკეთებს, გიკეთებს, უკეთებს*). ამ შემთხვევაში **o**- პრეფიქსი გამოხატავს მიმართებას III პირის ბრუნვაცვალებად და I-II პირის ბრუნვაცვლელ ობიექტებს შორის (რაც ასევე უკუქცევითობის სემანტიკურ ნიუანსად შეიძლება მივიჩნიოთ).

რაც შეეხება **ჟ**- პრეფიქსს, იგი ზმნის კონსტრუქციაში მესამე პირის ბრუნვაცვლელი ობიექტის შემომყვანად გვევლინება: *აკეთებს ის მას – უკეთებს ის მას მას, ანთებს ის მას – უნთებს ის მას მას, აშენებს ის სახლს – უშენებს ის მას სახლს. იცინის ის – უცინის ის მას*. შეიძლება ითქვას, რომ თავისი ფუნქციით იგი პირის ნიშანსაც კი უტოლდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ხმოვანპრეფიქსი ე. წ. „სასხვისო ქცევის“ ნიშნადაა მიჩნეული. როგორც უკვე ითქვა, ქცევა (კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა) გრამატიკული კატეგორია არ არის: იგი ამ სამიმართებო (საკორელაციო) მორფემის საშუალებით გამოხატული ერთ-ერთი ფუნქციაა, ამიტომაც არასწორი იქნება, თუ მას სასხვისო „ქცევის“ ნიშანს ვუწოდებთ.

ა- სუფიქსს ზმნის კონსტრუქციაში ბრუნვაცვლელი ან ბრუნვაცვალებადი ობიექტი შემოჰყავს და სხვა ხმოვანპრეფიქსთა მსგავსად, პირთა რელაცია-კორელაციის აღმნიშვნელია: მაგრამ იმის გამო, რომ მას ზემოთდასახელებულთაგან განსხვავებით, ყველაზე მეტი

სემანტიკური ნიუნსი აქვს, იგი გრამატიკულ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც: ა) პირველადი კაუზატივის („კონტაქტის“ მაწარმოებელი (*ატირებს, აცინებს, აწუხებს* ტიპის ფორმებში); ბ) გარდამავლობის მაწარმოებელი, გ) ნეიტრალური, „საარვისო“ ქცევის ნიშანი (*აშენებს, ანთებს, აკეთებს..*), დ) საზედაო სიტუაციის ნიშანი (*აწერს, აკერებს, ადებს*). ეს სიჭრელე და უზუსტობანი გრამატიკული კატეგორიის სემანტიკური კრიტერიუმის მიხედვით კვალიფიკაციის შედეგია.. თუ გავითვალისწინებთ ამ ხმოვნის ინვარიანტულ, გრამატიკულ ფუნქციას, ნათელი გახდება, რომ ყველა ზემოთდასახელებულ მნიშვნელობას იგი კონკრეტულ კონტექსტში იძენს და დაკავშირებულია პირთა შორის მიმართების (ურთიერთობის) გამოხატვასთან.

ამგვარად, ქართული ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქცია პირთა შორის უთირთმიმართების გამოხატვაა, ხოლო ე. წ. „გვარი“ და „ქცევა“ კონტექსტუალური მნიშვნელობის სემანტიკური კატეგორიებია.

ლიტერატურა

მელიქიშვილი 1975 – დ. მელიქიშვილი, „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“, თბილისი.

მელიქიშვილი 2001 – დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლების სისტემა“, თბილისი.

მელიქიშვილი 2014 – დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი“, თბილისი.

ნოზაძე 2008 – ლ. ნოზაძე, „ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები“, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, „ქართული ენის გრამატიკის საფუძველები“, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი.

ჯორბენაძე 1983 – ბ. ჯორბენაძე, „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში“, თბილისი.

Damana Melikishvili

**On the Relationship Between the Grammatical
Function and Semantic Nuances of the Vowel
Prefixes of the Georgian Verb**

Summary

As a result of the structural analysis of the Georgian verb, the paper reveals the grammatical function of the vowel prefixes of the multi-person Georgian verb, which is the expression of the relationship between the persons, and as for the so-called Akaki Shanidze's categories of "version" and "voice" established in the Georgian grammar literature, they are semantic categories of contextual meaning.



მარიამ ორკოდაშვილი

ხელოვნური და ორგანოიდული ინტელექტის აღმნიშვნელი ტერმინოლოგიისათვის ქართულსა და ინგლისურში

როგორც ცნობილია, ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და იცვლება თანამედროვე ეპოქაში. ასევე სწრაფად იცვლება და ვითარდება ის ენა, რომელიც ამ ტექნოლოგიებს და მათზე მსჯელობასა თუ კვლევებს ასახავს, მაგრამ ეს ცვლილებები ძირითადად ინგლისურ ენაში დაჩნდება, რადგან ის დღესდღეობით დომინანტი ენაა, რომელიც მეცნიერულ-ტექნოლოგიურ სფეროს წარმოაჩენს.

განვიხილავთ იმ სირთულეებს, რომლებიც თავს იჩენს ტერმინთა ინგლისურიდან ქართულად გადმოტანისას.

ქართულ ენაში უმეტესწილად ახალი ტერმინები ან არასწორი თარგმანით გადმოდის, ან სულაც ინგლისურ კალკად მკვიდრდება.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ზოგიერთი ტერმინი თუ ლექსიკური ერთეული, რომელიც საინტერესო ჩანს ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური სფეროსათვის.

ხელოვნურ და ორგანოიდულ ინტელექტთან დაკავშირებული ტერმინოლოგია განსაკუთრებით ყურადღებამისაქცევია. ამ სფეროებში შექმნილი ახალი ლექსიკური ერთეულების ინგლისურიდან ქართულად გადმოტანა უმეტესწილად რთულ და კომპლექსურ პროცესს წარმოადგენს. ტერმინებს ზუსტი შესაფერისი არ ეძებნება და მათი განმარტება თუ ვრცელი ფრაზეოლოგიური ერთეულის შექმნა აუცილებელია.

ასევე მნიშვნელოვანია ტერმინების სიხშირისა და მათი სხვადასხვა სახის ტექსტებში გავრცელების შედარება.

ქვემოწარმოდგენილი ცხრილი ასახავს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ რამდენიმე ტერმინს, კერძოდ, ქართულ-ინგლისურ შესატყვისებს:

Word	Definition in English	Georgian translation
	<p>AI safety is the study and practice of building AI systems that operate securely and align with human values, ensuring that they benefit humanity without causing harm.</p>	<p>ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოება</p>
<p>AI-driven</p>	<p>a process that is powered by the capabilities of artificial intelligence.</p>	<p>ხელოვნური ინტელექტით მართული</p>
<p>AI-Enhanced Helpdesks</p>	<p>customer service software that leverages technologies such as machine learning, natural language processing, and conversational interfaces to improve customer and agent experiences.</p>	<p>გამლიერებული ხელოვნური ინტელექტის ტექნიკური დახმარების სამსახური</p>

<p>Alignment problem</p>	<p>the alignment problem is the challenge of designing AI systems that understand and act upon human intentions, values, and goals, rather than optimizing for unintended objectives.</p>	<p>განლაგების პრობლემა</p>
<p>Artificial General Intelligence</p>	<p>refers to a theoretical type of artificial intelligence that possesses human-like cognitive abilities, such as the ability to learn, reason, solve problems, and communicate in natural language.”</p>	<p>ხელოვნური ინტელექტის ტიპი ადამიანის მსგავსი შესაძლებლობებით</p>
<p>Artificial intelligence hallucination</p>	<p>when an AI model produces results that are not what was anticipated.</p>	<p>მოსალოდნელზე მაღალი შედეგი</p>

<p>Association Rule Learning</p>	<p>a rule-based machine learning method for discovering interesting relations between variables in large databases.</p>	<p>წესებზე დაფუძნებული სწავლების გაერთიანება</p>
<p>Attention mechanism</p>	<p>attention mechanism is neural networks enable models to weigh the importance of different input elements relative to one another, improving their ability to capture context.</p>	<p>ყურადღების მექანიზმი</p>
<p>Automated translation</p>	<p>the process of using artificial intelligence to automatically translate text from one language to another without human involvement.</p>	<p>ავტომატური გადათარგმნა</p>

<p>Backpropagation</p>	<p>Backpropagation is an algorithm used in artificial intelligence (AI) to fine-tune mathematical weight functions and improve the accuracy of an artificial neural network's outputs.</p>	<p>შეცდომის ამომცნობი</p>
<p>BERT</p>	<p>Bidirectional Encoder Representations from Transformers, is a machine learning (ML) framework for natural language processing.</p>	<p>მანქანური სწავლების ჩარჩო</p>
<p>Buzzword</p>	<p>a word or phrase, often an item of jargon, that is fashionable at a particular time or in a particular context.</p>	<p>მოღური სიტყვა</p>
<p>C3 AI Reliability</p>	<p>C3 AI Reliability provides reliability engineers, maintenance managers, and executives with comprehensive</p>	<p>შეცდომის ამომცნობი</p>

	<p>monitoring across critical and non-critical assets and enables proactive, AI-based predictive maintenance.</p>	
<p>CaDeT</p>	<p>The CaDet expert system is a diagnostic support system that can detect cancer at early stages.</p>	<p>დაავადების გამოვლენის სისტემა</p>
<p>Chain rule</p>	<p>The chain rule is a method for finding the derivative of composite functions, or functions that are made by combining one or more functions.</p>	<p>ჯაჭვის წესი</p>
<p>Chatbot</p>	<p>chatbot is a computer program that simulates and processes human conversation either written or spoken.</p>	<p>ვირტუალური მოსაუბრე</p>

<p>Clustering</p>	<p>AI clustering is the machine learning (ML) process of organizing data into subgroups with similar attributes or elements.</p>	<p>მონაცემთა ორგანიზება ქვეჯგუფებად</p>
<p>Cognitive Computing</p>	<p>Cognitive computing refers to technology platforms influenced by cognitive science to simulate the human thought process and encompass artificial intelligence and signal processing.</p>	<p>შემეცნებითი გამოთვლა</p>
<p>Completion Generation Models</p>	<p>A popular variant of Text Generation models predicts the next word given a bunch of words.</p>	<p>შექმნილი ტექსტის მოდელის დასრულება</p>
<p>Computational learning theory</p>	<p>A field within artificial intelligence that is primarily concerned with creating and analyzing</p>	<p>სწავლების პრობლემების აღმომჩენი ალგორითმი</p>

	machine learning algorithms.	
Conditional generation	Conditional generation is a problem where the content needs to be generated given some kind of input.	განსაზღვრული მონაცემების წარმოქმნა
Context window	The Context window is a Source Insight innovation that automatically provides relevant information while you are viewing and editing your source code.	ინფორმაციის ავტომატურად მოძიება
Customer support chatbot	A customer service chatbot is a conversational commerce tool that provides customer assistance via text chat,	მომხმარებლის დამხმარე ოპერატორი

	voice command or both	
DALL-E	a AI system that can create realistic images and art from a description in natural language.	ენიდან ხელოვნებად გარდამქმნელი
Data analysis	a subset of business intelligence that uses machine learning techniques to discover insights, find new patterns and discover relationships in the data.	მონაცემთა ანალიზი
Decision Tree Learning	a supervised learning approach used in statistics, data mining and machine learning.	გადაწყვეტილების მიღების ხე

<p>Decoder</p>	<p>a piece of equipment that allows you to receive particular television signals:</p>	<p>გამშიფრავი</p>
<p>Deep learning</p>	<p>a complete way of learning something that means you fully understand it and will not forget it:</p>	<p>სიღრმისეულად შესწავლა</p>
<p>DENDRAL</p>	<p>It was an artificial intelligence project that was made as a chemical analysis expert system</p>	<p>უცნობი ორგანული მოლეკულების გამომვლენი</p>
<p>Diffusion models</p>	<p>Diffusion Models are generative models which have been gaining significant popularity in the past several years, and for good reason.</p>	<p>დიფუზიის მოდელები</p>

<p>Embeddings</p>	<p>Embeddings are a numerical representation of text that can be used to measure the relatedness between two pieces of text</p>	<p>ტექსტებს შორის ურთიერთკავშირის განმსაზღვრელი</p>
<p>Encoder</p>	<p>a sensing device that provides feedback.</p>	<p>ელექტრონული გარდამქმნელი</p>
<p>Large language model</p>	<p>a type of artificial intelligence (AI) algorithm that uses deep learning techniques and massively large data sets to understand, summarize, generate and predict new content.</p>	<p>დიდი ენობრივი მონაცემის დამუშავება</p>
<p>Learning rate</p>	<p>Learning rate (λ) is one such hyper-parameter that defines the adjustment in the weights of our network with respect to the loss gradient descent.</p>	<p>მოდელის პრობლემასთან შემგუებლობის მაკონტროლებელი</p>

<p>Machine learning</p>	<p>a branch of artificial intelligence and computer science which focuses on the use of data and algorithms to imitate the way that humans learn.</p>	<p>მექანიკური სწავლება</p>
<p>Machine translation</p>	<p>the process of using artificial intelligence to automatically translate text from one language to another without human involvement.</p>	<p>ავტომატური თარგმანი</p>
<p>Predictive Analytics</p>	<p>Predictive Analytics is the use of mathematical and statistical methods, including artificial intelligence and machine learning, to predict the value or status of something of interest.</p>	<p>რამე ღირებულის პროგნოზირება</p>
<p>Pre-training</p>	<p>In simple terms, pre-training a neural network refers to first training a model on one task or dataset.</p>	<p>წინასწარი მომზადება</p>

<p>Prompt engineering</p>	<p>Prompt engineering is a comprehensive process that encompasses the entire cycle of interaction between humans and the AI.</p>	<p>ხელოვნურ ინტელექტსა და ადამიანებს შორის ურთიერთქმედება</p>
----------------------------------	--	---

ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია, იმ ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც განხილვას და სამომავლო ტერმინოლოგიურ დაზუსტებას საჭიროებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ტერმინები ძირითადად ელექტრონული და ციფრული ვერსიებით არის წარმოდგენილი და მუდამ განახლების პროცესშია.

გამოყენებული რესურსები

- <https://www.techtarget.com/whatis/definition/evolutionary-algorithm>
- <https://developers.google.com/search/docs/appearance/structured-data/dataset>
- <https://www.ibm.com/topics/deep-learning>
- <https://www.techtarget.com/searchenterpriseai/definition/fuzzy-logic>
- <https://news.mit.edu/2017/explained-neural-networks-deep-learning-0414?fbclid=IwAR2uQYKE4Xz-BzC31NYESfOwFdZRW-m8lWtX2d8qdNpQ25PSM6wk0c0SPw>
- <https://towardsdatascience.com/train-a-neural-network-to-predict-robot-dynamics-bd08fd589eca>

Mariam Orkodashvili

On AI and OI Terminology in Georgian and English

Summary

The paper discusses the issues of transferring and translating AI and OI related terminology from English to Georgian. Technologies develop fast and the terms that denote them are mostly reflected in English.

However, oftentimes the translation of those terms into Georgian poses a challenge, since it is difficult to find precise Georgian equivalents for certain English terms.

Word frequency and text dispersion are yet further issues that present future research directions for computer scientists and computational linguists.

მედია ლლონტი

ქართული ვერბალური ეტიკეტის ქრისტიანულ-რჯულისმიერი წანამძღვრებისათვის (გამარჯობა! ↔ მშვიდობით!)

❖ საკითხის დასმა

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მრავალდარგობრივ სამეცნიერო მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული ეტიკეტის ისტორიის შესწავლასა და სამეცნიერო კვლევას. ამ საკითხს საგანგებოდ მიეძღვნა დავით სართანიას მონოგრაფია – „ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები“ [სართანია 2002], რომელშიც ივანე ჯავახიშვილის გამოქვეყნებულ შრომებთან ერთად, საფუძვლიანადაა განხილული და გაანალიზებული ჩვენი სასიქადულო მეცნიერის ქართულ ეტიკეტთან დაკავშირებული შეუსწავლელი და გამოუქვეყნებული საარქივო მასალა [სართანია 2002].

როგორც დავით სართანია შენიშნავს, ივანე ჯავახიშვილი „თავის თავს მიზნად უსახავდა, ნათელეყო, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველად ქართველები. დღეს ამის გასაგებად გაცილებით მეტი მასალა (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, იკონოგრაფიული, ნარატიული, დოკუმენტური და სხვა) მოგვეპოვება. ხოლო იმ დროსათვის დიდმა ისტორიკოსმა მაინც საკმაო ცნობების თავმოყრა შესძლო და, რომ დასცლოდა, ძალზე ახლოს იყო მიზანთან“ [სართანია 2002: 3-5; 36-48; 82-96].

ამჯერად, ჩვენს ყურადღებას იპყრობს საკითხი – **ქართული ვერბალური ეტიკეტის** საკუთრივ **ქრისტიანულ-რჯულისმიერი სემანტიკური** (ცნებითი) **ფუნქციონირების** შესახებ.

ყოველი ადამიანის ყოველდღიურობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა ცოცხალი ურთიერთობა და ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა. ჩვენ ხომ, ჩვენი მოვალეობებით, ლამის ყოველწამიერად ვართ ალექმადადებულნი ღვთის წინაშე, და პირობადადებულნი – კაცთა

წინაშე, რაშიც ზნეობრიობის, პასუხისმგებლობისა თუ დისციპლინურობის გარკვეულ მარეგულირებელ ფუნქციას იძენს **ვერბალური** (resp. სიტყვიერი, სამეტყველო) **ეტიკეტი**.

ცოდნისა და რწმენის გაერთიანების საუკუნოვანი წესის მონარკვევით, წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ **ქართული ვერბალური ეტიკეტის სემანტიკური ფუნქციონირების თავდაპირველი მასაზრდოებელი ფაქტორის** ანალიზის ცდას. სათანადო ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზითა და ეკლესიის წმიდა მამათაგან უშრომელად ბოძებული შესაბამისი საღვთისმეტყველო (კატეხიზისურ-ეგზეგეტიკური) მასალის მოხმობით, განიხილება წერილობითი და ზეპირმეტყველებითი ქართული ვერბალური ეტიკეტის ცნებითი ფორმულირების სამი საკომუნიკაციო სახესხვაობა: **I. წამოწყების, II. დასრულებისა და III. განვითარების** ჟამს, რომელთაგან წინამდებარე ნაშრომში განიხილება I. და II. სახეობათა შემადგენელი ფორმულირებანი, რომელთა მეშვეობითაც სარწმუნოდ წარმოჩნდება გასაანალიზებელ ლექსიკურ მასალაში უაღრესად საგულისხმოდ აღბეჭდილი **ჭეშმარიტი ქრისტიანულ-რჯულისმიერი ცხოვრების წესის** შინაარსი და დანიშნულება.

ქართული ვერბალური ეტიკეტის ფორმულირების ყოველი სახეობის შესაბამისად, საანალიზო მასალა წარმოჩენილია ცხრილით, რომელშიც მონიშნულია კონკრეტული ფორმულირების შემადგენელთა სალექსიკონო მასალა¹ და მათი ამოსავალი ფუნქციური სემანტიკა.

❖ **სულიერი „გამარჯვება“ და „მშვიდობა“**

ქართული ვერბალური ეტიკეტის შემადგენელთაგან გამოყენების სიხშირით გამოირჩევა ურთიერთმოკითხვისა და მისალმების ფორმულირებანი – **„გამარჯობა!“** და **„მშვიდობა!“**.

გამარჯობასთან დაკავშირებით, უაღრესად საყურადღებო დაკვირვებას გვაწვდის პატრისტიკული ლიტერატურის მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი, **ექვთიმე კოჭლამაზაშვილი**:

¹ მგ. ქართ. სალექსიკონო მასალა – აქ და ყველგან, იხ.: სულხან-საბა 1991-1993; აბულაძე 1973; იმნაიშვილი 1986; სარჯველაძე 2001; სიმფონია-ლექსიკონი 2009; ჩუბინაშვილი დ. 1984; ჩუბინაშვილი ნ. 1961; ჩუბინაშვილი ნ. 1971; ჩუბინაშვილი ნ. 1973; გიგინეიშვილი 2016; ივრით-რუსული 1963.

„ამას წინათ სხვაგან ვთქვი და ბარემ აქაც გავიმეორებ. საუბარი იყო იმაზე, თუ როგორ მოვიკითხოთ ერთმანეთი შეხვედრისას: **გამარჯობა!** (რაც იგივე **გამარჯვებაა**) თუ **მოგესალმები!** წინდაწინვე ვიტყვი, რომ პირველი ამათგანი ქართული სიტყვაა, მეორე კი – არაბული ძირიდან ნაწარმოები. **განმარჯუება** ძველ ქართულში ძალიან ტევადი (პოლისემიური) სიტყვა იყო. მოგვიანებით (უფრო XVIII-XIX საუკუნეებიდან) დავიწროვდა მისი მნიშვნელობა და მხოლოდ „მტრის ძლევის (მისი დამარცხების)“ მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ძველად კი **სიმარჯუე** ყოველივე საქმეში „წარმატებას“ ნიშნავდა: ჯანმრთელობას, სიმდიდრეს, მშვიდობას, სიუხვეს, კეთილდღეობას, მოყვარეთა სიმრავლეს და ა. შ. (მტერთა ძლევასაც, რა თქმა უნდა!). სიკეთის ამგვარი სიმრავლე შინაარსობრივად მარჯუეს დაუკავშირდა იმდენად, რამდენადაც „**მარჯუნე**“ ხელი უფრო მოხერხებულია (მარჯვეა), ვიდრე „**მარცხენე**“.

ზუსტად ასეთივე მრავალი მნიშვნელობის (ყოველგვარი სიკეთის) მომცველია ებრაული სიტყვა **შალომ** (და, შესაბამისად, არაბული **სალამ**), რაც მოკითხვის (მისალმების) ფორმად ითვლებოდა უძველესი დროიდან სემიტა შორის. ასე ესალმებოდა ანუ მოიკითხავდა, სახელდობრ, ქრისტე თავის მოწაფეებს: „**შალომ ალემ-ხემ**“, სიტყვასიტყვით რომ ვთქვათ – „**მშველობა თქვენ ზედა!**“).

ბერძნულში **შალომის** ზუსტი შესატყვისი არ არსებობს. ამიტომ სახარებაში მის შესატყვისად ჩაწერილია **ეირენე** || **ირინი** მნიშვნელობით „მშვიდობა“. სახარების ქართულ თარგმანშიც მოკითხვის ფორმად **მშველობა** გადმოვიდა (ბერძნულის მიხედვით). ებრაულიდან რომ ეთარგმნათ, სავარაუდოდ, დაწერდნენ: **განმარჯუება თქვენდა!**

ასე რომ, ჩვენი **განმარჯუება** – მოკითხვის (მისალმების) ბევრად უფრო ტევადი ფორმაა, ვიდრე **მშვიდობა** (← ბერძნ. ირინი), **ძლევა** (← გერმ. Siegl), **ჯანმრთელობა** (← რუს. здравствуй!), **სიკეთე** (← არმენიული **ბარე**) და ა. შ. ჩვენი **განმარჯუება** ყველაფერ მაგასაც მოიცავს და ბევრსაც სხვა რამეს! თვით **მისალმების** ძველქართული შესატყვისი კი არის **მოკითხვა**. თუ უნდოდათ ეთქვათ – „მოგესალმები“, იტყოდნენ: **მოგიკითხავ**. ხოლო **ჩემი მოკითხვა გადაეცი!** – ნიშნავს: „ჩემი მისალმება გადაეცი!“.

ძველ ქართულში ბევრი სხვა სიმდიდრეც გვაქვს და მისი გამოყენების ნაცვლად „კომისიები“ ხშირად ახალ ჩიქორთულ გამოთქმებს „აკანონებენ“.

„ენა საღმრთო რამ არის, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“, – როგორც ილია იტყოდა. ენა ხომ უდიდესი სიწმიდეა, ერის სულია. ენის სიწმიდე – ერის სიწმიდე და ძლიერება იქნება.

ამიტომაც, ვისწავლოთ ერთმანეთისაგან; ძველი და ახალი საგანძურისაგან მოძიებული მარგალიტებით გავამდიდროთ ჩვენი მეტყველება. ჩვენი მაგალითი სხვასაც აღძრავს ბაძვად, რაც მძიმე ბრძოლაში მოპოვებული ძლევის ტოლფასი იქნება.

ამას პათეტიკისთვის არ ვამბობ; მინდა, საქმეში ჩავეერთოთ ყველანი!“ (ამონაწერი ფეისბუკიდან; ასევე, იხ.: კოჭლამაზაშვილი ექვთ. 1994).

ჩემი მხრივ, დავსძენ, რომ **გამარჯვება** (ძვ. ქართ. **განმარჯუება**) და **მშვიდობა** ქართულ ვერბალურ ეტიკეტში ქრისტიანული შინაარსით მოსილ **მრჩობლფუნქციურ სემანტიკას იძენს**, რაც ფრიად საგულისხმოა და „ანისა და ჰოეს“ წესით ფუნქციონირებს როგორც **კომუნიკაციის წამოწყების, ისე დასრულების** ჟამს, შდრ.:

I. კომუნიკაციის წამოწყების ჟამს → ერთი მხრივ, „**გამარჯობა!** ↔ **გაგიმარჯოს!**“ – „გამარჯობა შენი!“, შდრ.: ძვ. ქართ. „განმარჯუებაჲ თქუენდა!“; მეორე მხრივ, „აქა **მშვიდობა!**“ – „მშვიდობა თქუენდა!“ – „მშვიდობა სახლსა ამას!“ – „დილა მშვიდობისა!“ – საღამო მშვიდობისა!“ – „მშვიდობა შენს მოსვლას!“ – „მშვიდობა შენს დაბრუნებას!“;

II. კომუნიკაციის დასრულების ჟამს → ერთი მხრივ, „**გამარჯვებით გეველოს!**“ – „გამარჯვებით იარე!“, მეორე მხრივ, „**გზა მშვიდობისა!**“ – „**ღამე მშვიდობისა!**“, „მშვიდობით გეველოს! და „მშვიდობით იარე!“, შდრ.: ძვ. ქართ. „**ვიდოდე მშვდობით**“ – ამ დალოცვითი სიტყვებით დაემშვიდობა ფარისევლის სახლში სტუმრად მისული უფალი იესო ქრისტე გულწრფელად მონანიე დედაკაცს (იხ.: ლუკა 7, 37-50), და ამ სიტყვებითვე დაემშვიდობა უფალი თორმეტი წლის განმავლობაში სისხლდენით გატანჯულ დედაკაცს, რომელმაც მხოლოდ ხელის შეხებით მიიღო მეყსეულად განკურნების ღირსყოფა ზეციერი მკურნალისგან (იხ.: ლუკა 18, 43-48).

❖ **გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა, მ შ ვ ი დ ო ბ ა** → I. კომუნიკაციის წამოწყების
ჟამს:

ლექსიკური ერთეულები	ამოსავალი ფუნქციური სემანტიკა
<p>მარჯუნე, მარჯუნა – „მარჯვენა; მარჯვენა მხარისა; მარჯვენა ხელი“; მარჯუნის მიცემა – „კავშირის შეკვრა“; მარჯულ, მარჯულა, მარჯულე – „მარჯვნივ“. მარჯუე – „მარჯვე; კეთილი; შესაფერისი; მოხერხებული“; მარჯუედ – „მხნედ; მამაცად; მოხერხებულად; კარგად“; უმარჯუ – „მოუხერხებელი“; გან(ნ)მარჯუება – „ძლევა მტერთა; ბრძოლის მოგება; მოწინააღმდეგის დამარცხება; წარმატება, საპირისპ., დამარცხება“; განმარჯუებათქუენდა! გამარჯვება შენი! – „მისასალმებელი სიტყვა (შეხვედრისას)“; გაგიმარჯოს! – პასუხი მისალმებაზე „<i>გამარჯობა!</i>“; დალოცვა; გამარჯვების, წარმატების და სიკეთის სურვილი“; გამარჯვებული – „ყოჩაღი, მარჯვე; მძლე[ველი]“</p>	<p>* „გამარჯვების მოპოვების, მოწინააღმდეგის ძლევისა და მისი დამარცხების, ღმრთივსათნო საქმეთა წარმატების სურვილი იმისთვის, ვისაც მიმართავ სალმით“ *„ცოდვაზე უარის თქმა გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ა, ძ ლ ე ვ ა ა ბ ო რ ო ტ ზ ე!“</p>
<p>* „აქა მყოფთა და რომელნი არა არიან აქ – მშვიდობაი ყოველთა!“ (მამათა სწავლანი 1955); * „მშვიდობაი სახლსა ამას!“ (მათე 10,12) დილა მშვიდობისა! დილა კარგად ყოფნისა! – „მისალმება დილით შეხვედრისას“; საღამო მშვიდობისა! – „მისალმება საღამოს“ აქა მშვიდობა! მშვიდობა შენს მოსვლას! /დაბრუნებას! – „მისალმება, დალოცვა დამხვდურთა და მასპინძელთა მიმართ“; მშვიდობაში – „მილოცვა რაიმე ახალი შეძენის გამო“</p>	<p>„დამხვდურისგან სულიერი, სულის მშვიდობისა და საყოველთაო მშვიდობის სურვება მოსულისათვის“</p>

<p>სალამი (მოგესალმები), – „← ებრ. შალომ „მშვიდობა“; [არაბ. სალამ – „მშვიდობა“ შეხვედრისას, ერთმანეთისადმი მიმართვა</p>	<p>ებრ. „შალომ ალედ-ხემ!“ – „მშვდობაა თქვენ ზედა!“</p>
--	---

უფალი იესო ქრისტე თავისი იგავით – „ცხვრები და თიკნები“ (მათე 25, 31-46)¹ განგვიმარტავს, თუ რა ვალდებულებებს აკისრებს იგი **სულიერი გამარჯვების**, ანუ **უხილავი მტრის მძლეველი ქრისტესიერი ცხოვრების წესის აღსრულების გზაზე** შემდგარ ქრისტიანს (იხ.: იგავნი ქრისტესნი 2008: 117-124; უფლის იგავები ყმაწვილთათვის 2007: 59-61). ყველაფერი, რაც ამ იგავში წერია, არის წინასწარ-მეტყველება უფლის მეორედ მოსვლაზე, ქვეყნიერების აღსასრულზე,

¹ „ხოლო რაჟამს მოვიდეს მე კაცისად დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა დიდებისა თვისისათა; და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესავნი, და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა-იგი მწყემსმან რამ განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან, და დაადგინეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი – მარცხენით.

მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯუენითა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაით. რამეთუ მშოიდა, და მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუედით ჩემდა.

მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშოერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უცხო და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ შენ? ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?

და მუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა მმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.

მაშინ ჰრქუას მარცხენითა მათცა: წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს, რამეთუ მშოიდა, და არა მეცით მე ჭამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე; უცხო ვიყავ, და არა შემიწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუედით ჩემდა.

მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშოერი ანუ წყურიელი, ანუ უცხოებასა, ანუ შიშულობასა, ანუ უძლურებასა, ანუ საპყრობილესა და არა გამსახურეთ შენ?

მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამენ გეტყვ თქუენ: რაოდენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.

და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი – ცხორებასა საუკუნესა“ (მათე 25, 46).

როდესაც ყველა მოდგმის ხალხი შეიკრიბება მის წინაშე და თითოეული ადამიანი ცოდვა-მადლის მიხედვით განისჯება, თუ ვინ რა საქმე გააკეთა ამ საწუთისოფლოში. იგავის თანახმად, კაცობრიობა ცოდვა-მადლის მიხედვით გადანაწილდება: **მართლები**, ანუ **ცხვრები**, ზეციერი „მწყემსი კეთილის“ **მარჯვნივ** აღმოჩნდებიან და სასუფეველში დამკვიდრდებიან სამუდამოდ. **ცოდვილებს**, ანუ **თიკნებს** კი ერგებათ მისგან **მარცხნივ** დგომა და საუკუნო სატანჯველი, ანუ ჯოჯოხეთი.

მაგრამ კონკრეტულად რას მოგვკითხავს ქრისტე უფალი მეორედ მოსვლისას?

განიმარტება, რომ უზენაესი ზეციერი მსაჯული ერთადერთი საზომით შეაფასებს კაცთა ნამოქმედარს, ეს არის – **გულმოწყალება** და **უმოწყალობა**. იგავში მართლებსაც და ცოდვილებსაც უფალი ერთსა და იმავე საქმეს მოჰკითხავს: მშიერთა დაპურება, მწყურვალთა სმევა, შიშველთა შემოსვა, უცხოთა მიღება, სნეულთა მოვლა და პატიმართა მიხედვა – ეს ხორციელი მოწყალების საქმეებია, რასაც მიცვალებულთა დამარხვაც მიეკუთვნება.

მარჯვნივ მდგომნი იგავში **ღვთივეკურთხეულ „მართლებად“** იხსენიებიან, რადგან მათ მშიერი – დააპურეს, მწყურვალს – წყალი ასვეს, უცხო – შეიწყნარეს, შიშველი – შემოსეს, უძღურსა და პატიმარს – მოუარეს და უპატრონეს, – რასაც არ იქმან უმოწყალონი და ამის გამო ატყდებათ თავს რისხვა უფლისა: „წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის“ (მათე 25, 41).

ამ სამოწყალო საქმეთა აღსრულებით ცოდვილს ძალუძს, უფლისმიერი შეწყალების ღირსი გახდეს, რასაც უფალი **მეხუთე ნეტარებით გვიმოწმებს: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ ივინი შეიწყალნენ“** (მათე 5, 7)¹; იგავში კი უფალი იესო ყოველ გაჭირვებულს თავის „ძმად“ შერაცხავს და გვანუგუმებს: ერთ გაჭირვებულს, „ჩემს მცირე ძმათაგანს“ ვინც გაუკეთა, მან მე გამიკეთაო [იგავნი ქრისტესნი 2008: 119-123-127].

¹ იხ.: კრესტიანკინი 2003: ნეტარება მეხუთე: <https://www.orthodoxy.ge/sakhli/netareba 5.htm>

არანაკლებ საგულისხმოა იგავში „მართალი“ ცხვრებისა და „ცოდვილი“ თიკნების გაკვირვება: „უფალო, როდის გნახეთ შენ მშინერი ან მწყურვალი, ან უცხო, ან შიშველი, ან უძლური, ან საპყრობილემი და არ გემსახურეთ შენ?!“ – რაც, ერთი მხრივ, იმის მაუწყებელია, რომ ზეციერი უფალი უხილავია ყველასთვის და მხოლოდ ჩვენი სიტყვა და საქმე გვაახლოებს ან განგვაშორებს მაცხოვარი იესო ქრისტესგან... მეორე მხრივ კი, ამ შეკითხვაზე პასუხად თქმული უფლისმიერი განმარტებით ცხადდება მრავალმოწყალე ქრისტე მაცხოვრის უსაზღვრო მოთმინება – იმის სასოებით, რომ იქნებ გონს მოვეგოთ და ხვალისთვის არ გადავდოთ დღევანდელი ის სათქმელი და საქმე, რასაც მარადიული ნეტარების მოპოვების მსურველი კეთილგონივრულად – **რჯულისამებრ** ჰკიდებს ხელს [იგავნი ქრისტესნი 2008: 119-127].

საეკლესიო ლიტერატურაში **რჯულისა** და მცნებათა აღსრულების საკითხი აუცილებლად განიხილება **სიყვარულთან** ერთად, – სიყვარულთან **ღმერთისა** და გვერდით მყოფისადმი, ანუ **მოყვასისადმი**. წმიდა სახარება ამ რჯულისმიერი სიყვარულის გამო გვაუწყებს:

„შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს დიდი და **პირველი მცნებაჲ**. და **მეორე**, მსგავსი ამისი: **„შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვსი**. ამათ ორთა მცნებათა **ყოველი სჯული** და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე 22, 36-40)¹, რასაც წმიდა პავლე მოციქული საგანგებოდ გვიმოწმებს: **„ყოველი შჯული ერთითა სიტყვთა აღესრულების: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვსი“** (გალატელთა მიმართ 5, 14).

სწორედ ეს ორი „ცხორების-მომცემელი“ მცნებაა სარწმუნო გზა² ცოდვილის ქრისტესმიერი განმართლებისა და გადარჩენისათვის, რასაც მოყვასისადი ქრისტემიერი **სიყვარული** შეგვაძლებინებს. ამ გზაზე შემდგარს უკვე აღარ გაუჭირდება, სათანადოდ აღიქ-

¹ იხ.: ლევიტელთა 19, 18 და 19, 34; მათე 22, 39; მარკოზი 12, 31-33; ლუკა 10, 27; რომელთა მიმართ 13, 8-9; გალატელთა მიმართ 5, 13-14; იაკობი 2, 8.

² შდრ.: „**მე ვარ გზაჲ** და მე ვარ ჭემმარტებაჲ და ცხორებაჲ; **არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ**“ (იოანე 14, 6-7).

ვას და აღასრულოს ამავე მცნების ერთგვარი შემავსებელი – უკუფენილად ნაგულისხმევი ქრისტესმიერი (თუმცა, ძნელად მისაღები) სწავლება: „გესმა, რამეთუ თქუმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვ თქუენ: **გიყუარდე მტერნი თქუენნი** და აკურთხევიდით მწყევართა თქუენტა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენტა და ულოცევიდით მათ, რომელნი გამძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ, რათა იყვნეთ თქუენ **შვილ მამისა თქუენისა ზეცათამსა...** იყვენით თქუენ სრულ, **ვითარცა მამაი თქუენი ზეცათაი სრულ არს**“ (მათე 5, 43-48).

ამგვარი სანატრელი სიყვარულიდან აღმოცენებულ ურთიერთვალდებულებას გვაკისრებს კომუნიკაციის **წამოწყების** ჟამს გამოთქმული ქართული ეტიკეტის ფორმულირება – „**გამარჯობა!** ↔ **გაგიმარჯოს!**“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული ვერბალური ეტიკეტი **რჯულისმიერია** თავისი არსითაც და გამიზნულობითაც, შდრ.: „**რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან შჯული აღასრულა**“, – შეგვაგონებს წმიდა მოციქული პავლე და საგულისხმიეროდ დასძენს: „სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არა უყვის; **აღმასრულებელი შჯულისაი სიყუარული არს**“ (რომაელთა მიმართ 13, 10).

მხოლოდ ამ დიადი სიყვარულით ანთებულისთვის შემსუბუქდება მრავალთათვის მიძიმედ აღსასრულებელი ტვირთი მოვალეობისა **მოყვასისა და ღვთისადმი**, და გატკბილდება ქრისტეს **რჯულისმიერი უღელი**, რომელზეც უფალი ბრძანებს: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ **მშვედ ვარ** და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენება სულთა თქუენტაჲ. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვრთი ჩემი სუბუქ არს“ (მათე 11, 29-30) – ჩვენ კი ამ ღვთივწყალობით ბოძებულ საქმეს მუდმივად უნდა აღვასრულებდეთ და თან მუდმივად ვრჩებოდეთ ვალში ღვთისა და მოყვასის წინაშე.

მაშასადამე, ამ დიდებული ვალდებულების შემცველი საუკუნოვანი ფორმულირებით – „**გამარჯობა!** ↔ **გაგიმარჯოს!**“ ჩვენ ერთმანეთს სიტყვიერად ვუსურვებთ და თითქოს ვაგულიანებთ კიდევც, რომ ღვთის შეწევნით მოგვეცეს ნდომა და ძალა, რათა ყოველი კეთილგონივრულად ჩაფიქრებული საქმე **ქრისტესმიერი გამარჯვებით** დაგვირგვინდეს.

თუმცა, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ქარტეხილების გათვალისწინებით, იგივე ფორმულირება („გამარჯობა! ↔ გაგიმარჯოს!“), ცხადია, ხორციელ, საწუთისოფლო, ანუ ხილული მტრის ძლევასაც გულისხმობს, რაც არანაკლებ საჭირობოროტო იყო და დღემდეც ასეა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისიც საგულვებელია, რომ ქართულ ვერბალურ ეტიკეტში, ზემოხსენებული „ანისა და ჰოეს“ წესით, სწორედ პოლისემანტიკურმა **მშვიდობამ**¹ იტვირთა ქრისტიანული შინაარსით მოსილი **მრჩობლი სემანტიკა** და ერთბამად შეეწყვილა **გამარჯვებას** – როგორც კომუნიკაციის **წამოწყების**, ისე **დასრულების** ქამს.

❖ **მ შ ვ ი დ ო ბ ი თ, გ ა მ ა რ ჯ ო ბ ა → II. კომუნიკაციის დასრულების ქამს:**

ლექსიკური ერთეულები	ამოსავალი ფუნქციური სემანტიკა
<p>მშვიდობით! „კარგად, უვნებლად“ გზა მშვიდობისა! – „დალოცვა გზად მიმავლისა“ ღამე მშვიდობისა! ძილი ნებისა! – „ღამით გამოთხოვებისა“</p>	<p>მ შ ვ ი დ ო ბ ა ნაყოფია ს უ ლ ი წ ი დ ი ს ა</p>
<p>მშვდობით – „წყნარად, მშვიდად“; მშვდი – „წყნარი; აუღელვებელი; აუჩქარებელი“; მშვდად – „წყნარად; ნელა, აუღელვებლად, მდაბლად, აღუშფოთებლად, დამშვიდებით აღუშფოთებლად, უდავიდარაბოდ“; მშვდობა – „სიმშვიდე; სიწყნარე; სიმრთელე; მშვიდობიანობა; სად არა იყოს: შუღლი, ამბოხება, ტაცება“; მშვდობიანი – „უსნეულო, უავადო; „ჯანსაღი“; მშვდობის-მომრთუმელი – „მშვიდობის მომნიჭებელი“</p>	<p>* „ვიდოდე მ შ ვ დ ო ბ ი თ“ (ლუკა 50, 7)</p> <p>* „აქა მყოფთა და რომელნი არა არიან აქა, მ შ ვ დ ო ბ ა მ ყოველთა“ (მამათა სწავლანი X-XI სს.)</p>

¹ **მშვიდობა** – „სიმშვიდე; სიწყნარე; სიმრთელე; მშვიდობიანობა; სად არა იყოს: შუღლი, ამბოხება, ტაცება“; შდრ.: **მშვიდი, მშვიდობიანი** „წყნარი; აუღელვებელი; აღუშფოთებელი; უდავიდარაბო; აუჩქარებელი; „უსნეულო, უავადო; „ჯანსაღი“.

<p>ლი“; მზღობის-მყოფელობა – „მშვიდობისმყოფელობა“; მზღობის-ყოფა – „დამშვიდება, დაწყნარება; შერიგება“; მამზღებელი – „დამაწყნარებელი; მზღობის-მყოფელი“; ნამზღობარი – „მშვიდობაში ყოფილი“; სამზღობო – მშვიდობის საქმე“</p> <p>„მზღობიანი – შეგვიწყალენი, კვერქსი“ (ჩუბინაშვილი დ. 1984)</p>	<p>* მ შ ჯ დ ბ ა ი სახლსა ამას!“ (მათე 10,12)</p>
<p>ნახვამდის! – „ნახვა ხილვა, свидание; посещение; ნახვამდინ до свидания“ (ჩუბინაშვილი დ. 1984)</p>	<p>„მომავალ შეხვედრამდე!“ მე. ქართ. ლექსიკონებში არ აისახება</p>

უწინარესად გავიხსენოთ ქართ. **მზღდის** სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება:

„**მზღდი** – (მშვიდი + 12, 2 რიცხვ.) აუჩქარებელი და მომთმინო. შეუდგს სიმშვიდესა სიჯაბნე: ოდეს სხვასა (სხვათა) ევნებოდეს და არა უშჯიდეთ (უსჯიდეთ), ეს ს ი ჯ ა ბ ნ ე არს. ხოლო ოდეს ჩვენ ბოროტი შეგვემთხვიოს და (და)ვითმინოთ, – ს ი მ შ ვ ი დ ე არს“ [სულხან-საბა 1991-1993].

ჩვენი დიდებული ქართველი ლექსიკოგრაფი და ლექსიკოლოგი **მზღდის** ამოსავალ, წარმმართველ მახასიათებლად გვისახელებს „აუჩქარებლობას“ და „მომთმინებას“. თუმცა იგი საკვირველ მზრუნველობასაც იჩენს ქართ. **მშვიდის** ჭეშმარიტი მნიშვნელობის მაძიებელი მკითხველისადმი, რათა **მშვიდი** და **სიჯაბნე**¹ სინონიმებად არ მივიჩნიოთ და ჯაბან კაცს „არ დავაბრალოთ“ ესოდენ საქები და სანატრელი იშვიათი ბუნებითი თვისება – **სიმშვიდე, მშვიდობა**, რომელიც

¹ „**სიჯაბნე** – გულდედლობა. ნ. მ შ ჯ დ ი“ (სულხან-საბა 1991-1993), შდრ.: „**სიჯაბნე** – დაჩაგრულობა, მოშიშრობა, робость“ (ჩუბინაშვილი ნ. 1961); „**სიჯაბნე** – მოშიშრობა, трусость, робость“ (ჩუბინაშვილი დ. 1984).

ცოდვათა მძლეველ შვიდ სათნოებათაგან ერთ-ერთია, ვითარცა **მრისხანების** საკურნებელი წამალი¹.

ნეტარი აგუსტინე ბრძანებს: „**მშვიდია** იგი, ვინც მოთმინებით ეკიდება ურცხვად მოქმედს და ბოროტს სიკეთით სძლევეს“ [მამათა სწავლანი 1955]. სწორედ თავისი **მშვიდი** ბუნებით, თვინიერებითა და მშვიდობის-ყოფილობით გამოირჩევა წმიდა წინასწარმეტყველი და ღვთისმხილველი მოსე, რომელიც ღვთის მსახურად და თავისი ერის ერთგულად შეირაცხება ზეციერი ღმერთის წინაშე: „და კაცი მოსე **მშვედ** იყო ფრიად უფროდს ყოველთა კაცთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა... ჰრქუა მათ უფალმან: უკუეთუ იყოს ვინ მე თქუენგანი წინასწარმეტყუელ უფლისა, ჩუენებით გამოვეცხადო მას, ხოლო არა ვითარცა მოსეს, – მსახურსა ჩემსა, სარწმუნო არს“ (რიცხუთა 12, 3. 6-8).

განგვიმარტავენ რა **მშვიდობის** ჭეშმარიტ მნიშვნელობას, ეკლესიის წმიდა მამანი ჩვენს ყურადღებას მისი საყოველთაოობისკენ წარმართავენ, რაც **მშვიდობის, მშვიდობიანობის, მშვიდობის-ყოფილობის** ღვთივდადგენილი დანიშნულებაა:

„არარად არს უზეშთაეს **მშვედობისა**... ყოველი კეთილი **მშვედობისაგან** არს: სიყუარული და სიხარული... რაჟამს-იგი თქვს მღდელთ-მოძღუარმან – „**მშვედობად ყოველთა!**“, არა ეგრე თქვს, თუ – „**მშვედობად აქა** მყოფთა **ხ ღ ღ**“, არამედ – „**მშვედობად ყოველთა აქა მყოფთა** და **რომელნი არა არიან აქა! მშვედობად ყოველთა!**“ [მამათა სწავლანი 1955]².

წმიდა მათეს სახარებაში უფალმა იესომ სახარების საქადაგებლად განმზადებული თავისი 12 მოწაფე აკურთხა, სასწაულთმოქმედი ძალით შემოსა და: „მისცა მათ ჳელმწიფებად სულთა ზედა არაწმიდათა, რადთა განასხმიდენ მათ და განჳკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა“ (მათე 10, 1). ქრისტესმიერ კურთხევაში საგულისხმოდაა მონიშნული **ადამიანის ღირსების** საკითხი. უფალი მოწაფეებს იმ მოსალოდნელ განსაცდელთა გამო აფრთხილებს, რაც

¹ შვიდი მომავკდინებელი ცოდვა და მათი წამალი – **შვიდი სათნოება**: ამპარტავნება ← **სიმდაბლე**; ანგარება ← **მოწყალება**; სიძვა ← **უმანკობა**; მრისხანება ← **სიმშვიდე**; ნაყროვანება ← **მარბულობა**; შური ← **სიყვარული**; სასოწარკვეთილება ← **სასოება**.

² შდრ.: „ნეტარ იყვნენ **მშვედობის-ყოფილნი**, რამეთუ იგინი **მედ ღმრთისად** იწოდნენ“ (მათე 5, 9); იხ.: კრესტიანკინი 2003, ნეტარება მეშვიდე: <https://www.orthodoxy.ge/sakhli/netareba7.htm>

მათ მომავალში ელოდა, და ანუგეშებს („ნუ გეშინინ!“), რათა განსაცდელის ჟამს ისინი **რისხვამ** კი არ შეიპყროს, არამედ **სიმშვიდე** შეინარჩუნონ:

„რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხვდეთ, გამოიკითხეთ; **ვინ ღირს იყოს**, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე. და შე-რად-ხვდოდით სახლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: **მშვდობამ სახლსა ამას!** და უკუეთუ სახლი იგი **ღირს იყოს**, მოვიდეს **მშვდობამ** თქუენი მას ზედა; უკუეთუ **არა ღირს იყოს**, **მშვდობამ** თქუენი თქუენდავე მოიქეცინ“ (მათე 10, 11-13).

წმიდა ლუკას სახარებაში ამ უფლისმიერი გამამხნევებელი გაფრთხილების დასკვნით ნაწილში „ღირსეულს“ („ღირს-იყოს“) ენაცვლება ცნება-ტერმინი „**ძჳ მშვიდობისა**“: „და უკუეთუ იყოს მუნ **ძჳ მშვიდობისა**, განისუენოს მის ზედა **მშვდობამან** თქუენმან, უკუეთუ არა – თქუენდავე მოიქცეს“ (ლუკა 10, 6), რითაც წმიდა წერილში ღვთივსათნო **მშვიდობის-მყოფელობის** აღმატებულობა ცხდდება.

„**მშვიდობა**“, „**მშვიდობიანობა**“ – აგრეთვე **ლოცვითი** და **და-ლოცვითი მოკითხვა-მისალმების** ფუნქციებით იმოსება. წმიდა იუდა მოციქული¹ თავის ეპისტოლეში თავის მკითხველსა და მსმენელს ამგვარი ლოცვა-კურთხევით მოიკითხავს: „**წყალობამ** თქუენ თანა და **მშვდობამ** და **სიყუარული** განმრავლდინ!“ (იუდა 1, 2).

ყოველთა მაცხოვრის, ქრისტე უფლის შობა მწყემსებს ზეციერ-მა ანგელოზებმა აუწყეს, რომელნიც ამ სასიხარულო მოსაკითხით ადიდებდნენ ღმერთს:

„დიდება მალალთა შინა ღმერთსა, და **ქუეყანასა ზედა მშვდობამ**, და კაცთა შორის სათნოებამ“ (ლუკა 2, 14). ბზობის კვირას უფალ იესო ქრისტეს მსაგვსადვე – დიდი სიხარულითა და ქებით შეეგება „ყოველი სიმრავლე მოწაფეთად“:

„კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისადთა! **მშვდობამ ცათა ზედა** და დიდებამ მალალთა შინა!“ (ლუკა 19, 38) – რომლითაც გამოითქმის სასოება იმისა, რომ **მშვიდობა** იქნება – „**ქუეყანასა ზედაც**“ და „**ცათა ზედაც**“!

¹ წმიდა მოციქული **იუდა** – თორმეტ მოციქულთაგანი, უფალი იესო ქრისტეს ხორციელი ძმა; თავის ეპისტოლეში იგი „იაკობის ძმად“ იხსენიება.

ასე რომ, უმნიშვნელოვანესია და სანატრელი როგორც ბუნებითი **მშვიდობა** – ყოველდღიური ყოფისა და ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, ისე სულიერი **სიმშვიდე**, **განწყობა** და მზადყოფნა – ამა თუ იმ გარემოებისა თუ ვითარების ღირსეულად წარმართვისათვის, რამეთუ: „**მშვდთა** დაიმკვდრონ ქუეყანად და იშუებდენ მრავლითა **მშვდობითა**“ (ფსალმუნი 36, 11).

გავიხსენოთ **უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორის** მიერ ხშირად მოხმობილი დალოცვითი ამონარიდი „ფსალმუნებიდან“:

„უფალმან ძალი ერსა თუსსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თუსი **მშვდობით**“ (ფსალმუნი 28, 11) – სადაც ერისა და ქვეყნის სიმტკიცის, განვითარებისა და გამარჯვების ორი „გზაა“ დასახელებული; „ძალი“ უფლისა, ანუ ღვთის მადლი, რომელიც ჩვენი კეთილი ნებითა და ძალისხმევით გვიმრავლდება – ღვთის შეწევნითა დ წყალობით, და ერის სულიერი სიმშვიდე, ერთობა და „ქუეყანასა ზედა მშვიდობა“.

აქვე შევნიშნავთ, რომ „ფსალმუნთა“ გამორჩეულ საგანს ნიშანდობლივ შეადგენს **მშვდობის**, **მშვდის** როგორც საღმრთო რჯულისმიერ-სამართლებრივი ფუნქციონირება, ისე წმინდა დალოცვითი და შეგონებითი ფორმულირებანი. მაგალითად:

➤ **საღმრთო რჯულისმიერ-სამართლებრივი:**

„წყალობად და ჭემარიტებად შეიმთხვენეს, **სიმართლემან** და **მშვდობამან** ამბორს-უყვეს“ (ფსალმუნი 84, 11).

„რამეთუ ტკბილ და წრფელ არს უფალი; ამისთვის **შჯულიერ** ყვენს ცოდვილნი გზასა. უძლუეს **მშვდთა** საშჯელსა შინა, ასწავლნეს **მშვდთა** გზანი მისნი“ (ფსალმუნი 24, 8-9).

„უფალმან **უწყნის** ზრახვანი კაცთანი, რამეთუ არიან ამაო. ნეტარ არს კაცი, რომელიცა განსწავლო, უფალო, და **შჯულისა შენისაგან** ასწაო მას **დამშვდებად** მისა დღეთა ბოროტთა, ვიდრემდის ეთხაროს კნარცვ ცოდვილსა“ (ფსალმუნი 93, 11-13).

„**მშვდობამ** მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყუარს **შჯული** შენი, და არა არს მათ თანა საცთურ“ (ფსალმუნი 118, 165).

➤ **დალოცვითნი:**

„ძმათა ჩემთათუს და მეგობართა ჩემთათუს ვიტყოდე მე **მშვდობასა** შენთუს. სახლისათუს უფლისა ღმრთისა ჩუენისა გამოგი-თხოვე კეთილი შენ“ (ფსალმუნი 121, 8-9).

„**მზვდობა** ისრაელსა ზედა! და იხილნე შენ შვილნი შვილთა შენთანი. **მზვდობა** ისრაელსა ზედა!“ (ფსალმუნი 124, 5-6).

„შეიწყნარნის **მზვდნი** უფალმან, ხოლო დაამდაბლნის ცოდვილნი მიწადმდე“ (ფსალმუნი 146, 6).

➤ **შეგონებანი:**

„მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი, მოიძიე **მზვდობა** და მისდევდი მას“ (ფსალმუნი 33, 15).

„და გარდააცუ და წარემართე და სუფევდი ჭეშმარიტებისათვის და **სიმზვდისა** და **სიმართლისა**; და გიძლოდის შენ საკვრველად **მარჯუნე** შენი“ (ფსალმუნი 44, 5).

„დაიცევ უმანკოებად და იხილე სიწრფელე, რამეთუ არს ნეშტი კაცისა **მამზვდეხელისა** [რადგან მომავალი ეკუთვნის **მშვიდობიან კაცს**]“ (ფსალმუნი 36, 37).

როგორც ვხედავთ, ორივე საკომუნიკაციო სახეობის საანალიზო ლექსემათა (**გამარჯვება** და **მშვიდობა**) ამოსავალი, სემანტიკიდან გამომდინარე, გამჭვირვალედ ამოიკითხება – კომუნიკაციის მონაწილეთა ურთიერთკეთილმოსურნეობა, რითაც ქართული ვერბალური ეტიკეტის განხილული ფორმულირებანი ერთგვარი **წართქმითი ლოცვის** შინაარსით იმოსებიან, იმის გულისხმისსაყოფად, რომ – ღვთივწყალობით ბოძებული **უხილავი მტრის მძლეველი ქრისტესმიერი ცხოვრების წესის აღსრულებით** – ეს დღევ ვამსახუროთ სიკეთესა და ურთიერთგულმოდგინებებს, რათა ზეციერი მეუფისა და მსაჯულისაგან მივიღოთ ღირსყოფა მისი „**მარჯვენით**“ დადგინებისა, ანუ „მართალთა თანა“ დამკვიდრებისა – ღვთის სასუფეველში, რომელიც არის: „სიმართლე და **მშვიდობა** და სიხარულ სულითა წმიდითა“ (2 თესალონიკელთა 1, 2).

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

ბიბლია 2015 – ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი.

ბიბლია 1979 – Библия: Книги Священного Писания Ветхого и Нового Завета. Издание Московской Патриархии. Москва.

გიგინეიშვილი 2016 – ბაქარ გიგინეიშვილი, ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა – მ), თბილისი.

იგავნი ქრისტესნი 2008 – იგავნი უფლისა ჭუნისა იესო ქრისტესნი (წმიდა მამათა და კომენტატორთა საღვთისმეტყველო განმარტება), შვიდწიგნული, 1, თბილისი.

ივრით-რუსული 1963 – Иврит-русский словарь, составил Ф. Л. Шапиро, Москва.

იმნაიშვილი 1975 – ივანე იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თბილისი.

იმნაიშვილი 1986 – ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.

იოანე ოქროპირი 1993 – წმიდა იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, ნაწილი I, რედაქტორი მზექალა შანიძე; გამომცემლები: ვლადიმერ წამალაშვილი, თეიმურაზ დედაბრიშვილი.

იოანე ოქროპირი 1996 – წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებად მათეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, რედაქტორი მზექალა შანიძე, თბილისი.

კოჭლამაზაშვილი 1994 – ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, „გამარჯვებით, ქრისტიანენო!“, ალმანახი „ძველი სახლი“, №1, 1994.

კრესტიანკინი 2003 – მამა იოანე კრესტიანკინი, როგორ უნდა ვთქვათ აღსარება 9 ნეტარების მიხედვით?

<https://www.orthodoxy.ge/sakhli/9netareba.htm>

ნეტარება მეხუთე:

<https://www.orthodoxy.ge/sakhli/netareba5.htm>

ნეტარება მეშვიდე:

<https://www.orthodoxy.ge/sakhli/netareba7.htm>

ლოპუხინი 1904-1907 – Толковая Библия, А. П. Лопухина, I, Петербург.

მამათა სწავლანი 1955 – მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი.

ნეიმანი 1978 – ალექსანდრე ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, მესამე გამოცემა, თბილისი.

ორჟონია 2018 – ირაკლი ორჟონია, რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების შესახებ, რელიგიურ-საგანმანათლებლო ჟურნალი „რელიგია“, №19.

სართანია 2002 – დავით სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის ისტორიის საკითხები, თბილისის ს.-ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი ისტორიის კვლევისა და სწავლების მეთოდოლოგიათა ლაბორატორია, თბილისი.

სარჯველაძე 2001 – ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.

სიმფონია-ლექსიკონი 2009 – ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, ეძღვნება აკაკი შანიძის 120 წლის იუბილეს, შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, თბილისი.

სულხან-საბა 1991-1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I-II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

უფლის იგავეები ყმაწვილთათვის 2007 – უფლის იგავეები ყმაწვილთათვის, განმარტებებით, მთავარი რედაქტორი მღვდელი კონსტანტინე გიორგაძე, ავტორ-შემდგენელი დოდო (მარიამ) ლლონტი, თბილისი.

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბილისი.

ღლონტი 2017 – რწმენისა და ცოდნის გაერთიანების პრინციპისათვის (სიტყვა-ლოგოსი და სიტყვა-კაცობრივი). ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, „ენა და კულტურა“, II, 155-166, თბილისი.

შეერთებული ლექსიკონი – შემდგენელი გრიგოლ რუხაძე, რედაქტორი გვანცა კოპლატაძე, თბილისი.

ჩუბინაშვილი დ. 1984 – დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1961 – ქართული ლექსიკონი. ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

ჩუბინაშვილი ნ. 1973 -- ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტომი II, თბილისი.

ჭელიძე 1994 – ედიშერ ჭელიძე, კლიმენტი ალექსანდრიელი, ჟურნალი „გზა სამეფო“, № 2, გვ. 3-8, 1994, იხ.

http://edisherchelidze.blogspot.com/2018/12/blog-post_34.html და

Medea Ghlonti

**On Christian-Religious Teachings of the Georgian
Verbal Etiquette**

(gamaržoba! "Hello" mšvidobit! "Goodbye")

Summary

The main driving force in the daily life of each of us is the living relationship, which is regulated by the duties assigned to us, because we have promised before God and people. That is why the verbal (resp. speech) etiquette was equipped with a certain regulatory functional semantics of healthy morality, responsibility or discipline.

By using the centuries-old rule of combining knowledge and faith, we present an attempt to analyze the original nurturing factor of the substantive-semantic functioning of the Georgian verbal etiquette, namely, by proper lexical-semantic analysis and using the relevant theological (catechistic-exegetical) material, the conceptual formulation of the written and oral aspects of the Georgian verbal etiquette can be clearly identified – in its three main directions: I. At the beginning of communication II. during its development and III. at the time of its completion. The formulations containing I and II variations are discussed in the paper.

უახლესი ქართულის ლექსიკურ ტენდენციათა თეორიული ასპექტისათვის

უახლესი პერიოდის ქართული ენის ფუნქციონირებისა და განვითარების თავისებურებებზე მეტ-ნაკლებად ადეკვატურ წარმოდგენას გვიქმნის ლექსიკის სფეროში თავჩენილი ტენდენციები. საზოგადოდ, ამგვარი ენობრივი საკითხები მუდმივად აქტუალურ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რამდენადაც ენა ჩვენი ყოფიერების სახლია და დღენიდაც საჭიროებს სწავლულთა ფზიხელ თვალს.

თანამედროვე ქართულის ლექსიკური ტენდენციები, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი და ახალ-ახალ პრობლემათა ერთგვარი საბადო, ნაირგვარი ასპექტით, სპეციალისტთა და სხვა დაინტერესებულ პირთა მძაფრი ყურადღების საგანია. უახლესი ქართული საენათმეცნიერო სივრცე, ტრადიციათა კეთილ ნაკვალევზე, ლექსიკის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო პროდუქციის სიუხვით გამოირჩევა (ენობრივ ფაქტთა აღწერა-რეგისტრაციისა თუ განსჯა-შეფასების მხრივ). დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლექსიკური ფონდის დინამიკის მეცნიერული შესწავლა-დამუშავება 21-ე საუკუნის ქართული ენათმეცნიერების ერთი გამორჩეულად მნიშვნელოვანი უბანია. საკითხის განსაკუთრებული სიმწვავე და მრავალმხრივობა, ალბათ კანონზომიერიცაა თანამედროვე სამეცნიერო პროგრესისა და სოციოკულტურული ვითარების შესაბამისად: მიმდინარე ლექსიკურ პროცესებში საუკეთესოდ ჩანს და იკითხება ეპოქა. ამისდაკვალად, ლოგიკურია ის საგანგებო ყურადღება, რასაც ამ პრობლემატიკისადმი იჩენს არაერთი საენათმეცნიერო თუ მომიჯნავე დისციპლინა, მათ შორის: ტერმინოლოგია, სტილისტიკა, ლინგვოპოეტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, მედიალინგვისტიკა და მეტადრე – მეტყველების კულტურის სფერო (ორთოგრაფიისა და ორთოეპიის ნორმებითურთ). ცხადია, ამ დისციპლინებს კვლევის საკუთარი ინტერესი აქვთ, თუმცაღა ზიარი საკვლევი ობიექტი – ლექსიკა – ლექსიკოლოგიასთან. ყველა მათგანის მონაცემები ერთად კი

ქმნის კომპეტენტურ ფაქტოგრაფიულ ბაზას საკუთრივ ლექსიკოლოგიური განსჯისათვის. „ენობრივ მოვლენათა კვლევის აუცილებელ საფეხურს წარმოადგენს სათანადო ენობრივი მოვლენების რეგისტრაცია. ამ მოვლენათაგან, პირველ ყოვლისა, უნდა გამოიყოს თანამედროვე ენის ფაქტები, რადგან სწორედ თანამედროვე ენა არის ყველაზე ადვილად საწვდომი შესწავლისათვის, მეტ-ნაკლებად სრული მიმოხილვა მხოლოდ თანამედროვე ენის ფაქტებით ხერხდება. ამ ფაქტებს შორის რეალური ურთიერთკავშირის გამოვლენას ყველაზე უფრო ის მოახერხებს, ვინც ამ ენას პრაქტიკულად ფლობს“ [ფოჩხუა 1974: 68]. ამდენად, პრაქტიკოს-სპეციალისტთა კვლევა-დაკვირვებები უადრესად ფასეულია უახლესი ქართული ლექსიკური ფონდის დინამიკის მრავალმხრივ შესასწავლად, მათ შორის ზოგადთეორიული თვალსაზრისითაც.

ენის იერარქიულ სისტემაში ლექსიკური ენობრივი დონე ყველაზე მეტად მგრძნობიარე უბანია. ენისა და საზოგადოების მრავალასპექტიანი ურთიერთობის საკითხი აქ ლამის ფოტოგრაფიული სიზუსტით მჟღავნდება. დიფერენციაციისა და ინტეგრაციის რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესები ენას – როგორც ღია დინამიკურ სისტემას – მუდმივად თან სდევს. უახლესი ქართული ლექსიკური ფონდის მზარდი დინამიკა ამის საუკეთესო დასტურია.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ენა არ წარმოადგენს ოდენ ნომენკლატურას. სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას: „სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს და არც ერთი ენა არ მიჰყვება საყოველთაო სქემას იმ უზრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი უნივერსალური სქემა არ არსებობს. ყოველი ენა წარმოადგენს საგანთა სინამდვილის თავისებურ კლასიფიკაციას და ამიტომ სამყაროს იმდენი კლასიფიკაცია გვაქვს, რამდენი ენაცაა“ (გ. ნებიერიძე). ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე ლექსიკურ პროცესებზე დაკვირვება. ამ პროცესებში ორი ძირითადი წარმმართველი კომპონენტია: **თანამედროვე სოციო-კულტურული სიტუაცია** და **პრაგმატული ასპექტი**. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ენის ქმედუნარიანობისას პრაგმატული ასპექტი თავს იჩენს ენობრივი იერარქიის თითქმის ყველა დონეზე (ფონეტიკა, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა), თუმცა კი,

უპირველესად, პრაგმატული მხარე ენისა უფრო მეტ გავლენას ახდენს სემანტიკაზე. თავის მხრივ ეს გავლენა აისახება მიმდინარე სემანტიკურ პროცესებში, მრავალი საჭირო თუ არასაჭირო სიახლის სახით. ამგვარი სიახლეები ცოცხალი მეტყველების თანმდევი და უცილობელი ატრიბუტია, უმეტეს შემთხვევაში – ბუნებრივი და კანონზომიერი, შედარებით ნაკლებად – ხელოვნური. ცხადია, მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ორივე ჯგუფის სიახლეები, თუმცა ამათგან უფრო მეტად პრობლემურია ხელოვნური შემთხვევები.

რამდენადაც ენის ლექსიკური დონე ხელოვნური სიახლეებით (ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ვულგარიზმები, ევფემიზმები...) ყველაზე მეტად დატვირთული უბანია, იმდენადვე ყველაზე მეტად აქტუალური და პოპულარულია (სიახლე უმეტესწილად სწორედ პოპულარობაზეა დაფუძნებული და ისწრაფვის გახდეს მასობრივი). გაანალიზებული მასალის თანახმად, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით შეპირობებულ ცოცხალ ენობრივ პროცესებზე დაკვირვება ლექსიკურ აქტივობათა ნაირგვარობას წარმოაჩენს. ენის პრაგმატულ ასპექტში ყველაზე მკაფიოდ გაცხადებული თანამედროვე ქართული სოციოკულტურული სიტუაცია ამ ნაირგვარობათა უეჭველი წყაროა. უცხო ენათა ინტენსიური მოძალების პირობებში ლექსიკის პრაგმატული რეალიზაციის ცხადი თუ დაფარული, სავარაუდო თუ მოულოდნელი ჭრილი მენტალურ ორიენტირებსაც მიემართება.

ის ფაქტი, რომ მდიდარი ლექსიკა ენის ფლობის კულტურულ დონესა და, შესაბამისად, შინაარსსაც მეტი დახვეწილობით წარმოგვიდგენს, ერთგვარად იჩრდილება ან უჩინარდება კიდეც სწორედ სოციოკულტურული და პრაგმატული ასპექტების გავლენით. „ლექსიკური პარადიგმატიკის ფაქტთა აღწერისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ, ჯერ ერთი, სემანტიკური შესაძლებლობანი აქ გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ვიდრე სხვა შემთხვევებში (კერძოდ, გრამატიკის შემთხვევაში) და, მეორეც, ენობრივი კოლექტივის ცხოვრება უშუალო გავლენას ახდენს ამა თუ იმ პარადიგმატული კავშირის შექმნასა თუ დარღვევებზე“ (ბ. ფოჩხუა). ენობრივი არჩევანი, ოპტიმალურ ენობრივ საშუალებათა ძიება ენის ფუნქციონირების ყოველგვარ სფეროში ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს და ამის მეცნიერული შესწავლისათვის მოწოდებულია კიდეც სამეცნიერო დისციპლინები: ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, მეტყველების

კულტურა და სხვ. თუმცა საკუთრივ ენობრივი არჩევანის მოტივირებულიობა პოზიტიურობის განმსაზღვრელი, მაგრამ, როგორც ჩანს, პრაგმატული ასპექტი პროცესის უპირატესი წარმმართველია და ეს უპირატესობა პრაგმატული ასპექტისა დამოუკიდებელია შედეგის დადებითი თუ უარყოფითი ხასიათისაგან, რამდენადაც თვით ეს უკანასკნელი პრაგმატული რეალიზაციის შემფასებლობითი მხარეა. ლექსიკის პარადიგმატულ-სინტაგმატური და პრაგმატული ასპექტების კვლევა, ცხადია, სემანტიკური ფაქტის შეფასების საკითხსაც დასვამს. ამასთან, ახალი ლექსემები თუ უკვე არსებულთა განახლებული შინაარსობრივი რაკურსი საუკეთესოდ წარმოაჩენს ლექსიკურ აქტივობათა ობიექტურ საფუძვლებსა და პრაგმატული ბუნების სპეციფიკას.

უცილობლად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალი ცხოვრებისეული რეალობა და საჭიროებები, გარეენობრივი ფაქტორები თუმცა კი საფუძველს ქმნის, ან, უფრო ცხადად, ბიძგის მიმცემია ენობრივი აქტივობისა და ენობრივი ენერგიის წარმომჩენიც, მაგრამ ენობრივი ძალისხმევა, უპირველესად, სწორედ რომ ენობრივი ენერგიის იმანენტურ კანონზომიერებათა პირშეოა. ამდენად, ინოვაციათა საერთო პირველმიზეზების მიუხედავად, მართალია, იმგვარი ლექსიკური აქტივობა, როგორიცაა სესხება და მასთან დაკავშირებული პრობლემათა ჯაჭვი, მათ შორის – კალკირება, გავლენა, თარგმანის კვალი, დიდწილად სჭარბობს შიდა, საკუთარ ნიადაგზე ამოზრდილ ისეთ აქტივობას, როგორიცაა სემანტიკური ტევადობის ცვლა და მასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ ეს უკანასკნელი თვისებრივად უფრო სიღრმისეულია. ამ სიღრმისეული, ფუნდამენტური და სისტემური თვისებრიობის როლს განუზომლად ზრდის გლობალიზაციის თანამედროვე ტემპი და მასშტაბი (სხვათა შორის, დოკულინგვისტიკის აღმოცენებაც ეპოქის კურსის გამოხატულებათა ისევე, როგორც ენის დოკუმენტირებისა და ინსტრუმენტალიზაციის გამაღებელი და გამართლებული საჭიროება) იმ ბუნებრივ წესრიგში, რომ ყოველი სიტყვა რომელიმე ენის სიტყვაა და არა ზოგადად სიტყვა; „თუნდაც ესა თუ ის კონკრეტული სიტყვა საყოველთაოდ იყოს გავრცელებული – იგი ამა და ამ ენაში შემოსული, უკვე ამ ენის აღსანიშნა და აღმნიშვნელთა სისტემებში ექცევა და ამ ენის საკუთრება – ამ ენობრივი სისტემის წევრი ხდება: ყოველი სიტყვა გარკვეული ენობრივი კოლექტივის კუთვნილება და მისი ფუნქციონირება ამ

ენობრივი კოლექტივის ენობრივი ჩვეულებით არის შეპირობებული“ [ფოჩხუა 1974: 50]. ფაქტობრივ შეიძლება ითქვას, რომ ეს იმანენტური განზომილება უნარჩუნებს სახეს ბუნებრივ წესრიგს ზოგადად და განსაზღვრავს კიდევ მის თანამედროვე იერსაც, რაც თავისთავად გაცხადებულია ეპოქის ნომინაციის მახასიათებლებსა და ტენდენციებში. ეპიდემატურ მიმართებათა სახეები, რომლებიც ერთგვარად არეალიზებენ ლექსიკის ე. წ. მესამე განზომილებას – მოტივირებულობას, უპირველეს ყოვლისა, კონტექსტურია. მოტივაციის აქტუალიზებული მიმართებები: დემოტივაცია, რემოტივაცია, ნეომოტივაცია არამართ კონტექსტის ინფორმაციული და წყაროთმცოდნეობითი შესაძლებლობების წარმომჩენია, არამედ თავისთავადი მტკიცებულებაცაა პრაგმატული ასპექტის უპირატესობისა თანამედროვე ლექსიკური ვითარების ანალიზისას. რაც შეეხება ლექსიკის მეოთხე განზომილებას – დროს: უახლესი ეპოქის ისეთი კონსტიტუციური ნიშნები, როგორებიცაა: კომუნიკაციისა და ენობრივი კონტაქტების გაფართოება, ენის ინსტრუმენტალიზაცია, ინფორმაციის უზარმაზარი მასივი და მისი გავრცელების ზესწრაფი ხარისხი და ცხოვრების უსწრაფესი რიტმი, მომძლავრებული პრაქტიციზმი, პრაგმატულ ვექტორს სულ უფრო ამკვეთრებს; პრაგმალინგვისტიკის კომპეტენციის მიღმა პრაგმატიკის ერა იგრძნობა ინტერდისციპლინურ კლვევებსა და ახალ პარადიგმებში. იმის თანახმად, რომ გლობალიზაცია, პირველ ყოვლისა, მენტალური გამოწვევაა, ჩვენი ენობრივი და ისტორიული მეხსიერების გათვალისწინებით, თანამედროვე ლექსიკურ (და, საერთოდ, ენობრივ) პროცესებში გამძაფრებულია ენის ეკონომიურობის პრინციპი. უფრო საქმიანად და გულწრფელად თუ ვიტყვით, ჩვენს ინფორმაციით გადატვირთულ ეპოქაში, ენის ეკონომიურობის პრინციპი, როგორც ენობრივი პიროვნების ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმი, უფრო მძაფრად ამოქმედდა. ამ პრინციპის ძირითადი არსია: ნაკლები (ეკონომიური) ძალისხმევით გაგებინებისა და ინფორმაციული სიზუსტის მაქსიმუმისათვის. ცხადია, ენისა და მეტყველების ფაქტები ამ თვალსაზრისით ერთგვარად ვერ შეფასდება, თუმცა მეტყველებაში თავჩენილ სიახლეებში ბევრი დამაფიქრებელი ორიენტირია. მხედველობაში გვაქვს ძირითადად ქართულის ნიადაგზე მიმდინარე ლექსიკური პროცესები და ტენდენციები; ასევე ე. წ. პერიფერიული ლექსიკის თვისებრივ-რაოდენობრივი ცვლილებე-

ბის განუხრელად მზარდი ტემპი. ლექსიკოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, ლექსიკის დინამიკის არსებითი მხარეები მკაფიოდ ვლინდება ლექსიკური ფონდის განვითარების სხვადასხვა მონაკვეთის (კონკრეტულად, XX-XXI საუკუნეთა ენობრივი ვითარების) შედარებისას. საგულისხმოა, რომ არცთუ იშვიათად, ის, რაც საორჭოვო, საფრთხის შემცველი, ან სულაც არაკანონზომიერი და მიუღებელია მეტყველების კულტურის, სტილისტიკისა და ზოგი სხვა დისციპლინის განსჯით, შესაძლოა განსხვავებულად შეფასდეს საკუთრივ ლექსიკური იმანანტიზმისა და ლექსიკოლოგიური ანალიზის ფარგლებში; ამასთანავე, ამგვარი ემპირიულ-სიღრმისეული ანალიზის შედეგებმა ლოგიკურია, ასევე განსხვავებულად (და მეტი სიზრულითაც) დაგვანახოს ზოგად ენობრივ კანონზომიერებათა თავისებურებანი.

ლიტერატურა

აბულაძე 2004 – ლ. აბულაძე, ენათა გაქრობის შესახებ, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XV, თბილისი.

კვარაცხელია 2013 – გ. კვარაცხელია, ლექსიკური სემანტიკა და თანამედროვე პარადიგმები, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIV, თბილისი.

ნებიერიძე 1991 – გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

ჩაჩანიძე 2005 – მ. ჩაჩანიძე, ლექსიკონები ტოტალიტარულ ეპოქაში. არნ. ჩიქობავას საკითხავები, XVI, თბილისი.

ჩაჩანიძე 2007 – მ. ჩაჩანიძე, ენობრივი კონტაქტების ლექსიკოგრაფიული პარამეტრიზაციის საკითხი ქეგლის ახალ რედაქციაში, XXVII რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია, თბილისი.

ჩაჩანიძე 2009 – მ. ჩაჩანიძე, დენოტაცია-კონოტაციის დიალექტიკა და თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ტენდენციები. არნ. ჩიქობავას საკითხავები, XX, თბილისი.

ჩაჩანიძე 2011 – მ. ჩაჩანიძე ლექსიკური მოტივაციის აქტუალიზებულ მიმართებათა თაობაზე ქეგლის ახალ რედაქციაში. XXXI რესპ. დიალექტ. სამეცნ. სესია, თბილისი.

ჩაჩანიძე, რაზმაძე, მაისურაძე 2013 – მ. ჩაჩანიძე, ნ. რაზმაძე, ნ. მაისურაძე, ლექსიკის მინიმოზაციის საკითხისათვის. არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIV, თბილისი.

ჩაჩანიძე 2016 – მ. ჩაჩანიძე, ლექსიკური სინონიმის ახალი წყვილი – „მეგობარი“ და „საყვარელი“ თანამედროვე ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, XVI, თბილისი.

ჩაჩანიძე 2021 – მ. ჩაჩანიძე, ლექსიკური ენობრივი დონე, როგორც რთულ ენობრივ ტენდენციათა ინდიკატორი. თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სალიტერატურო ენის საკითხები, II, თბილისი.

ჩაჩანიძე 2023 – მ. ჩაჩანიძე, ლექსიკურ აქტივობათა პრაგმატული ბუნებისათვის. თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, სალიტერატურო ენის საკითხები, IV, თბილისი.

Manana Chachanidze

On the Theoretical Aspect of Lexical Tendencies of Newest Georgian

Summary

The tendencies in the field of vocabulary provide us with a more or less adequate idea of the peculiarities of the functioning and development of the Georgian language of the recent period. In general, such language issues are always relevant, as language is the house of our existence and needs the attention of scholars all the time.

According to the fact that globalization is first of all a mental challenge, taking our linguistic and historical memory into account, the principle of language economy is intensified in modern lexical (and, in general, linguistic) processes. To be more honest, in our era overloaded with

information, the principle of language economy, as a kind of defense mechanism of the linguistic personality, has come into force more intensely. The basic essence of this principle is: to maximize understanding and informational accuracy with a less (economic) effort. Obviously, the facts of language and speech cannot be evaluated in the same way from this point of view, although there are many thought-provoking signs in the innovations found in speech. We mean the lexical processes and tendencies taking place on the basis of the Georgian language as well as the constantly increasing rate of qualitative and quantitative changes in the peripheral vocabulary. From the lexicological-lexicographic point of view, the essential aspects of the dynamics of the vocabulary are clearly revealed when comparing different stages of the development of the lexical fund (specifically, the linguistic situation of XX-XXI centuries). It should be noted that not infrequently, what is dubious, threatening, or illegal and unacceptable in speech culture, stylistics and some other disciplines, may be evaluated differently within the lexical immanentism and lexicological analysis; At the same time, it is logical that the results of such an empirical-comprehensive analysis can show us the features of general linguistic regularities differently (and more completely).

მერაბ ჩუხუა

ისტორიულად მოქმედი -ემ სუფიქსიანი სიტყვაწარმოებისათვის სალიტერატურო ქართულში

ხშირად რიგ ლინგვისტურ სკოლაში შეიმჩნევა სიტყვათა ფორმირების გათანაბრების ტენდენცია დერივაციულ მორფოლოგიასთან. ზოგჯერ დერივაცია იდენტიფიცირებულია მხოლოდ სიტყვის წარმოებასთან – ახალი სიტყვების ფორმირება აფიქსაციის საშუალებით. ვინაიდან სიტყვაწარმოება არის ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის ალგორითმი, როგორც ენაში მოტივირებული ფუძეთექმნადობა სათანადო მარკერებით, ის შეიძლება ჩაითვალოს ონომასიოლოგიის განუყოფელ ნაწილად. ქართველოლოგიურ სინამდვილეში სიტყვაწარმოების შესწავლა ხერხდება როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეზე.

სინქრონიული სიტყვაწარმოება სწავლობს სიტყვაწარმოქმნის სისტემას ან მის ნაწილებსა და ელემენტებს ენის განვითარების შედეგებით ახალ პერიოდში.

დიაქრონიული სიტყვაწარმოება იკვლევს ისტორიულ პერიოდში სიტყვაწარმოქმნის სისტემაში მომხდარ ცვლილებებს – განსაზღვრავს წარმოებულებისა ან რთული სიტყვების საწყის სტრუქტურას, ამ სიტყვების გაჩენის გზებს და მათ სტრუქტურაში განხორციელებულ ისტორიულ ცვლილებებს.

დიაქრონიული პროცესები სიტყვის ფორმირებაში მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც აშკარაა მარტივიდან რთულისკენ სვლა სხვადასხვა ხერხებით, როგორებიცაა: ნულოვანი დერივაცია (ხერხ- / ხერხ-ი), სუფიქსური (თოვ- / თოვ-ლ-ი), პრეფიქსული (სარ- // სრ- / მუ-სრ-ი), რედუქციაცია (თავ- / თავ-თავ-ი) და მრავალი სხვა.

ენაში უკვე არსებულ საბაზისო მირ-ფუძეთა ფორმირება/ტრანსფორმაცია ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების მიზნით ბუნებრივი პროცესია; თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ისტორიულად (ან პრეისტორიულად) მოქმედი აფიქსები ენაში კვალს ტოვებენ როგორც სადერივაციო აფიქსები, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ

ისინი კარგავენ ასეთ ფუნქციას და ქვაკვდებიან, რუდიმენტებად იქცევიან ენობრივ ქსოვილში (სისტემაში).

ადრე გვქონდა შესაძლებლობა მიგვეთითებინა ისეთ სიტყვათ-საწარმოებელ ინვენტარზე, როგორიცაა **-მან** (თათ-მან-ი, ქალა-მან-ი...), აგრეთვე – **ბელა** (შიში-ბელა, ყურ-ბელა, წურ-ბელა...). მათი მეშვეობით ისტორიულ ქართულში რთული სიტყვები ფორმირდებოდა. სუფიქსაცია ეფუძნებოდა ერთძირიან სიტყვებს და (ენაში არსებული სიტყვების აგების მოდელებისა და სქემების მიხედვით) სიტყვაწარმოების ცოცხალ პროცესს წარმოგვიდგენდა, მაგრამ დასახელებულმა არაერთმა აფიქსმა დროთა განმავლობაში დაკარგა პროდუქტიულობა (შდრ. **-აქა**: ჭინჭარ-ი – ჭინჭარ-აქა...).

ჩვენი დაკვირვებით, კიდევ ერთ-ერთ ამგვარ შესაძლებლობად გამოსაყოფი ჩანს სალიტერატურო ქართულში ისტორიულად მოქმედი **-ემ** სუფიქსი, რომლის ფუნქცია ზედსართავ სახელთა (resp. მიმღეობათა) წარმოება უნდა ყოფილიყო, შდრ. ქართ. ხემ- აქედან უ-ხემ-ი და ხემ-ემ-ი „მქისე; უხასიათო; დაუმუშავებელი/მაგარი“ (შდრ. მად-: უ-მად-ურ-ი და მად-ლ-ი). აქ გაგვახსენდება დიალექტური მასალა, სადაც **ხემ**- ზმნა დამოუკიდებლად არსებობს; ასეთად გვევლინება მესხურ-ჯავახური მო-ხემ-ვ-ა / გამო-ხემ-ვ-ა „უხემობის მოშლა, გახედვნა, მოქნა, მორბილება“ ზმნა, რომლის კანონზომიერ შესატყვისად ქართველურში მეგრული **ხასქ-არ**- ფორმა გვევლინება, შდრ. მეგრ. მო-**ხასქ-არ**-ელ-ი „მორბილებული; მომჩატებული; შეზარხომებული“.

-ემ წარმოების სხვა ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს: ბელ-ემ-ი „უსაქმური, ზანტი“, რომლის ბელ- ძირი შესაძლოა დავინახოთ გურულ ბელ-ე-ყანტ-აი / ბელ-ა-ყანც-აი „დოყლაპია; ზარმაცი; უსაქმური; არაფრის მაქნისი“ ალომორფებში, შდრ. ქართლ. ბელ-ემ-ა „უხეირო; ულაზათო“. განსხვავებული ჩანს ომონიმური ბელ- ზმნის წარმომავლობა ქართულში, შდრ. ბელ-ვ-ა „ხეთ კაფა“; დაბელვა, შებელილი (საბა) და ბელ-ემ-ი „ოთხად გაჭრილი, ნაოთხალი“ (შერჩეულ საყავრე მორს შუაზე გააპობდნენ, შემდეგ დაანაოთხლებდნენ, ნაოთხალს კიდევ ოთხად დაჭრიდნენ და ბელ-ემ-ს მიიღებდნენ).

მურ-ემ-ი „გამურული, გაჭუჭყიანებული“. ცალკე ლექსიკურ ერთეულებს ქმნიან მურ-, გა-მურ-ვ-ა ზმნისგან **-ემ** სადერივაციო აფიქსით ნაწარმოები მიმღეობური ფორმები - მურ-ემ- / მურ-ემ-ა „გა-

მურული, გაჭუჭყიანებული“, რომლისგანაც ნულოვანი დერივაციული წარმოების კიდევ ერთ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ლექსემა მურ-ი „შავი ნადები ღუმლებისა და საკვამლეების შიგნითა ნაწილებზე“, შდრ. მურ-ა „რუხ-წითელი; შავ-წითელი“. გენეტიკურად ამასვე ებმის არქაული მრ-ემ-ი სიტყვა ქართულში, რომელიც სულხან-საბასთან განიმარტება, როგორც მ რ ე შ ი „წაბლის ფერ(ი), მოსისო ZA. (ოთხვ.) B. წაბლის ფერი“, სავარაუდოდ, ისიც მურ- ზმნურ ძირს შეიცავს, ოღონდ, მოცემულ შემთხვევაში მრ-ემ-ი რედუცირებულ [მურ- → მრ-] საფეხურს ასახავს, – მურ-ემ- → / მრ-ემ-.

ქაქ-ემ-ი „ღაღარი; ნაკვერცხალი“. უფრო გამჭვირვალეა ქართული **ქაქ-ემ-** მიმღობის წარმომავლობის დადგენა, ვინაიდან სალიტ. ქართულსა და დიასისტემებში შემოგვენახა **ქაქ-** ზმნური ძირი, შდრ. ლეჩხ. **ქაქ-**, **ქაქ-ვ-ა** „ცეცხლის მიფიცხება“, სალიტ. მი-**ქაქ-ვ-ა** „ცეცხლის შეგზნება, შენთება“.

ქერქ-ემ-ი „უხეში; ხეპრე; უზრდელი“. სიტყვა ამგვარი ფორმით პოვნიერია მხოლოდ ლეჩხუმურ დიალექტში. ვერ ვადასტურებთ შესაბამისი მნიშვნელობის **ქერქ-** ზმნას მთელ ქართველურ ენობრივ ლანდშაფტში, მაგრამ ერთი რამ უეჭველია. აქ გამოყოფილი **ქერქ-** ძირი კავშირშია იმერ.-რაჭ. **ქერქ-ეტ-ა/ქერქ-ეტ-ე-ა** „სულელი“ ალომორფებთან, რაც ლოგიკურად სვამს საკითხს სალიტ. ჩერჩ-ეტ-ი სიტყვასთან მიმართების შესახებ. ცხადია, ჩვენი მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში, **ქერქეტ-/ჩერჩეტ-** ბგერწერით ვარიანტებად კვალიფიცირდება.

ღარბ-ემ-ი „ჩარჩო, რომელშიდაც ჩამაგრებულია წისქვილის ღარის თავი“. დაკარგულია **ღარბ-** ზმნა, საიდანაც არის ნაწარმოები მიმღობური ფორმა **ღარბ-ემ-ი**. ქართულისათვის სავარაუდო **ღარბ-** ოდნავ შეცვლილი სახით შემონახული ჩანს ლაზურში, შდრ. ო-**ღალბ-უ** „დანაწევრება“, გამოდის, **ღარბ-ემ-ი** ის ნაწილია, საიდანაც წყალი *ღაწილდება* წისქვილში.

ზრ-ემ-ი „მცენარე, რომელიც საქართველოში გვხვდება ძირითადად კლდეებსა და მშრალ ფერდობებზე მთის შუა სარტყლამდე“. დასახელებულ მცენარეს აშენებენ ბაღებსა და პარკებში. მისი ფესვებიდან კი ამზადებენ წებოს. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ყვითელ საღებავს. როგორც ითქვა **ზრ-ემ-ი** „წებო“ ამავე სახელწოდების მცენა-

რის ფესვებისაგან მზადდება. მოცემული აღწერილობიდან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავთ წარმომავლობით კავშირს ქართულ **შრე-ვ** (და-შრე-ვ-ებ-ა „ფენების დალაგება“) ზმნასთან.

ჰყირ-ემ-ი „დაჭრილ-გასხლული ტოტები ხისა“; ფშ. „წვრილი შემა“. აქაც, ცხადია, აღსადგენია **ჰყირ**- ზმნა, რომელსაც *დანამცეცე-ბა/დაჭრის მნიშვნელობა* უნდა ჰქონოდა. სავარაუდოდ **ჰყირ**- ზმნისგან ნულოვანი დერივაციული წარმოების კიდევ ერთ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ხევსურული სახელი **ჰყირ**-ი „წვრილი ქვა, რომელსაც კედლის შენებისას იყენებენ ნახვრეტების დასარჩილავად“.

ჯინ-ემ-ი „ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი სასუფრე ვაზის ჯიში აჭარიდან“. ამ სიტყვას სხვაგვარი მნიშვნელობაც უდასტურდება ქართულში, შდრ. სალიტ. **ჯინ-ემ**-ი „ზრდასრული ფოთოლი: საშუალო სიდიდისაა, განივ-ოვალური, სამ-ნაკვთიანი, მცირედ დანაკვთული“. ორივე მათგანი შეიცავს **ჯინ**- ძირს, რაც შესაძლოა ეტიმოლოგიურად შეიცავდეს **ჯევნ-/ჯივნ**- „დალაზათიანება“ ზმნას, ანუ მის გამარტივებულ **ჯინ**- სახეობად ჩაითვალოს, საიდანაც **-ემ** სუფიქსის მეშვეობით მოხდა მიმღეობური ფორმის დერივაცია.

ხენ-ემ-ი. ჩვენი ვარაუდით, კიდევ ერთ სიტყვაში გამოსაყოფი ჩანს **-ემ** სუფიქსი; ასეთად გვევლინება **ხენ-ემ** ფორმა. სავარაუდოდ, **ხენ**- აქ ზმნური ძირია და **-ემ** კი სადერივაციო სუფიქსი, შდრ. **ხენ-ემ**-ი „ავი, ბოროტი“; „წუნდადებული, მწირი; უნაყოფო“ (ხენეში მიწა – მწირი მიწა; ხენეში ხე – უნაყოფო ხე... „რამეთუ არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიღოს ნაყოფი ხენეში; არცა კულაად ხე ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი“). ზმნური **ხენ**- დამოუკიდებლად ჯერ-ჯერობით არ არის დამოწმებული, თუმცა სტრუქტურული ანალიზის ფარგლებში აქაც **-ემ**-ის სუფიქსად გამოყოფა სირთულეს არ წარმოადგენს. საანალიზო **ხენ-ემ**- ფუძე სალიტერატურო ქართულში ქმნის საყურადღებო კომპოზიტს, როგორცაა თვალ-**ხენ-ემ**-ი „მოშურნე; შურიანი; თვალხარბი“. ძნელია, ზანური შესატყვისი დავინახოთ ლაზურ **ო-ხვენ-უ** / **ო-ხენ-უ** „კეთება“ ალომორფებში.

ისტორიულად განსხვავებული სტრუქტურის ზმნებში (**ო** და **უ** ხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეებში) მოსალოდნელი იყო **ო/უ** + **-ე** ხმოვანთა შეხვედრისას გამოყოფილი **-ემ** სუფიქსისეული **ე** ხმოვნის

ჩავარდნა; რთული კომბინატორული ხასიათის ფონეტიკური პროცესების შედეგად მივიღებდით ოდენ **-შ** სუფიქსიან სიტყვაწარმოებას, რომლის ნიმუშად წარმოგვიდგენია ქვემოთ სიტყვები:

ლორთქო-**შ**-ი „ლურტყი, ლუტუ, თოთო“, შდრ. ლორთქო- / ლორთქო-ფ-ინა, რომელსაც ხედავენ გვარ-სახელ ლორთქიფანიძემი [ცხადაძე 2009]; ამ უკანასკნელს ზმნურ ფუძედ ლორთქო-ფ- (**ფ**- თე- მისნიშნის ნაშთია) უნდა ჰქონოდა.

ხორო-**შ**-ი „მქისი; უკმეხი, მკვახე; მკაცრი“, თუმცა ხორო-ფ-ებ-ა ტიპის ზმნა მსგავსი შინაარსით ჩვენთვის უცნობია.

ფუნთუ-**შ**-ი „პონჩიკი (ბარბარ.); პასქა“, ანუ ის, რასაც მრგვალი და რბილი სხეული აქვს, შდრ. ჯავახ. **ფუნთულა** „ფაფუკი, გაფუებული რამ“. ვგვიჩნობთ, სავარაუდო ფუნთუ-ფ- სახეობის ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობა „გაფუება“ უნდა ყოფილიყო.

ხაზგასმით და საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ ზმნური **-ემ** ფუძედრეკად ფორმებში (თხლ-**ემ**-/თხლ-**იმ**-; ტყლ-**ემ**-/ტყლ-**იმ**-; ქლ-**ემ**-/ქლ-**იმ**-; ხვნ-**ემ**-/ხვნ-**იმ**, შდრ. სა-ხვნ-**ემ**-ი და სხვ.) გამოყოფილი **-ემ**/**-იმ** განსხვავებული წარმომავლობის მორფოლოგიური ერთეულებია და კვალიფიკაციის საკითხი სპეციალურად უნდა იქნეს განხილული. აქ კი ვიტყვით, რომ გამონაწევრებული **-ემ**/**-იმ** წარმოშობით მრავლობითობა-მრავალგზისობას თუ აღნიშნავდა ისტორიულად (შდრ. მრავლობითობის -ამ/-ემ/-იმ სუფიქსები ნახურ ენებში), ისევე, როგორც დანარჩენი სეგმენტები, როგორებიცაა: **-ებ**/**-ობ** (დღვ-ებ/დღვ-ობ-), **-ედ**/**-იდ** (ზნ-ედ-/ზნ-იდ-; წმ-ედ-/წმ-იდ-), **-ეთ**/**-ით** (ცვ-ეთ-/ცვ-ით-; ჭრ-ეთ-/ჭრ-ით-), **-ელ**/**-ილ** (ზ-ელ-/ზ-ილ-; მხ-ელ-/მხ-ილ), **-ერ**/**-ირ** (მზ-ერ-/მზ-ირ-; გმ-ერ-/გმ-ირ-...), **-ეპ**/**-იპ** (ტყ-ეპ-/ტყ-იპ-), **-ეტ**/**-იტ** (ჟლ-ეტ-/ჟლ-იტ-; ფშვნ-ეტ-/ფშვნ-იტ-), **-ეფ**/**-იფ** (კრ-ეფ-/კრ-იფ-), **-ეჩ**/**-იჩ** (ხლ-ეჩ-/ხლ-იჩ-), **-ეც**/**-იც** (ღრ-ეც-/ღრ-იც-), **-ემ**/**-იმ** (ზღნ-ემ-/ზღნ-იმ-), **-ეჯ**/**-იჯ** (გლ-ეჯ-/გლ-იჯ-), **-ეხ**/**-იხ** (გრ-ეხ-/გრ-იხ-; წნ-ეხ-/წნ-იხ-...) და სხვ. ამათგან ზოგიერთი ფონეტიკური ვარიანტი ჩანს, შდრ. **-ებ**/**-ობ** // **-ეპ**/**-იპ** // **-ეფ**/**-იფ** და **-ედ**/**-იდ** // **-ეთ**/**-ით** // **-ეტ**/**-იტ**, ერთი მხრივ, და **-ერ**/**-ირ** // **-ეც**/**-იც** // **-ემ**/**-იმ** // **-ეჯ**/**-იჯ**, მეორე მხრივ.

დაბოლოს, არ გამოვრიცხავთ სალიტერატურო ქართულში გამოყოფილი **-ემ** სუფიქსის საერთოქართველურ (ფუძემენურ) წარმომავლობასაც, ვინაიდან მონათესავე დაღესტნურ ენებში ამავე შედგენილობის (მაგრამ ზოგან განსხვავებული სტრუქტურის) ზედსართაული აფიქსები გამოვლინდა, შდრ. ლაკური: გუჟ-**სსა** „ძლიერი“, შად-

სსა „მზიარული“, ჩანნა-**სსა** „ნათელი“.., დარგული: ბ-არხ-**სი** „სწორი“, ქეფ-**სი** „მთვრალი“, დირყ-**სი** „ბრტყელი“... თითქოს უფრო მეტია მატერიალურ-სტრუქტურული ერთობა დიდოურ ენათა სათანადო აფიქსებთან, შდრ.: ჰინ. რედ-**ეს** „მახვილი“; ჰინ ბეყ-**ეს** „მწიფე“, ჰინ. კვეტ-**ეს** „მარჯვენა“, ჰინ. ბუყყ-**ეს** „სწორი“; შდრ. ჰინ. ბეხერ-იმ „მოხარშული“, ჰინ. აქეთელ-იმ „ჭკვიანი“.., ამ უკანასკნელს ეხმიანება წ.-თუშ. ზორაიმ „ძლიერ“ ტიპის ფორმები ნახური ენებიდან.

ლიტერატურა

ბერიძე 1912 – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, სანქტ-პეტერბურგი.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1950-1964), თბილისი.

ღლონტი 1984 – ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი.

ცხადაძე 2009 – ბ. ცხადაძე, გვარ-სახელ ლორთქიფანიძის წარმომავლობისათვის (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი). – <https://georoyal.ge/?MTID=5&TID=45&id=1430>

Merab Chukhua

Historically valid -eš suffix in literary Georgian word formation

Summary

The formation/transformation of the basic roots already existing in the language in order to produce new lexical units is a natural linguistic process; However, sometimes it happens that historically (or prehistorically) working affixes leave a trace in the language as derivational affixes, but after

a certain period of time they lose such a function and become petrified, becoming rudiments in the language system.

Such a possibility can be distinguished from the historically active *-eš* suffix in literary Georgian, whose function should have been the production of adjectives (resp. participles), cf. Geo. *bel-* „to cut“ and *bel-eš-* „cut into four parts“...

ნინელი ჭოხონელიძე

ლექსემა „სუნი“ რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილის ინდივიდუალობით, სიფაქიზითა და სისადავით გამორჩეული ტექსტის მხატვრულობას ძირითადად განაპირობებს ნაცნობი, უკვე დამკვიდრებული სიტყვებისაგან შექმნილი ახალი სიტყვათშეხამებანი თუ მსაზღვრელ-საზღვრულები.

„მსაზღვრელ-საზღვრულში შემავალი ორივე სიტყვა ცალკე-ცალკე იხმარება, ერთად კი მათ პირველად ხმარობს მწერალი და ამით აფართოებს და ამდიდრებს ამ სიტყვების მნიშვნელობას“ [ჭუმბურიძე 1956: 149].

ამჯერად შევეხებით სიტყვა **სუნის** შემცველ სიტყვათშეხამებათა შემთხვევებს.

სუნი („საგნის, ნივთიერების, ჰაერის თვისება, რომელსაც აღიქვამს ყნოსვის ორგანო“) და მისგან ნაწარმოები სიტყვები თუ სიტყვათშეხამებანი რ. ინანიშვილის პროზაში ხშირად დასტურდება.

სიტყვა **სუნი** არაერთგზის გვხვდება ზმნურ შესიტყვებებში (მაგ., დაგვეხვევიან **სუნზე**, **სუნით** ვგრძნობ...):

გავალთ თუ არა, მაშინვე დაგვეხვევიან **სუნზე** გოგოები (გოლ. 14, 34).

მე ძველი გენერალი ვარ და ას ნაბიჯზე **სუნით** ვგრძნობ, პიჟონს ვხვდები თუ კაცურ კაცსო (ალერს. 432, 4).

გვხვდება **სუნ-** ფუძისაგან ნაწარმოები სიტყვებიც:

– ბოლონა მსხალი საგვიანოა, ზამთრისა, სულ თავში კი – საადრეო, **სუნიანი** (ტ. 6, 228, 8).

სუნ- დასტურდება საწყისებსა და ზმნურ ფორმებშიც:

ძალეები... მერე პატრონებს მიუბრუნდნენ ასევე გაკვირვებულები – რა გინდათ ჩვენგან, რას სულელობთო. ერთმანეთს **სუნვა** დაუწყეს, თავს დაბლა ხრიდნენ, მხრებით ეხახუნებოდნენ (ტ. 4, 184, 9).

– კარგად **უსუნე**, ბზიკო. – ბზიკიცა ხარ და მაიმუნიც (ასულ. 121, 10).

(ძალე) ბეხას კისერი დაუგრძელებია და ხელებზე **სუნავს** ლადოს. ლადო იდაყვს გაჰკრავს. ბეხა ჩაიმუხლებს (მოთხრ. 179, ქვ. 2).

სუნ- ფუძის ფონეტიკური ცვლილების შედეგია სიტყვა **სურ-ნელ-**ოვანი < სურნელი < სუნნელი || სულნელი „სასიამოვნო სუნისა, სურნელოვანი [გელენიძე 1974: 190].

-**ოვან** სუფიქსიანი:

ჩემი მეუღლე განსაცდელიდან დახსნილივით მეხუტებოდა – პატარა, უცხოდ **სურნელოვანი** ამ ყოფაში (ალერს. 277, ქვ. 2).

მიხროტინობდა სქელი, **სურნელოვანი** ღვინო (ჯაფ. 56, 22).

-**იან** სუფიქსიანი:

გადმოგვიღო სადულრიდან ქონდრის **სურნელიანი** ლობიო (კეთ. 102, 11).

-**ება** სუფიქსიანი:

ზემოდან გარუხებულ ბალახს ქვემიდან ლურჯი ფერი და-ჰკრავს. ავწევთ და საამო **სურნელება** გვაბრუებს (ჯაფ. 50,11).

დასტურდება **სურნელ** ფუძისაგან მიღებული ნასახელარი ზმნა **ასურნელდება**:

აშრება მიწა, აფუვდება, **ასურნელდება** (შორ. 47, ქვ. 2).

სუნ- ფუძის გაორკეცებითაა მიღებული სიტყვა **სუნსული** [სან-ნიკიძე 1976: 58]:

ადრე აქ შენი თვალით ნახავდი, სადამო ხანზე მშიერი ძაღლი-ვით რომ **დასუნსულდება** ნიავეწანწალა (სად. 144, ქვ. 4).

განსაკუთრებით საინტერესოა სიტყვა **სუნთან** დაკავშირებული მსაზღვრელები. ერთ შემთხვევაში ლექსიკური ერთეული **სუნი** სუბსტანტიური მსაზღვრელებით განისაზღვრება:

[მელა ამბობს] **რძის სუნმა** რომ დამკრა, ვეღარ მოვითმინე და ენა ამოვუქნიე (ტ. 4, 140, 2).

სუსტ ნიავს მინდვრიდან **ქინძის სუნი** მოჰქონდა (ჯაფ. 312, 10).

ხელებიც სუფთა ჰქონდა, მაგრამ **ქონის სუნი** მაინც ასდიოდა (ლამაზ. 250, ქვ. 1)

მომცა ბერდენკა, ახალთახალი, **ნავთის სუნი** ასდიოდა ისევ (ასულ. 201, 16).

სულხანი ისევ წინ წავიდა. ჩვენ უხმოდ მივყევით. სადღაც ძაღ-ლები აყეფდნენ. მე **ნაკელის სუნი** მეცა (ტ. 6, 181, ქვ. 9).

[ქალაქში] იქ ხო **ნაზუქის სუნში** დაიხრობოდი შენმა თავის მზემა! (შორ. 141, ქვ. 1).

ლოგინში სულ მახსოვს, როგორ მეძინებოდა და როგორ მო-მდიოდა ლოგინში **კალოს სუნი** (ასულ. 219, 4).

როდესაც შუბლქვეშ კრისტალური ხმაურით აირევიან თითქოსდა მიღმა სამყაროს ქარების მიერ შემოყრილი აზრები და ხმები, მოხდება უხილავი რეაქცია, დადგება **გოგირდის სუნი** და აბობოქრებული კვამლი ამოსანგრევად მოაწვება თხემის ძვლებს, შხამით სავსე ამპულასავით ფრთხილად დებს კალამს (ჯავ. 266, 5).

კონტექსტს განსაკუთრებულ მხატვრულ ელფერს სძენს იშვიათი სიტყვათშეხამება **თოვლის სუნი**.

– თამაზ, მოდი, იცი რა, სხვა დროისთვის გადავდოთ ბეჭემოთ-ზე ლაპარაკი, ხვალისთვის ან ზეგისთვის... დაბლა რომ ვიქნებით, ქალაქში. ფიქრიც, თორემ, იცი რა, **თოვლის სუნს** ვეღარ ვიგრძნობთ (ტ. 6. 236, 4).

თოვლის მაღალი კაკლებისა და ალვის ხეების კენწეროებიც ბურუსში იყო შეკარგული, ჰაერში **თოვლის სუნი** ტრიალებდა (შველ. 117, 3).

სხვა შემთხვევაში **სუნს** განსაზღვრავენ ატრიბუტული მსალზვრელები: კარგი, საამო, სასიამოვნო, საზიზღარი, მყრალი...

რა **კარგი სუნი** აქვს თოვლს (ტ. 6, 235, ქვ. 6).

მელას ლეკვი, როგორ მიხვდი კაცო! – სუნით! სუნით! უჰ რა **სასიამოვნო სუნი** დააყენა – ვაჰ! – კიდევ უფრო გაუკვირდა ექიმს (მოთხრ. 321, 13).

სამწვადის თეთრ კედელთან თავშავ მაყალზე თეთრ წინსაფრიანი ქალი აწყობს ვარდისფერ განათებულ მწვადებს. ნიავი მოიტანს **სასიამოვნო სუნს** (ტ. 4, 377, ქვ.1).

კაკლის ქვეშ გრილა, დგას **სასიამოვნო სუნი**, წვანან თოკით დაბმული ბოჩოლები და დადიდებული ნესტოებით ისუნთქავენ იმ სუნს (ასულ. 85, 5).

შროშანებს წითელ ხიდს რომ გავცდით, იქითა ყურეში გავჩერდით. მძლოლი გადავიდა, – თქვენც გადმობრძანდით, აქ კარგი მწვადი იცის და თითო მწვადი შევჭამოთ ზეზეურადო. გადავედით, შევედით სამწვადეში – **საამო სუნი** იდგა, ხალხით იყო სავსე (ტ. 6, 321, 14).

იდგა **საამო სუნი**, სიცილ-კისკისი. ციდან კი დაგვყურებდა დიდი, კეთილი მთვარე (მოთხრ. 42, 6).

ისმის წივილ-კივილი, ვაგონი ივსება **საზიზღარი სუნით** (მოთხრ. 480, ქვ. 9).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა **სუნის** მსაზღვრელად წარმოდგენილია ნაცვალსახელი:

გამოშალა გრძელი და ძლიერი სილა. – **ვიდაცის სუნი** მისდის აემასა (გოლ. 10, 16).

– მართალია, ხომ იცი, თოვლს **თავისი სუნი** აქვს, აუჰ, რა კარგი სუნი აქვს თოვლს (ტ. 6, 235, ქვ. 6).

ჩემ სუნს დაიყრიან ხოლმე შორიდანვე (ასულ. 254, 14).

საყვავილეში **ის სუნიც** გაქრა, რომელმაც გარეთ გამაჩერა (ლა-მაზ. 173, ქვ. 5).

პური ჰყვავის და **ისეთი სუნი** დგას, სუნქვა შეეკვრის შეუჩვეველ კაცს (ჯაფ. 48, ქვ. 9).

ზოგჯერ ნაცვალსახელი წინ უსწრებს ატრიბუტულ თუ სუბსტანტიურ მსაზღვრელს, რომელსაც საზღვრულად მოჰყვება ლექსიკური ერთეული **სუნი**:

– მაშ ერთხელ და სამუდამოდ არ უნდა ამოვუქოლოთ მაგას **ეხ მყრალი პირი**?! (ალერს. 157, 7).

მაგრამ **იმ სამაგელი სუნით** გაჟღენთილ ყუთში რძის სუნმა რომ დამკრა, ვეღარ მოვითმინე და ენა ამოვუქნიე (ტ. 4, 140, 2).

ღამეებია, ახალი ხავერდივით. **ეს ფშატების სუნი** დგას, ღონივრად მოფშვინავს წყალი (ტ. 6, 325, ქვ. 1).

აყვავდებიან ფშატები, დადგება **იმათი ყვავილის დამზნედავი სუნი** და ის გოგო თვითონ ჩამოგეკიდება კისერზე (ტ. 6, 325, ქვ. 8).

ხშირად საზღვრულს ახლავს ატრიბუტული მსაზღვრელი თავისი სუბსტანტიური მსაზღვრელითურთ:

ალექსი ჩემთან მოვიდა, ხელი კეფაზე მომკიდა, მეორე ხელით ჟიპიტაურით სავსე ყანწი მომიტანა პირთან და თავი გადამიწია. **არყის მყრალი სუნი** მეცა (ტ. 6, 182, 1).

პური სასადილოდან გადმომაქვს. თალხი ფქვილისაგან არის გამომცხვარი. რომ გაჭრი, **საფუერის მომყავო სუნი** დაჰკრავს. ეს სუნი მე ძალიან მომწონს (ასულ. 59, ქვ. 4).

ანტონს ბარაკის დერეფანში არავინ შეხვედრია. სითბო და შემწვარი **ხორცის საამო სუნი** კი იგრძნო. იგრძნო და ახლა გაახსენდა, დილას აქეთ საჭმლის გემო რომ არ ენახა (მოთხრ. 53, 14).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საზღვრულს განსაზღვრავს სუბსტანტიური მსაზღვრელი თავისი ატრიბუტული მსაზღვრელითურთ:

სტეფანემ ფული ერთად დააწყო. ისევ დათვალა, დასუნა. – **ფრანგული დუხის სუნია**, აი... (ასულ. 64, 1).

ვანო ნიკოზე ახოვნად გამოიყურებოდა, კარგი, მაგარი, ჩექმები და ძალიან თბილი ნართული ეცვა. ნამდვილი **ქალაქური საპარიკმახეროს სუნი** დაჰყვებოდა (ასულ. 94, 17).

ზოგჯერ მწერალი **სუნის** ნაირსახეობას იმით წარმოაჩენს, რომ მის დასახასიათებლად ირჩევს განსაკუთრებულ, მანამდე ნაკლებად გამოყენებულ (სხვადასხვა სახის – ატრიბუტულ თუ სუბსტანტიურ) მსაზღვრელებს:

ფერმის გამგის ფარაჯას ასდიოდა **სველი მატყლის რაღაც შინაურული, თბილი სუნი** (მოთხ. 345, 3).

საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როცა ორი (**და** კავშირით შეერთებული) მსაზღვრელი სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ახასიათებს **სუნს** და იშვიათი სიზუსტით აღაქმევენებს მკითხველს აღსაწერ გარემოს. დასახელებული ტიპის შემთხვევებში გვხვდება როგორც სუბსტანტიური, ისე ატრიბუტული მსაზღვრელები:

მზექალა მე არ მიყურებდა, ტანი ჩემკენ ჰქონდა, სახე კი გარმონზე ედო. მაგის საქმრო აქა ზის, – მიჩურჩულა ბერდიამ. მე ამღვრულმა შევხედე, მერე ნელა შევუპარე ხელი იდლიის ძირში. მისგან **ერბოსი და წივის სუნი** მოდიოდა (ტ. 6, 182, ქვ. 13).

რაც უნდა გაქალაქელებული იყოს ჩვენი ქალი, რაც უნდა უცხოურობას გადაეცნებული, უცხო ენებში ჩაბუჭბუჭებული, დაჰკრავს **მინდვრისა და საქონლის სუნი** და ცვილივით დაურბილდება ფეხები (ასულ. 105, ქვ. 3).

ღამურა ჰაპა მოვიდაო, ღამურა ჰაპა, და ისიც, დაიკუზებოდა, გაშლიდა ხელებს ფრთებივით, დაიქნედა, დაიქნედა, გამოქანდებოდა და გაგვიგორდებოდა ტახტზე ფეხებთან, – კი არ მოვედი, მოვფრინდიო. დავასხდებოდით გულზე თუ ზურგზე (როგორ მახსოვს – სულ **მზის და თივის სუნი** ჰქონდა!) (ასულ. 208, ქვ. 16).

...თანაც ციოდა და **სიცივისა და ნესტის** სუნი იდგა (ჯაფ. 259, 9).

ოლია... ჩემზე სამი წლით თუ იქნება დიდი და უკვე სულ საპნის სუნი ასდის, **საპნისა და სარეცხის სუნი** (ჯაფ. 105, ქვ. 1).

სისხლისა და ხორცის სუნი ასდიოდა (ლამაზ. 247, 13).

ზოგჯერ ესტუმრებოდათ ხოლმე მეხიც, – ჭახო! – დაიძახებდა ზაფხულის გიჟმაჟ წვიმაში და ააბოლებდა რომელმე მათგანს, დააყენებდა **ტრუსისა და გოგირდის სუნს** (ტ. 4, 19, ქვ. 10).

დადგება კიდევ უფრო **საამო და მმაფრი** სუნი (ასულ. 85, 9).

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთ საზღვრულს სამი სუბსტანტიური მსაზღვრელი ახლავს და, შესაბამისად, სამი ნიშნის მიხედვით წარმოაჩენს **სუნის** ნაირსახეობას:

თავიანთთან რომ დაბრუნდნენ, იქაურობა **ზოლის, სისველისა და პლასტმასის სუნით** იყო სავსე (მოთხრ. 368, ქვ. 8).

ცალკე უნდა გამოიყოს იმ ტიპის შემთხვევები, როცა ორ (და კავშირით შეერთებულ) მსაზღვრელს თავიანთი მსაზღვრელები ახლავს (ატრიბუტული თუ სუბსტანტიური; ზოგს – მხოლოდ სუბსტანტიური, ზოგს – მხოლოდ ატრიბუტული):

ოცდაორი წლის ვიყავი, ბებია რომ გარდაიცვალა, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, სახის ნაკვეთებით როგორი იყო. ის იყო საერთოდ ბებია, თალხებით შემოსილი (მის კაბებს ყოველთვის ასდიოდა **ბუხრის კვამლისა და დამწვარი რმის სუნი**), ძველ ქართულად ზრდილი, ტკბილი, თბილი, იმედიანი (მოთხრ. 421, 10).

მეჩვენებოდა, რომ წარმართებსავით ხალხში ვიყავი, ის ვეება ქვევრიც, იქიდან ამომავალი **ღვისა და წმინდა სანთლის სუნიც**, ის შიშველი ბიჭიც შორეულ წარსულში იყო და რაღაც საკრალური ცერემონიალი სრულდებოდა (ტ. 4, 310, 15).

ჰაერი **ხის წველისა და სოკოს სუნით** იყო გაჟღენთილი. ამის გახსენებამ იქ, რკინიგზისპირა კბოდესთან, ჩემს ცხოვრებაში უკანასკნელად მომაწურინა ცრემლი (მოთხრ. 450, 3).

ქვემოთ წარმოდგენილი მონაკვეთი დიალოგურია – ჩავარდნილია საზღვრული (სუნი):

– აბა, თუ მეტყვი, რის სუნი დგას აქ? – იკითხა ნინომ. – **სველი ქვის. – სველი ქვის და თოვლის** (ტ. 6, 235, ქვ. 6).

საორჭოფო (სათუო) სუნის გადმოსაცემად მწერალი მიმართავს **თუ** კავშირს:

მერე სუნი იგრძნო, – **ზეთის საღებავებისა თუ სულხანის სუნი** (ჯაფ. 114, 9).

ზოგჯერ დასახელებული ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულები ერთმანეთისაგან გათიშულია ზმნა-შემასმენლით. ქვემოთ წარმოდგენილ შემთხვევაში საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს, მათ შორის კი (როგორც ითქვა) შემასმენელია წარმოდგენილი:

სუნი დადგა **მოხალულისა** (გოლ. 13, 22).

ის ტბორი მზით გახუხული ბიჭებით იყო სავსე, შეშფოთებულ კივივით გარბოდნენ წყლის გოჭები ქვებზე, ქვემოთ, სულ ქვემოთ, რაღაცას ეხვეოდნენ ყვავები, **სუნი** იდგა **სიდამბლეშეპარული თევზისა...** (ტ. 6, 146, 18).

როგორ მოაღწია ნახევარი თვის შემდეგ აღმასამ შინამდის, როგორ იყო გაჭადარავებული და რა **სუნი** ასდიოდა **ჭირის ოფლისა**. – წკმუტუნებდა და ტირილით გვიკოცნიდა, ქალო, ყველას ფეხს (ტ. 6, 5, ქვ. 8).

პოსტპოზიციური წყობით არის წარმოდგენილი მსაზღვრელი ქვეამოთ წარმოდგენილ შემთხვევაშიც:

მზისფერი რომ ხარ, **სუნიც მზისა** გაქვს (ჯაფ. 201, 21).

სუნიც ღვინისა იდგება, ღვინისა და კაკლის წენგოსი (მიტოვ. 22).

ხშირად მსაზღვრელად წარმოდგენილია **ვით** თანდებულიანი სახელი, რომელიც მსგავსებაზე მიგვანიშნებს. მოცემულ შემთხვევაში საუბარია დამპალი ძირხვენასავით ცუდი სუნის შესახებ:

[მელა ამბობს] ყუთი ისეთი პატარა იყო, ძლივს ვახერხებდი მიბრუნ-მობრუნებას. თანაც **დამპალ ძირხვენასავით ცუდი სუნი** ჰქონდა (ლამაზ. 254, 17).

მსაზღვრელ სახელთა ექსპრესიულობა უპირველესად იმითაა შეპირობებული, თუ რომელ ან როგორ საზღვრულს უხამებს მწერალი საგანგებოდ შერჩეულ მსაზღვრელს. დიდია ემოციური დატვირთვა იმ მსაზღვრელებისა, რომლებიც, ჩვეულებრივ, კონკრეტულ არსებით სახელებს ეხამებიან, მაგრამ მხატვრულ ღირებულებას იძენენ ე. წ. აბსტრაქტულ სახელებთან შეხამებისას [კოშორიძე 2005: 151].

ქვემოთ წარმოდგენილ მონაკვეთებში საზღვრულად კვლავ **სუნი** გვაქვს, მსაზღვრელები კი მარტოობასა და მიტოვებულობაზე მიუთითებენ:

გიორგი... გაჩერდა. დერეფანშიც **მიტოვებულობის, მარტოობის მტერის სუნი** იდგა (ასულ. 37, 10).

როცა **სუნის** განმსაზღვრელი სიტყვა უჩვეულოა, მაშასადამე, მსაზღვრელად გვაქვს ისეთი ლექსიკური ერთეული (თავისი მსაზღვრელებითურთ), რომელიც ნაკლებად დადასტურებულა სხვა შემთხვევებში ამ ფუნქციით, საზღვრულიც გამორჩეული ემოციით წარმორჩნდება:

გავიღვიძებდი მეორე დღეს და მერცხალივით ხალისიანად ვიყავი. სულ კი **წმინდა მარინეს ნანგრევების ქვების სუნი** მომდიოდა, იმ ქვების გემოსაც ვგრძნობდი (შველ. 103, 2).

დილით ამ სახლების კრამიტთან სახურავებს ასდის სოფლის წყაროზე **თიხის დოქით მოწვდილი წყლის სუნი**, ხის აივნებს – საკმეველის სუნი, ხოლო ეზო სავსეა **პაწაწინა ნაზი მცენარის, ომბალოს, პიტნისა და გეცხლზე გადმოსული რძის სუნით** (ჯგაფ. 332, 14).

შთამბეჭდავია რ. ინანიშვილის მიერ დახატული **სუნთან** დაკავშირებული მხატვრული სურათები, რომლებიც ყველაზე ხშირად იშვიათი ოსტატობით შერჩეულ მსაზღვრელებს უკავშირდება.

ლიტერატურა

გელენიძე 1974 – ლ. გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბილისი.

კოშორიძე 2005 – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

სანიკიძე 1976 – ლ. სანიკიძე, გაორკვეება ქართულში. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული III, თბილისი.

ჭუმბურიძე 1956 –ზ. ჭუმბურიძე ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.

წყაროები

ალერს. – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.

ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.

გოლ. – პატარა ბიჭი გოლგოთაზე, თბ., 1989.

კეთ. – კეთილი მიწა, თბ., 1984.

ლამაზ. – ლამაზი ცრემლები, თბ., 2005

მიტოვ. – მიტოვებული ბალი, სასკოლო ბიბლიოთეკა. თბ., 2009.

სად. – სადამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1973.

ტ. 4 – პროზა. წისქვილი ქალაქის გარეუბანში, მოთხრობები. თბ., 2012.

ტ. 6 – წერილები. მოთხრობები, ჩანაწერები სამაგიდო რვეულიდან, წერილები. თბ., 2012.

შველ. – შველი ზამთარში, თბ., 1986.

ზორ. – შორი თეთრი მწვერვალი., თბ., 1976.

ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

Nineli Chokhanelidze

The Syntagms Denoting Smell in R. Inanishvili's Language

Summary

According to the paper, in the syntagms denoting smell, mostly substantive, and rarely attributive modifiers are attested with the head word containing the base *sun-*, e. g. *rzis suni* "the smell of milk", *gogirdis suni* "the smell of sulfur", *navtis suni*, "the smell of kerosene", *saamo suni* "good smell", etc. At the same time, the main modifier can have any kind of epithet and the context can be given a special artistic tone with a new meaning, e. g. *soplis çgaroze tixis dokit moçvdili çqlis suni* "the smell of water from a clay jug at the village spring", etc. Rarely, the writer uses a simile, e. g. *dampal zirxvenasavit suni* "the smell like a rotten tuber".

In some cases, the head word "smell" is disconnected and it is mainly attested in front of a modifier, e. g. *sun asdioda çiris oplisa* "The sweat of problems smelled bad", etc.

Two or more components connected by the connector *da* are often found to denote the smell of one and the same object, e. g. *mzisa da tivis suni* "the smell of the sun and the hay", *xis çvenisa da soços suni* "the smell of tree sap and mushrooms", etc. In this case, we deal with the repetition typical of R. Inanishvili's style.

New syntagms created with a great artistry are attested, e. g. *tovlis suni* "the smell of snow", *çalos suni* "the smell of a threshing floor", *sisvelisa da sinesfis suni* "the smell of wetness and dampness", *daxavsebuli kvebis suni* "the smell of mossy stones", *paçaçina nazi mcenaris, ombalos, piñnisa da cecxlze gadmosuli rzis suni* "the smell of tiny tender plants, pennyroyal, mint and the milk spilled over the fire".